

K 18734  
4

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ახალციხის მუზეუმის  
ხელნაწერთა აღწერილობა

„მეცნიერება“

პ. კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი  
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო  
მუზეუმი

# ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე- ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა

შეადგინეს და დასაბუთდად მოამზადეს:

ილ. აბულაძემ, მ. ქავთარიამ და ც. ზანკიძემ

ელ. მებრძოლის რედაქციით

სპიგ-2000  
შემოწმებულია



თბილისი  
„მეცნიერება“

1987



79.1 (2 წ.)  
n 384

- 1) ქახელი ხელნაწილები
- 2) სომხური ხელნაწილები
- 3) საქართველოს ისტორიული - ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ-სომხურ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა ქვეყნდება პირველად.

მუზეუმში დაცულია ასამდე ქართული და 19 სომხური ხელნაწერი. აქ წარმოდგენილია ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშების ნუსხები (XI ს-ის ოთხთავი, XII—XIV სს-ის პარაკლიტონები, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის ფრაგმენტი XVI ს-ისა, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ვეფხისტყაოსნის ნუსხათაგან ყველაზე ადრეულია და სხვ.), ლათინურ-ფრანგულიდან თუ სომხურიდან ნათარგმნი თხზულებები კათოლიკური ხასიათისა (ამ ხელნაწერთა რიცხვი ყველაზე მეტია) და ორიგინალური მასალა, ძირითადად პომილეთიკური თუ ისტორიული ხასიათისა (ქადაგებათა კრებულები და ქრონიკები, რომლებშიც გვიანდელადღერი ხანის ახალციხური სინამდვილის ამსახველი მომენტებიც იჩენს თავს).

ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში საყურადღებოა სომხური ხელნაწერებიც, რომელთაგან უძველესი XV საუკ. თარიღდება.

სომხური ხელნაწერები თემატური თვალსაზრისით საინტერესოა, მოიცავს მწერლობის თითქმის ყველა დარგს. გვხვდება გადამწერთა ნაკლებად ცნობილი სახელები.

ამ წიგნით გაცნობა საზოგადოება ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა საინტერესო კოლექციებს.




18.734

ხელნაწერები აღწერეს:

ილია აბულაძემ: ქართული — №№ 186—189, 191—195, 1418, 1460, 3242, 3243/1, 3482, 3483, 3901. სომხური—164, 1556, 1558, 1578, 1589, 1593, 1618, 1628, 1631, 1657, 1661, 1662, 1664, 1666, 1667, 1683, 4337, 6078, 6149.

მიხეილ ქავთარიამ: №№ 107—116, 141—143, 145, 156—163, 165, 206—208, 210—215, 1527, 1551, 1553, 2171, 3484, 3950, 3954—3957, 3960, 3961, 4303, 4331, 4338, 4535/5, 4645, 4906.

ცაცა ჭანკიევმა: №№ 117—122, 146—148, 150, 151, 153—155, 196—198, 200—205, 1668, 2923, 2924, 3223, 3231, 3964/1.



## წ ი ნ ა თ მ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ-სომხური ხელნაწერების კოლექციები კარგა ხანია სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობს.

ახალციხის მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია 100-მდე ხელნაწერს ითვლის, ხოლო სომხურ ხელნაწერთა კოლექცია კი 20-დე. ფონდში დაცულია ცნობილი მოღვაწის და დიდი მამულიშვილის ივანე გვარამაძის შესანიშნავი და უმდიდრესი პირადი არქივი, ნიკოლოზ ასათიანის, ზაქარია დიდიმამიშვილის და სხვათა მოღვაწეობის ამსახველი მასალები. ასევე, გაურჩეველი საარქივო მასალა მე-19 საუკ. პირველი ნახევრის ახალციხის მხარის ისტორიისათვის.

პროფ. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით ახალციხის მუზეუმის ქართული და სომხური ხელნაწერების კოლექციები აღიწერა ი. აბულაძის, ც. ჭანკიევისა და მ. ქავთარიას მიერ 1963 წელს. ილ. აბულაძის გარდაცვალების შემდეგ (1968 წ.), მის მიერ აღწერილი სომხური ხელნაწერების აღწერილობა კვლავ შეუდარა ხელნაწერებს და მოამზადა გამოსაცემად ე. ცაგარეიშვილმა, ხოლო ქართული ხელნაწერებისა — ც. ჭანკიევმა.

ახალციხურ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი, ხოლო სომხური კოლექცია საინტერესოა თემატური თვალსაზრისით.

ქართველ კათოლიკეებს კონფესიური მოსაზრებით ქართულ ენაზე უნდა შეექმნათ პაპისტური მწერლობა. საჭირო იყო დაწერა თუ თარგმნა ისეთი თხზულებებისა, რომელნიც კათოლიკობაზე მოქცეულთ განამტკიცებდა. მაგრამ ასეთ ძეგლებს „რაიმე გავლენის მოხდენა ქართული მწერლობის ზრდა-განვითარებაზე არ შეეძლო“ (ც. კეკელიძე).

ორიგინალური ძეგლების ნიმუშად უნდა დავასახელოთ ქადაგებანი და ისტორიული ქრონიკები. როგორც ჩანს, ამ კუთხეში წესად იყო თითქმის ყველა ეკლესიაში სპეციალურ ჩანაწერებში აღენიშნათ ყოველდღიური საქმიანობა, როგორც სამეურნეო, ასევე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სხვა ფაქტებიც. ეს ჩანაწერები, რომლებიც თავდაპირველად პრაქტიკულ მიზნებს ემსახურებოდა, წლების განმავლობაში ვრძელდებოდა და ბოლოსდაბოლოს ქმნიდა სურათს ათეული წლების ყოველდღიური საქმიანობისას. ცხადია, ბევრი ჩანაწერი პირადულია და საზოგადოებრივი ძღერადობა არ გააჩნია, მაგრამ ამ პირადულშიც საერთო მოვლენების დანახვა შეიძლება.

ჯერ კიდევ ივ. გვარამაძემ გამოყო ჩანაწერების სამი ავტორი — იოანე, სტეფანე აბინაშვილი და სტეფანე ნავროზაშვილი, რომელთა ცნობები „საქვეყნო საქმეებზე“ (1762—1842 წ.წ.) 1892 წელს გაამთლიანა და ერთი სა-

ერთო ისტორიული ქრონიკის სახე მისცა. ივ. გვარამიძის გადაწერილი ერთი ნუსხა ინახება მისსავე არქივში, ხოლო მეორე ცალი კი — ხელნაწერთა ინსტიტუტში.

კოლექციიდან ყურადღებას იპყრობს ქადაგებათა კრებულები. ჰომილიებში ზოგადი მორალისტური საკითხების გვერდით არის კონკრეტული ფაქტები ახალციხის სინამდვილიდან. ბევრი მათგანი XVIII საუკ. 80-იან წლებით თარიღდება.

ახალციხის მუზეუმში დაცული ხელნაწერების მნიშვნელობა თავისი ლიტერატურული ხასიათის გამო, სიძველით და ნუსხათა სიმრავლით არ გაიზომება.

ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა ქვეყნდება პირველად. ამ აღწერილობით იწყებს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში დაცული ხელნაწერების აღწერილობის პუბლიკაციას.



ლოცვანი. 1858

208 ფ. 6,5×9,5; ქალაღი; თავნაკლული, შემორჩენილი ძვ. პაგინაციის მიხედვით აკლია 18 გვერდი; 131-132 ფ. ფ. ამოვარდნილია; მუყაოს ტყავგადაკრული ყდა; ლურჯი მელანი; მხედრული; სათურების, აბზაცის დასაწყისისათვის, ზოგჯერ დასაწყის სიტყვებისათვის გამოყენებულია წითელი მელანი; 1858 წ. (208r); გადამწერი ალექსანდრე იაკობის ძე გოციელოვი (208r); გადაწერის ადგილი: „პაველე ნებეირიძის დუქანი“ (208r).

[ლოცვანი]. „...[კვირის] სავარდი. — ...ლა თავი და განუტევა სული. გარდმოიღეს ჯვარი და მათ დასდევს საფლავსა. ში დედოფალო, წმინდაო მამაო, იმ სატკივარისა გულისათვის იესო ქრისტეს ჯვარზედ რომ ჰქონდა იმას ხევეწე რამ სააქაოს სიცოცხლის...“ 1r—205v.

შენიშვნები: 1. ლოცვები კათოლიკური შინაარსისაა.

2. ფურცლებზე 119v, 133v, 207v და 208r არის პრიმიტიული ნახატები: ყვავილი ვაზაში.

3. შემორჩენილია „საძიებელი ადვილათ პოვნისა გინა ზანდუკი“:

ოთხშაფათის სავარდი.

პარასკევის სავარდი.

კვირის სავარდი.

ლითანია წა ნებისა.

დგას ჯვართანა.

ქართული ტერ ამენაალი (უფალი ყოვლის მყრობელი).

ქართული ფარქი ფარქუმი.

გალობა ხმოანი წირვისა.

გალობა კვდრისა.

ლოცვა იჩენიო ფაფისა.

ლოცვა ყოველ დღევ სათქმელი.

გალობა მარიობისა.

ლოცვა წა ნერსესისა.

ინმანი უთენ ქართული.

ქართული ნორასტელძალი.

გალობა წა ჯვარისა.

ლოცვა თვრამეტი ათას წლისა.

იესოს ხმა.

გალობა ყოვლად წის შობისა.

პირველი კვირის გალობა.

ლოცვა ხუთ დაყოდილობისა.

შესხმა იესოსი.

წირვის დარეგება.

აღსარების ჩხრეკა.

ლოცვა სინანულისა.

ლოცვა აღსარების უკან.

ლოცვა ზიარების უწინ.

ლოცვა წა თომა აქვინელისა.

ლოცვა წა ზიარების მიღების უკან.

ლოცვა წა მამა იოსებისა“ (206r—207v).

ანდერძი: „აღსრულდა შეწვევითა ღთისათა 1858-სა აპრილის 15-სა. დავწერე მე — ალექსანდრე იაკობის ძე გოკიელოვმან. წამკითხველნო, გვედრებით ერთი „მამა ჩვენო“ და ერთი „გიხაროდენით“. აღიწერა პავლე ნებერიძის დუქანში“ (208r).

(2)

108

### ხმა იესოხი. 1799

66 ფ. 11,7×8,1; ქაღალდი; მუყაოს ტყავადაკრული ყდა; თავნაკული, აკლია 8 და 9 ფურცლებს შორისაც; მხედრული; შავი მელანი, სათაურებისათვის სინგური 1799 წ. (8v); დაზიანებული, დალაქავებული.

[ხმა იესოსი] — „...სახიერი მე, უნდა მომკვდარიყო დიდის უპატივრობითა, მწარე სატანჯველითა და სიკვდილითა.

მეორე ლახვარი. იფიქრე, თუ როდესაც იმ უშველო ჭეროდემ დაზოცა ჩვილი ყმარწვილები ყმარწვილი იესოს გულისათვის, რომ ჩაეგდო იესო კელში და მოეკლა...“ 1r—66v.

შენიშვნები: 1. სათაური აღდგენილია № 117 ხელნაწერის მიხედვით (ფ. 77r).

2. თხზულება კათოლიკური შინაარსის სწავლა-მოდერგებაა.

3. „სწავლა-მოდერგება შედგება „შვილი ლახვარისაგან“, რომელსაც ბოლოს ერთვის ლოცვა, „შვილი სიხარულისაგან“ და 8 ღლის შეგონება-ლოცვებისაგან.

4. უმნიშვნელო მინაწერებია 10r—v.

5. მე-7 ლოცვას აკლია ბოლო 4 სტრიქონი, შდრ. № 117, 105r.

ანდერძი: „1799 დასრულდა თიბათვის 30; გვედრები ერთი „გიხაროდენით“ ჩემს ფიქრზე თქვი წმიდა მარიაპთან“ (8v).

„მხურვალეებისათვის და სიხარულისა მიმართ შვიდთა სიმხიარულეთათვის, რომლითა გატკბება დედუფალი ჩვენი ცათა შინა, გიხაროდენ, ში სძალო უბიწოვო, სულის წმიდისაო, სიხარულითა მისითა. რომლითა გიხარის აწ სამოთხეში, რამეთუ შენის მართლის სიწმიდითა და ქალწულობით ამაღლდი. მაღლი უჯესტეს, ვიდრე ანგელოზთაგან და ყოველთა წმიდათაგან ერთი გიხაროდენი თქვი: ვინიხარე, შ კემშარიტო ღელაო ღმრთისაო, სიხარულითა მისით“.

(3)

109

### წიგნი საგანზრახვო ლოცვისა. 1862—68

154 ფ., 10,5×7,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1862 წ. (4v) — 1863 (151r); მთარგმნელი იტალიურიდან სომხურად პეტრე მოძღვარი (4r), სომხურიდან ქართულად — მონა გიორგი (4v), დაუწერელია: 1r—3v, 152v—154v.

წიგნი საგანზრახვო ლოცვისა — „თავი პირველი, წინასიტყუა. აწ ვინათგან შემოკლებული ესე წიგნაკი ლოცვისა ლაპარაკობს მხურვალეებასა ზედანცა, ამისთვის კეთილად აღმოჩნდა, რომ მცირე რამ ვიმეტყველო ნაყოფსა და სარგებელსა მას ზედან, რომელი ამა წა წურთნისაგან მოიპოვების...“ 7r—151r.



**შენიშვნები:** 1. სათაური აღდგენილია შესავლის მიხედვით.

2. თხზულება სომეხ-კათოლიკეთა სწავლა-მოძღვრებაა.

3. წინ უძღვის შესავალი: „წინარეს სწავლება სცან, ში კეთილ აღმომკითხველო, რამეთუ წიგნაჲ ესე იწოდა „კლიტეღ“, განმხუნელად გულთა ცოდვისა მიერ დახშულთა, არამედ ნუ იყოფინ, რათა არა გრწამნეს, რომელი წიგნაჲისა მას ძალ უღვას განხენა გულთა, რომელნი ცოდვითაგან დახშულ არიან, ვინაიცა, უფალო, შენ განიზრახე ამათი სწავლისა მისაებრ, რომელსა დაესწერ აღსასრულსა ამის წიგნაჲისა, მას ეამსა ჰპოებ, თუ ვითარ მართალი კლიტე არს ესე გასაღებლად ცოდვით დახშულ გულებისა და შესაწყნარებლად ღთისა მადლებისა. და ითქვა უმხურვალესი გარჩევისა მიმართ იმ გასაღებებთა, რომლები არათუ გაღებენ (!) გულთა ცოდვილთასა, არამედ გაღებენ (!) კარსა ჯოჯოხეთისასა მათთვის; ხოლო ამისთვის ენატრობ, რომ არათუ მართო კაცთა ინამყოფონ, არამედცა მსოფლიოთა და მარტივ გონებიანთა მათ ისარგებლოდ ამ წიგნისაგან. ამისთვის არ ვინებე შედგომა ყოველი რიგისაებრ ღრმატაკოსთა, მაგრამ უმჯობროსდა კეთილად ვგონე, რომ ღრმატაკოსთ მე მიპირდაპირონ, ვირემც თუ მსოფლიოთა და ერთგულთ ერთა წაიკითხონ და ვერ შეიტყონ და ამ წიგნის ლექსებისაგან და სარგებლისაგან მოსწყდნენ“ (5r—7r).

**ანდერძი:** 1. წიგნი სავანზრახვა ლოცვისა კლიტენი მხურვალეებისანი, რომელიც განხუნანი (!) კართა დახშულთა ცოდვისა მიერ, თარგმნილი ლათინური და იტალიურისაგან სომხურს ენასა ზედა პეტრე მოძღვრის მიერ ტფილისელისა, მარჩილის ქალაქსა შინა დასტამფული (!), ხოლო სომხურისაგან ქართულთ ენასა ზედა—ვინმე ყოვლად მდაბალი მონისაგან გიორგისა სულისათვის სასარგებლოდ ქალაქსა ახალციხისასა, წელსა უფლისასა 1793 მაისის 11. 1862 მარით პ'ლსა (4r—v).

2. „აღიწერა წელსა უფლისა 1863, ძანერის 23-სა“. (151r).

(4)

110

### ლოცვანი. 1806

69 ფ.; 12×9,5; ქალაღი; ფიცრის ტყავგადაკრული ყდა; დაზიანებული, თაყნალული, აკლია შუამიც, ფურცლების კიდებეი შემოციტქნილი და ალაგ-ალაგ დახეული; მხედრული. შავი მელანი, გახუნებული; ორი ხელი; პირველი — 1r—8v, II ხელი ძირითადი დანარჩენი; გადაწერილია 22.X.1806 წ. (69v). ძირითადი ნაწილის გადაწერია სტეფანე.

[ლოცვანი], — „ევედრე ჩვენთვის, ნეტარო ქრისტეც, რათა ღირსი ვიქმნათ აღთქმათა ქრის... ღთ... აღუთსოქვი... დ ყოველმან ...ლმან ხადოს მას არა ცნოს (?) მის სვრისაგან გევედრებთი, მომეც ჩვენ... 1r—69v.

**შენიშვნები:** ლოცვები კათოლიკური შინაარსისაა.

**ანდერძი:** „აღსრულდა 18<sup>10</sup>/<sub>22</sub>—06, სტეფანე“ (ხელრთვა) (69v).

(5)

111

### კრებული. XIX

217 ფ.; 10,5×8,5; ქალაღი; მუყაოს ყდა; დაზიანებული; ორი ხელი; მხედრული; შავი მელანი, [XIX ს.] დაუწერელია; 108r—v.

1. ცხოვრება წმიდა ელექსიანოსი (!). — ნეტარული აღექსიანოს ერთი დიდი და ჩინებული კაცის შვილი იყო. სახელი მისი მამისა ეფ-

მიანოს. ჰრომის ქალაქსა შინა არკადეოს და ვონორიოს კეთილმსახური მე-  
 ვების (!) დროს ეს ეფიმიანოს დიად ზენგინი კაცი იყო... 1r—31v.

**თავდება:** „ბოლოს მისმ (!) დედმამამ აღაშენეს ერთი მშვენიერი ეკლესია  
 თავიანთი ხარჯითა და იქ დაასვენეს მისი წმიდა გვამი. და თვითან აიღეს ხე-  
 ლი თავიანთ ქონებისაგან, დაურიგეს გლახაკთა და ეკლესიებს და შევიდნენ  
 იმ ეკლესიის მსახურათ და იცოცხლეს კეთილათ. მოეწივნენ თავიანთ სანატ-  
 რელს შვილსა ზეციერს დიდებაში, სადაც აქებენ წმიდასა უკუნიითი უკუნი-  
 სამდე“ 31v.

2. წამებული წისა გიორგისა მხედართუმფროსისა. —  
 სიქადული ქტიანობის კიდევ განთქმული დიდი მოწამე ქესი, მხენ წამებული  
 წა გიორგი, რომელი მშვენიერი სახელისაებრ ითარგმნების ქვეყნის მომქმე-  
 დი, ვითამც საქმის მოყვარული მუშაკი სათნოებისა“... 32r—96r.

**შენიშვნა:** ფ. 47r—95v ნაწერია სხვა ხელით.

3. „წამებულობა წმიდისა კლემე ენგურის მამათ-  
 მთავრისა და რომელნიც მასთან მრავალნაირათ გატან-  
 ჯული და თანამსგავსი წამებული წმიდაა გრიგოლ. — წა  
 კლემე ენგურელი, სიქადული სოფლისა გალატელთა, იშვა ქალაქსა შინა ენგუ-  
 რისა, რომლის მამა იყო წარმართი, ხოლო დედამისი ქრისტიანი და სახელი მი-  
 სი ეფროსინე, რომელი დაქვრივდა და შერჩა ობოლი ეს პატარა ყრმა“... 96v—  
 107v.

**შენიშვნა:** თარგმნილია სომხურიდან.

4. „შიში განსაწმედელის სატანჯველთა“. — „კეთილი ყო-  
 ველი რააც აქუნდა, შესწირა განსაწმედელის სულთათვის, მოითხოვების  
 ერთი ქალწულისათვის, რომელის სახელი ჩეთრუტა რომ იყო, დიდათ მოწყა-  
 ლე საპყრობილეთ მყოფთა სულთა განსაწმედელისა, რამეთუ დღე და დამე  
 ყოველს სასჯელსა, ყოველს საკანუნოსა, ყოველს მარხვასა და ლოცვასა, ყო-  
 ველს აღთქმასა და თავის ხორცის ცემასა შესწირებდა ღმერთსა... 109r—112v.

**შენიშვნა:** სათური მიწერილია 107v-ზე. მოთხოვა თარგმნილია, ალბათ,  
 სომხურიდან.

5. „რომელი შეიწყალებს განსაწმედელის სულთა, და-  
 იხსნების სულიერ და ჯორციელი განსაცდელისაგან, წელსა ულსა 1620. —  
 ჭაბუკი ვინმე ახლორეს ადგილთაგან ჰრომისა ფრიად აშვეებული და ბოროტი  
 ქცევისა, რომელი იყო დამაბრკოლებელი მრავალთა მოქალაქეთა და იგოდნათ  
 (!) აღორძინდა თავისი ავკაცობა, რომ მრავალი კაცი აღძრა თავის მხერობა-  
 ზელ...“ 113r—117v.

**შენიშვნა:** მოთხოვა თარგმნილია, ალბათ, სომხურიდან.

6. „მოცემული პატიუთათვის განსაწმენდელსა შინა  
 ცოდვისდაგვართ სხვათა მოთხოვობათა შორის წინ მოვიდოთ ის, რომელიც  
 შემთხვევია წა ეპისკოპოზ ბერნიოსა, რომელიც ერთ საღამოს ლოცვის უკან  
 დარჩა ეკლესიაში. ლოცულობდა და, აჰა, უცრათ კაცი ვინმე საშინელი და

პირგაშევებული სხვასახიანი გამოჩნდა მის წინა და აქუნდა კისერზე შემორტყმული ანთებული ცეცხლის კამარა“... 118r—126v.

შენიშვნა: ტექსტი თარგმნილია. ალბათ, სომხურიდან.

7. „წამებულობა წმინდის ჰევსოქის სალდათის. — მხნე სოლდათი და გამარგვე (1), წამებული ქრისტესი წმინდა ჰევსოქის, რომელი ითარგმნების უჩუმარი, გინა წყნარი, იყო ჯარისკაცი მაქსიმინის კერპმსახური მეფისა სარწმუნოებით. ქრისტიანი და მოშიში ღთისა მორწმუნე გვარი“... 126v—130v.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაწერია სხვა ხელით. თხზულება თარგმნილია, ალბათ, სომხურიდან.

2. „აიწერა ეს წიგნი 1873-სა ქრისტიშობის თვის 8-სა“ (130v).

8. [მოთხრობა მალაქია მეფის შესახებ]. — „...სული მალაქია მეფისა მის ყოვლითურთ გაპრწყინვალეებული და გამშვენიერებული, რომელი ჩამდა შესანატრელად ყოველთა და ჰრქვა მხიარული ხმითა, ახლად გამოვედი პატივისაგან განსაწმედელისა და უნდა შევიდე სიხარულისა სასუფეველისა ღთისა ნაყოფითა ყოვლად მოწყალე ლოცვისა შენისა“... 131r—v.

9. „უმეტესად გამოსარჩეველი არის სიკუდილი განსაწმენდელში ყოფნისათვის, ვირემც დარჩენა საქაოს საფარსესა შინა ცოდვისა. — და ამას ცხადათ აჩვენებს შემდეგი მოთხრობა წა სატანისლოოს ეპისკოპოზის დრაქოვ ქალაქისა. ამ ეპისკოპოზმან იყიდა ფულითა თავისა ეკლესიისათვისა ერთი სამკვიდრო მულქი რაიმე ერთი მოქალაქე კაცისაგან, რომელი სახელი პეტრე, და სრულობით გარდუხადა...“ 131v—138v.

შენიშვნა: თარგმნილია, ალბათ, სომხურიდან.

10. „მხნე გულით მიტევება უმძიმესი ბრალისა თავის მახიანებელისათვის მიზეზი ვახდება განსაწმედელის სულის გამოხსნისა. — ძველი წა მოძღვარნი ოთხსანიის შეწევნეს დასახვენ მიცვალეულთათვის, ვითამც მარხვასა, მოწყალეობასა, ლოცვასა და წირვასა. მაგრამ ახალი მოძღვარნი შეჰმატებენ ერთ სხვასაც, რომელი არის უმთავრესი, ვითამც გულიდგან მიტევება მძიმე ზიანისა...“ 138v—149r.

11. „რომელიც თავის სიცოცხლეში არ იქსკეთილსა, ცუდათ მოელის სიკვდილის უკან შეწევნასა სხვათაგან. — იყო ქალაქსა შინა მილანისა ქალწული ვინმე მარაპეტი, ვითამც ქალწულთა უმფროსი მონასტერსა შინა წისა მართასი, რომელსაც სახელი ერქვა არქანჯელა, ესე დიდის მონადგლობით ეწოდა სულთა განსაწმედელისათა...“ 149r—154r.

12. „მორჩილი ვინმე, ვითარცა შვილი ღთისა, მიიღებს მოკლე განსაწმენდელსა, დიდ სათნოებათა და ნაყოფთა შორის მორჩილობისა, რომელი იძების წა წერილთაგან და წმიდა მამათაგან, ეს არის უპირველესი რომ აღზენის ანუ დაამკირებს სატანჯველსა განსაწმედელისასა...“ 154r—156v.

13. „ღთისმშობლის მარია მის სასწაულთამოქმედი ამუნაშატიის მოთხრობა, გადმოწერილი დაბეჭდილი წელსა წელისა (!) 1838 სომხურიდან ქართულზე. — ფარეზის ქალაქში წელსა 1830 სნეულთა შემგვლემან ერთმა ქალწულმან იხილა ღთისმშობლის უმანკო ჩასახების მეტალი ფეხზე მდგომარე, რომლის ხელებიდან ჩამოდიოდნენ ნათელი...“ 157r—165r.



14. „რომელი მეტათ უეხიზნების შეწევნასა სხვათა, უფრო თუ თავის საქმესა კეთილსა არ დაფუძნავს კეთილად. — ნეტარული კატერინე ჯენუველი ჩვეული იყო თქმად ამ მოსახსენებელი სიტყვისა: სული განაწმიდების სააქაოს ცოდუათათვისთაგან და იმოქმედებს კეთილსა ერთი...“ 165r—167v.

15. „მოთხრობანი. პირველი. დასაჯამს მართალი მიცვალებული უღმთოსა კაცსა და მრავალთა ამ ფერთა მაგალიტთაგან წინ მოვიდო მხოლოდ ის, რომელსაც მოგვიტხრობს თომა ქანთითარელი. თუ ჩინებულს ომსა შორის დიდი კარლოსი იყო სტრატიო — ვინმე...“ 168v—183v.

შენიშვნები: 1 წინ უძღვის: „სულთა განსაწმედელისა, დაბეჭდილი წელსა უღლისა 1846 ანგარის ცხრასა. სიტყვა წამკითხველისა მიმართ. თუმცა მეწადა, რომ დაბეჭდულა სხვა მოთხრობის წიგნები, მაგრამ ვარჩიე ეს განსაწმედელის სულთა მოთხრობანი მუდამ თავის წინ ქონკისათვის, რომელი გადმოგწერე სომხურიდან ქართულსა ენაზედ ცხადი სიტყვებითა, რომ ყოველს ერისჯანს შეეძლოს ადვილათ მისი შეტყობა, თუმცა მეცნიერთა თან არა რაჟი“ (168r).

ეს ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ქართული წიგნი, ტ. I, გვ. 101. წიგნი, რომელიც აქ იგულისხმება, დაბეჭდილი ყოფილა 1838 წ. ხიზაბაქას).

2. „დასრულდა ანგარის 11-სა“ (183v).

3. შედგება ხუთი მოთხრობისაგან.

4. ნაწერია განსხვავებული ბელით.

5. მოთხრობები გადაწერილი ჩანს აქვე დაცული დაბეჭდილი წიგნაკიდან № 44 (149), რომელსაც „პარტეზი პატარა“ ეწოდება.

16. [ლოცვები]. — „სპასეი. უცდიდთ ღმერთსა ჩემსა და მოველოდი ცხოველმყოფელსა, რომელი იხსნის მონათა თვისთა და აცხონებს, დღება მამასა და ძესა...“ 184r—216v.

შენიშვნები: 1. ლოცვები თარგმნილია სომხურიდან, როგორც ერთი მინაწერიდან ჩანს: „ქართულზე ნათარგმნი“ (190v).

2. „ლოცვები“ რამდენიმე ნაკვეთისაგან შედგება, ნაკვეთები დაყოფილია მუხლებად. სულ 10 ნაკვეთისაგან შედგება.

(6)

112

### საქრისტიანო მოძღვრება. XIX

44 ფ.; 9×14; ქაღალდი; მუყაოს ყდა; დაზიანებული; ფურცლები დახულები; თავბოლო ნაკლები; აკლია შუაშიც, მხედრული; შავი მელანი; სათურგები სინგური; [XIX ს.].

«ს ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა» — „...თავის გულში არ მოიგონოს და არც ირწმუნოს სარწმუნოების უმფროსი საიდუმლონი, საღმთო იმედი და სიყვარული არ გახლოს, მძიმედ შესწოდამს.

კ. მაგაებს რა ჰქვიან?

მ. ამაებს ჰქვიან, რომ ღმერთზედ სათქმელი ღუაწლნი ამიტომ, რომ სამთავეში ღმერთზე ვიტყვი, ვითამც ღმერთი გუვრწამს, ღთისაგან იმედი გვაქს და ღმერთი გვიყვარს...“ 1r.

წაღება: „...მოვალენი არიან უმფროსნი, რომ თავიანთ უმცროსთ „მამაო“ ჩვენო“, „გიხაროდენი“ და „მრწამსი“ ასწავლონ. და თუ თვითონ ვერ ასწავ-

ლიან, ერთს მართალს მაღიდებელს უნდა მისცენ, რომ ასწავლოს კეთილი მოქმედება“ 44v.

**შენიშვნები:** 1. თხზულება სამ ნაწილადაა დაყოფილი, თითოეულ ნაწილს აწერია „საქრისტიანო მოძღვრება, თავი ა“ და ა. შ.

2. თხზულება წარმოადგენს თარგმანს. დაწერილია კიხვია-მოგების ფორმით.

3. შემორჩენილი სამივე ნაწილის შედგენილობა ასეთია:

ა. პირველად საქმე სარწმუნოებისა. ბ. მეორედ საქმე იმედისა, გ. მესამედ საქმე სიყვარულისა. დ. განკაცების გამო სიტყვა ღთისა.

თავი (ე) უფალი ჩვენი იო ქრისტეს შობისაგამო.

თავი (ვ) უფალი ჩვენი იო ქრისტეს სიკვდილისათვის.

თავი (ზ) უფალი იესო ქრისტეს ამალღებისათვის“.

[ნაწილი მეორე] „საქრისტიანო მოძღვრება.

ა. ლოცვისათვის.

თავი (ბ) მოწყალებისათვის.

თავი (გ) მარხვისათვის

თავი (დ) ღთის და წა ეკლესიის ბრძანებასა ზედა.

თავი (ე) წა ეკლესიის საიდუმლოთა ზედა: ნათლისღებისათვის, მირონის ცხებისათვის, აღსარებისათვის, წა ზიარებისათვის, მღუდლის კურთხევისათვის, ზეთის ცხებისათვის.

საქრისტიანო მოძღვრება, ნაწილი მესამე: [თავი ა]: ავის მოშორებისათვის. თავი (ბ) სამართალსა ზედა, თავი (გ) ჯოჯოხეთსა ზედა, (ე) წა უამის წირვისათვის, (ვ) წა სავარდესა ზედა, სახლის უმფროსობის ვალსა ზედა.

4. ქვედა ყდა სომხური ხელნაწერის ფურცლების შეწყებებით არის გაკეთებული.

(7)

113

### საქმე მოციქულთა. 1821—1822 წ.

220 ფ.; 11×8,5; ქალაღი; რესტავირებული; ფიცრის ტყავდაფარული ყდა; შავი მელანი; სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით. ნუსხა-ხუტური. სათაურები ასომთავრულად; გადამწერი ოსე გაბაშვილი, (155v); 1821—1822 (5v და 218r); დაწერილია: 2r—4v, 218v—220v.

„საქმე წმიდათა მოციქულთა, წარწერილი წმიდისა მოციქულისა ლუკას მიერ. თავი პირველი. დასაწყისი... პავლესი დასაწყისი ა. პირველი ესე სიტყვა... ყოველთათჳს. მ, ღთის მოყვარეო თეოფილე, რომელთა იწყო იწ ყოფად სწავლა...“ 7r—185r.

**შენიშვნები:** 1. ტექსტს წინ უძღვის: „უწყებანი მოციქულთა საქმეთა, აღწერილი მოციქულისა და მახარებელისა ლუკას მიერ, ყოვლად წელთა მრავალთა ოქვებისა. წიგნსა ამას საქმე მოციქულთა ეწოდების, ვინააფგან საქმენი მოციქულთანი თანაუპირის, მოთხრობილ არს ლუკა მახარებელისა. ვითარმედ იყო ნათესავით უკუშ ანტიოქელი და ქელოვნებით მკურნალი, ხოლო ვიდოდა მოციქულთა თანა და უფროსდა პავლესათა და, მუწყებელი ქეშმარიტებისა, აღსწერს და მოგვითხრობს, ვითარმედ ღრუბლისა მიერ შეწყნარებით ამალდა უფალი და სულისა წმიდისა მოფენასა მეერგასესა დღეს მოციქულთა ზედა და ყოველსა ქმნელსა“ (ფურცლის დაზიანების გამო აღარ იკითხება (5r).

2. 6v-ზე არის თხზული ოქროს ასოებით ნაწერი შემდეგი: „ესე ვიწყე ექსორიობას შინა ქალაქსა ბელოლოროთისა მონასტერსა წისა ნიკოლოსისა მე, ზახარია (მოძღვრისა) ძემან ოსე ღაბა(ონმან)“ (6v).



3. ერთვის „საძიებელი კვირიაკეთა“ 186r—218v. „საძიებელი თქმული აღსავალთა და წარდგომათა, ვითარ ყოველთა დღეთა თანა გაცთ. კითხუა სამოციქულოსა შუდელუთა ყოველთა შინა წმიდასთა. კვირიაკესა, პასექისასა აღსავლი აჲ ქრისტესანი აჲ კმაი ბ, მუხლი ა.“

**ანდერძები:** 1 „უფალნო ჩემნო და თანა წარმავალნო, ჩემ უღირსისა თანა ლოცთ მომიტენებდით აღმწერელსა ამისსა გაბაონს ოსეს, ძესა ზახარია მოძღვრისასა, რომელმანცა ვიწყე წერად სამოციქულოსა ამის ექსორიობასა შინა რუსეთს, ქალაქსა ბულოლოროთისსა. მონასტერსა წინსა და საკრებლომჭემდისა ნიკოლოზისსა, თუშსა ოკდონბერსა დ დღესა ქრისტეს აჲთ ჩუკა“ (5v).

2. „განსრულდა პერობილებასა შინა რუსეთს, ქალაქსა ბულელოროთისასა, მონასტერსა შინა წმიდისა და საკირველთმჭემდისა ნიკოლასსა, ქრისტეს აჲთ ჩუკბ, თუშსა იანვარსა ია დღესა.“

მე ყოვლად უღირსმან პროთოიერმ... [გაბა]ონის ზახარია მოძღვრის ძემან ოსე] აღმწერე ფრიადითა შრომით [სამოციქულო] ესე ყოვლად სრული და ვითხოვ [წამოთხვე]ლთა მიერ შენდობასა, რათა ღმერთმან თქუშნცა [შე]გიქნუნეს ცთომანი და ღირს გყუნეს საზოგადოსა მის ყოველთა აღდგომასა დამკვიდრებად წმიდათა თანა, უკუნიით უკუნისამდე, ამინ, ამინ“ (185v).

3. „განსრულდა სამოციქულო ესე სადიდებელად მამისა ღმრთისა, და ძისა, და ყოვლად წმიდისა სულისა, ამინ, ოსეს მიერ გაბაონისსა, რომელიცა ყოველთა მიერ შენდობასა მოქენობს, თა იანვარსა ია, ქრისტეს აჲთ ჩუკბ“ — (218r).

(8)

114

### კრებული. XIX

269 ფ.; 12,5×8,5; ქალაღი; მუყაოს ტავგადაკრული ყდა; ფურცლები შიგადაშიგ დაზიანებულნი; მხედრული; შვიი მელანი; ორი ხელი. I — ძირითადი 2—238 ფ.; მეორე შედარებით მოგვიანო 241—263; 1861 წ. (2r); დაუწერელია: 238v—239v, 162r—v, 152r—v, 127r—v, 113r—v; 66r—v; 36r—v, 1r—v.

1. «წალოკოტი». „ლოცვისა. — რა მიხვიდე ტაძრის ბჭესა სათქმელი. დაჰშოით აჲა, ყოველნო უწმინდურნო განზრახვანო, ხოლო შენ, სულო ჩემო, განკრძალულად იქეც სახლსა ღვთისასა. რა შეხვიდე ტაძრად, სთქვი: შევიდე მე წასა სახლსა შენსა და თაყვანი ვჰსცე ტაძარსა წმიდასა შენსა და აუარო სახელსა წასა შენსა შიშითა შენითა... 5r—238r.“

**შენიშვნები:** 1. თხულებას წინ უძღვის: „წალოკოტი, რომელსაც შინა იპერობიან სხვა და სხვანი ლოცვანი სასარგებლოდ. საზოგადოდ ქრისტიანთა ყოველთა და უმეტეს კათოლიკეთათს, რომელნიცა შეკრებილ იქმნა 1861 წელსა“ (2r).

2. „წინსიტყუაობა. აჲ, ძმანო ჩემნო, წიგნსა ამას სახელ ვჰსდე წალოკოტი. ამისთს, რამეთუ ვითარცა წალოკოტსა შინა ხილვად სხვადასხვა მშუშნიერთ ყუავილთა ახარებენ თვალთა და დაატკობენ საყნოსელთა, ესრეთვე ამას წიგნსა შინა შეკრებილ ლოცვთა აღმოკითხვად ახარებს გულსა და სულსა, განაბრწყინებს გონებასა და დაატკობს კაცსა სასუფეველურის დიდებისათს, არამედ ყოველთა ქრისტიანთა თანა გვაძს ლოცვად, არა თუ ოდენ პირთა, არამედ გულთა და გულისმხისყოფითაცა. რამეთუ სიტყვანი ოდენ პირისა ჩვენისანი ვერ მიიწვიან ღვთისადმი და არც ბრძანებულ არს ჩუშნდა მხოლოდ პირით ლოცუად“... (3r—4v).

3. ერთვის „საძიებელი ლოცვთა“ 265v—268r.

2. „შუადღის ლოცვა ორმოცეული მარხვისა. — სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ამენ.“

უფალო, აღახვენ პირი ჩემი, რათა უგალობდე წმიდასა და სხვა. იძიე № 73 ფურც...“ 107r—127r.

3. „დიდ ხუთშაბათის ტრაპეზის მოხდის პირველი ფსალმუნის წირვის შემდგომად —

მღ. იწყებს: დივიზურუნო სიბი ვესთრი მენთა შუა. ეთ სუპერ ვესტრუმ მუამ მის ერუნთ მოროემ.“

#### ფსალმუნი კა

ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ მე, რადასათჳს დამიტევებ მე. შორის არიან ცხოვრებისა ჩემისაგან სიტყვანი ბრალთა ჩემთანა...“ 128r—151v.

4. შობის ლოცვა, ორი რიგის სულიერი დამზადება, რომელიც განაწესა წმინდამან ეკატერინემ ბოლონგელმან. იწყების ეს ლოცვა ნომბრის 29-დან ვიდრე დეკემბრის 23-ს ღღემდინ.

ბრძოლით დავრდომილნი წმიდათა ფერჯთა შენთა, სიმდაბლით გევედრებით, ჰ, ცოდვილთ მეოხეო საღმრთოსა...“ 153r—161v.

5. ლოცვანი შემდგომად ზიარებისა. რა დააჩოქო შენს ადგელს, ჰსთქვი: აღვივსენით ჩვენ უფალო, სიკეთითა შენითა მიღებითა ვორცისა და სისხლისა შენისათა დიდება მადალთა შინა...“ 184r—189v.

6. „ლოცვა ხუთთა წყლულთა მიმართ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი — სიმშვიდითა სულისა ჩემისათა დავრდომილი ქუცზე უწმიდესთა ფერჯთა შენთათა...“ 190r—193r.

7. „ლოცვა სინანულისა წმიდისა ჯვრისა მიმართ და მიჰსდა მინდობილობასა ზედა. — ცისა და ქუცყნისა მპყრობელო, ჩემო გამჩენო...“ 193r—194r.

8. „ლოცვა დღითი-დღე სათქმელი წმინდისა ღმრთის-მშობლისა მიმართ, უკეთუ გსურს ხილვა მისი ჟამსა სიკუდილისა შენისასა. — შეიწყნარე აწ დიდებულო დედოფალო, ჩემო სახიერო, გლახაკი ესე ვედრება...“ 194r—198v.

9. „ლოცვა სინანულისა დღე ყოველ სათქმელი. — მამაო, მე ვჰსტოდე ცადმი და წინაშე შენსა, ვითარ ვაგებდო მე შენდა მამად წოდება...“ 198r—205v.

10. „ლოცვა ქალწული მარიამის მიმართ დღე ყოველ სათქმელი მოსაგებელად მეოხებისა მისისა. — ჰ ყოვლად წმიდაო ქალწულო მარიამ, დედა ღმრთისაო...“ 206r—v.

11. „ლოცვა მფარველი ანგელოზის მიმართ. — ჰ წმინდაო ანგელოზო, მფარველო და წინამძღვარო ჩემო, გევედრები შენ. სათნო ჰყავ მზრუნველობა შენი...“ 207r—v.

12. „ლოცვა ყოვლად წმიდისა მიმართ დღე ყოველ სათქმელი, რათა ჟამსა სიკუდილისა იყოს შემწე და მეოხე უკანასკნელს მინუტსა. — ყოვლის შემძლებელო და მოწყალეო დედაო, ქალწულო მარიამ, შემობრალე და შემწეო ცოდვილთაო...“ 208r—209r.

13. „მხურვალეება შვიდთა ვნებათა მიმართ ყოვლად წმიდისა ქალწულისა მარიამისათა. — თაყუანს გცემ შენ, უფალო ჩემო იესო

ქრისტეო, და გვედრები შენ მოხსენებითა მახვილისა მის აღლესილისათა...“  
209r—216r.

14. „ლოცვა სინანულისა ცოდვათა შენდობისა მიმგებელი დღე ყოველ სათქმელი მხურვალედ. — ღმერთო მაცხოვარო ჩემო, რომელმან წინასწარმეტყუელისა შენისა...“ 216r—217v.

15. „ლოცვა სინანულისა სათქმელი სიკუდილის დროს, ანუ სარეცელსა ზედა, რაჟამს მიიწიოს დასაწოლად (ლოცვა ესე თუ მომაკუდავმა სთქუას, სრული შენდობა მიიღოს, ანუ თუ უმოძღვრო ალაგს სიკვდილი ვისმეს შეემთხვეს, იტყოდეს სნეულობასა შინაც მხურვალედ). — უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო, არა უცხოთა ვითხოვ შენგან...“ 218r—219v.

16. „გვარის გზა, გინა გვარის აღზიდულობა ქრისტესი, მარტის პარასკეობით სათქმელი. — მღ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა ამინ. — მღ. ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მოხედენ. მგა. — უფალო, შეწვენად ჩემდა ისწრაფე, დიდება მამასა და ძესა და სხეა...“ 219v—238r.

17. [ხ მ ა ი ე ს ო ს ი]. — „სიხარულისა საიდუმლო ყოველად წმიდის საგარდო. ერთი „მამო ჩვენო“ და ათი „გინაროდენი“ ვთქვათ და ვიფიქროთ პირველი საიდუმლო სიხარულისა ყოველად წმიდის საგარდო, ოდეს ღმერთი, ყოვლის მპყრობელი, დაუტბა (!) ქვეყანას...“ 241r—263v.

შენიშვნა: 1 სათური აღდგენილია № 117 ხელნაწერის მიხედვით.

2. კათოლიკური შინაარსისა თარგმანი.

3. 265r—268r არის „საძიებელი ლოცუათა“.

მინაწერი: 1r-ზე არის „ეგვენია მეფისოვისი“.

2. „წალოტი ლოცუათა“. გ ო რ და გ ო გ ო ლ ა ძ ე (??) 16/III—37 წ. ქ. ახალციხე“ 153v.

(9)

115

### თომა კემფელი, შედგომა ქრისტესი. XVIII—XIX

322 ფ.; 13,5×9; ქალაღი; ხის ტყავადაკრული ყდა; მხედრული; შავი მელანი; სათურები სინგური; [XVIII—XIX სს]; დაუწერელია; 102r—103v, — 105r.

„შედგომა ქრისტესი, წიგნი პირველი თომა კემფელი, ბერი ეკლესიური წესისაგან წმიდის ოქოსტინესი, ქრისტესთან შედგომასა ზედა. სახმარი ტუქსვანი სულიერ ცხოვრებისათს. თავი პირველი, ქრისტესთან შედგომასა ზედა და ყოველი სოფლისა ამის ამაოების გალახუსა ზედა. — „რომელი შემომიღებს მე, არა ვიდოდის ბნელსა“ (იოვანე 8, 12), იტყვის უფალი. ესენი არიან სიტყვანი ქრისტესი, რომელთაგან ვიტუქსვით და ვიწურთნებით...“ 1r—315r.

შენიშვნები: 1. შედგება 4 წიგნისაგან: I — წიგნი — 1r—65v; II წიგნი — 66r—101v; III წიგნი — 104r—251r; IV — წიგნი 251v—306v.

2. ერთგის: „მანვენებელი“ წიგნთა და თავთა. სწავლანი მარგებელნი სულიერ ცხოვრებათა მიმართა. თავი პირველი“ 315v—322v.

3. ერთგის: „ლოცვა ყოველად მამა ღმერთის მიმართ სათქმელი უწინარეს ჟამის წირვისა, ჟამისწირვასა ზედა, რომელი აღმოღებულ არს საქმეთაგან თომა კემფელისა და ამა დღის ჩართული. — მოხედენ ყოველად მოწყალეო მამო წმიდო, სახლისაგან შენისა და ბანაკისაგან...“ 307—315.



4. თხზულება უთარგმნია დავით ტულუქაშვილს (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 78).

(10)

116

### განსაზრახულებანი ქრისტეს წმიდა ვნებათა ზედა. 1872

186 ფ.; 12,5×10; ქაღალდი; მუყაოს ყდა, მხედრული; შავი მელანი; ვა-  
დამწერი ტერ იოანე ასტვაწათუროვი (186r); 1872 წ. (186r); დაუწერილია:  
1r—2v; 186v—187v.

„განსაზრახულებანი ქრისტეს წმიდა ვნებათა ზედა, ნაყოფნი ფიქრობისა ქრისტეს ვნებათა. — სულთა მოყვარე ყოვლად საყუარელმან მაცხოვარმან ჩვენმან შეგვატყობინა, გინა გვამცნო, ვითარმედ თვისი ქუწყანასა ზედა მოსვლისა და განკაცების მხოლოდ...“ 3r—185v.

შენიშვნა: თხზულება შედგება „ოქქესმეტი საფიქრებელსა-განზრახლისა-გან“, ე. ი. თავისაგან.

2. კათოლიკური შინაარსისა.

ანდერძი: „ეედ ქრისტეს წა ვნების განსაზრახული აღვასრულე 1872 წელსა, მაისის 10-სა დღესა, ს. ხოზაბავრასა შინა. უ. მ. ტერ იოანე ასტვაწათუროვიმ“ (186r).

(11)

117

### კრებული. XIX

I+114 ფ.; 15×9,5; ქაღალდი; ტყავადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ტექსტი ზოგან გაცხოველებული სხვა ხელით; [XIX]; 65r-ზე თავსამაჟულია; 90r-ზე ტექსტის მელნით ჩაბატულია ჩიტი ტოტზე, 114r-ზე — ყვავილი. დაუწერილია: 5v, 17v, 27v, 39v, 42r-v, 44v, 47v, 51v, 55r-v, 76v. დაუწერიელი გვერდები განზრახვების წინაა, შესაძლოა, ნაგარაუდვეი იყო ჩანახატებისათვის; დაზიანებულია: 109, 113, 114 ფფ.

I. [გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა ნ ი]. „განზრახვა ყოვლად წმინდა სატანჯველთა ზედა ქრისტესი, განზრახვა დაბანვასა ზედა ფეხთა. — უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, უწინარეს დარიგებისა წმინდა კორცისა და პატიოსანი სისხლისა თვისისა...“ 1r—59r.

შენიშვნა: შედგება თორმეტი განზრახვისაგან:

„განზრახვა [ა], დაბანვასა ზედა ფეხთა“ (1r—5r).

„საფიქრებელი (ბ), განძრახვისათვის კორცისა და სისხლისა უფლისა“ (6r—11v).

„განზრახვა (გ), ქრისტეს სატანჯველებზედა ლოცვისათვის უფლისა მტილსა შინა“ (12r—17r).

„განზრახვა (დ), სატანჯველთა ზედა ქრისტესი გაცემისათვის მის იულისაგან“ (18r—22r).

„განზრახვა (ე), ქრისტეს სატანჯველთა ზედა შეპყრობისათვის უფლისა“ (22v—27r).

„განზრახვა (ვ), წყევანისათვის ქრისტესი ანა მღვდელთ-მოთვრის სახლში“ (28r—32v).

„განზრახვა (ი) (ზ), პეტრეს უარყოფობისათვის ქრისტესი“ (33r—39r).

„განზრახვა (თ), წყევანისათვის ქრისტესი პოლატესთან და მისი ცემისათვის“

სვეტს ზედა“ (40r—41v). მოსდევს: „ჩამოხსნა ქრისტესი სვეტიდგან (წილი ბ)“ (43r—44r).

„განზრახვა (თ), ქრისტეს ეკლის დაგვირგვინებისათვის“ (45r—47r).

„განზრახვა (ი), ქრისტეს წაყვანისათვის გოლგოთის მთას ზედა ჯვარსაცმელად“ (48r—51r).

„განზრახვა (ია), უფლისა ჯვარცმისათვის“ (52r—54v).

„განზრახვა (იბ), ქრისტეს გვერდის გაღებისათვის შუბითა“ (56r—59r).

II. „ლოცვა წირვის უკან სათქმელი, რომელსაც კლემენტ მეორე პაპმან (მთქმელთა ამა შედგომილი ლოცვისა) მიჰმადლა შენდობა ყოველთა ნაკლებულებათა, ქმნულთა ანუ უგულვებელსყოფვილთათვის წირვისა მიმართ, კიდევ შენდობა ორიათას სამასი წლისა. — გვედრებით შენ, ტკბილო იესო, უფალო ჩემო იესო ქრისტეო, რათა სატანჯველნი შენნი იყვნენ ჩემდა ძალი...“ 59r—64v.

III. „შვიდნი ფსალმუნნი სინანულისა, ფსალმუნი ვ. — უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მასწავლი მე...“ 65r—76r.

წმდება: „...დიდება მამასა და ძესა და სულსა წმინდასა, ვითარცა პირველად იყოს აწ და...“ 76r.

შენიშვნა: შეიცავს ვ, ლა, ლზ, ნ, რა, რკთ და რმ ფსალმუნებს.

IV. „ხმა ექოსი. ისმინე, შვილო, ჩემი ტკბილი სიტყვანი. — უ. რომელნიც ამ ქვეყნის ფილასოფებზე უფრო უკეთილესნი არიან და ჩემი სიტყვა კაცის ჭკუისაგან აუწონელი არის.

მ. ნეტაი იმ კაცსა, რომელსაც ასწავლი შენ, უფალო, და სჯულსა შენსა განუტხალებ...“ 77r—111r.

შენიშვნა: ტექსტი კითხვა-მიგების ხასიათისაა უფალსა და მოძღვარს შორის. ტექსტში ჩართულია ლოცვები. ეს მასალა შესულია № 108 ხელნაწერშიც.

V „ტირილი მოვანესი. — შენ, ჩემო ტკბილო ოსტატო,  
 შენ, ჩემო მასწავლებლო...“  
 111v—114r.

შენიშვნები: 1. გალექსილია დასაწყისი ორი სტროფი, შემდეგ ტექსტი პროზად გრძელდება.

2. კრებულში შეტანილი მასალა კათოლიკურია.

3. ხელნაწერში ჩაღებულია ფრანგული ნაბეჭდი წიგნიდან ამოხეული ფურცლის ფრაგმენტი, რომლის ერთ გვერდზე გამოსახულია იესო ეკლის გვირგვინით.

მინაწერები: 1. „ეს წიგნი მართასია“ (1v). ეგვევ მინაწერი ლტურჯი მელნით და ფანქრით მეორდება 1r-სა და 47r-ზე. ფანქრით მინაწერი დედაბრუ-ლი ხელითაა შესრულებული.

2. ხელნაწერის ზედა საცავი ფურცელი ჩამოხეულია, დარჩენილ ნაწილზე იკითხება სხვა ხელით ჩაწერილი ლოცვა ღვთისმშობლისადმი.

116 ფ.; 15,5×10; ქალღი; მუყაოს ყდა; ყდაზე შიგნით დაწებებულია ფურცელი სომხური ნაბეჭდი წიგნისა, ქვედა ყდაში ჩაკერებულია ქართული ნა-



ბეჭდი წიგნის ფურცლები; მხედრული, ორი ხელი: I (1r—48v), II (49r—115v); [XVIII—XIX]; ნაკლული.

[ქ ა დ ა გ ე ბ ა ნ ი]. — „...ლნი კაცის გულსაო. საბრალო ცოდვილები ცდილობენ, რომ თავიანთი ცოდვებით ნეტარელნი შეიქმნან...“ 1r—115v.

- შენიშვნები:** 1. შედგენილობა: ტექსტი იწყება მე-2 ქადაგების შუიდან. 3—6 ქადაგებები არ არის დასათაურებული. დასათაურება იწყება მე-7 ქადაგებიდან: 7. „ქადაგება ცოლ-ქმრობის საიდუმლოსა ზედა“ (25r—31r). 8. „ქადაგება ადამიანების დაცინებაზედა“ (31r—36v). 9. „ძრახუაზედ“ (36v—42r). 10. „ქადაგება ჯოჯობეთზედ“ (42v—48v). მე-11 ქადაგების სათაური არ იკითხება, ეს ქადაგება ხელნაწერის 49r—57r-ზეა. 12. „ქადაგება ღვთის სიყუარულზედ“ (57r—60r). 13. „ქადაგება ცოდვის სიდიდზედ“ (60r—67r). 14. „ქადაგება ჩოლფოტობაზედ“ (67r—72r). 15. „ქადაგება ჯავრიანობაზედ“ (72r—76v). 16. „ქადაგება კეთილში გაძღვებისათვის“ (77r—81v). 17. „ქადაგება ახალწლისა ღვთის სიყუარულზედ“ (81v—86r). მე-18 ქადაგება დასათაურებული არ არის, მაგრამ ტექსტის დასასრულს მიწერილია: „ეს ქადაგება დროს დაქარგუაზედ იყო“ (91v). 19. „ქადაგება უძღების ძისა“ (92r—99r). 20. „ცხოვნების სიძნელესა ზედა“ (99r—104v). 21. „ქადაგება ქვეყნის ცუდობაზედ“ (105r—109r). 22. „ქადაგება სიკუდილის მოსვლის უცდინრობაზედ“ (109r—115v). 2. მოსდევს: „ზანდუქი ამ ქადაგებებისა“ (116v). 3. ქადაგებები კათოლიკურია, ყოველი ქადაგება იწყება სომხური ტიტოტით ძველი ან ახალი აღთქმიდან.
- მინაწერები:** მინაწერებია 86r-ზე და ზედა ყდის შიდა კიდეზე.

(13)

119

### ქადაგებანი. XVIII ს-ის ბოლო

140 ფ.; 16,5×11; ქაღალდი; მუყაოს ყდა; ყდაზე დაკრულია ყვავილის ფორმის გამოჭრილი ქაღალდი; მხედრული; [XVIII ს-ის ბოლო]; დაზიანებულია ფ. 111; 77v-ზე მელნით ჩახატულია ყვავილი; დაუწერელია ფ. 94.

[ქ ა დ ა გ ე ბ ა ნ ი]. — „რამეთუ მომავალ არს ძე კაცისა დიდებითა მანისა თვისისათა თანა ანგელოზებითურთ თვისით, და მამინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთაებრ მათთა (მათეს 16,27) — ვითამც ამ სოფლის დასრულების დროს და გათავებისა მოსასვლელ არს ჩვენი უფალი იესო ქრისტე...“ 3r—140v.

**შენიშვნები:** 1. თვეფურცელზე აწერია „წიგნი ქადაგებისა, რომელსა შინა შეიცავს 24 მშენიერი ქადაგებანი სადიდებელად ღვთისა და სასწავლოთ მორწმუნე სულებისა, აღწერილი ვინმე ცოდვილი ლუდლისაგან წელსა უფლისასა 1793, 26/4“ (2r).

2. ქადაგებები ტექსტში დასათაურებული არ არის. ქადაგებების დასასრულს მიწერილია თემა და თარიღი: I ქადაგების ბოლოს — „მეორედ მოსულის ქადაგება წელსა უფლისასა 1783, იანვრის 4 დაიწერა“ (9v). III ქადაგების ბოლოს — „ამ რვეულში ორი ქადაგება არის, ორივე ამპარტავნობაზედ და ცოტა რამ სწავლება წყალობის გამომეტებაზედ“ (16v). ამგვარი მინაწერებია XII, XIII, XV, XVI, XVIII, XIX, XXI—XXIV ქადაგებების დასასრულს. ზოგან

2. ხელნაწერთა აღწერილობა

გატანილი თარიღი: XVI ქადაგების ბოლოს — „1782 ენენის 16-ს“, XXII ქადაგების ბოლოს — „1781 იანერის 5“, XXIII ქადაგების ბოლოს — „ფერისცვალობის კვირის სწორს, 1781“.

3. უძღვის: „საძიებელი წიგნსა ამას შინა მყოფთ ქადაგებებისა“: 1. „ქადაგება მეორედ მოსელისა“ (3r—9v).

2. „ქადაგება ამპარტანოზაზედა“ (10r—14r).

3. „ამპარტანოზაზე კიდევ“ (14v—16v).

4. „ქადაგება ჯავრიანოზაზედან“ (17r—20v).

5. „ქადაგება დაზარებაზედა“ (21r—28r).

6. „ქადაგება ავმუტლობაზედან“ (29r—32v).

7. „ქადაგება კვალად ამპარტანოზაზედან“ (33r—39r).

8. „ქადაგება შურზედან“ (39v—45r).

9. „ქადაგება ანგაპარებასა ზედა“ (45v—51r).

10. „ქადაგება სულის ცხონებაზედან“ (51v—60r).

11. „ქადაგება სულიწმინდის მოფენაზედან“ (60v—68v).

12. „ქადაგება დაბრკოლებაზედან“ (69r—72v).

13. „ქადაგება უძღვებ შვილებზედან“ (73r—77v).

14. „ქადაგება ჭურის ამაღლებაზედან“ (78r—84r).

15. „ქადაგება ღვთის სამსახურზედა“ (85r—88v).

16. „ქადაგება ჭუარის პოვნაზედა“ (89r—93v).

17. „ქადაგება ღვთის სიტყვის უნაყოფობაზედან“ (95r—99r).

18. „ქადაგება მართალი ქრისტიანობის ნიშანზედა“ (99v—103v).

19. „ქადაგება ღვთის ზელის აღებაზედან სიკუდილის დროს“ (104r—111v).

20. „ქადაგება რისხვის მიცემაზედა“ (112r—118v).

21. „ქადაგება მარიამის მიცელებაზედან“ (119r—125v).

22. „ქადაგება სინანულად მოწოდებაზედან“ (126r—132v).

23. „ქადაგება მადლში გაძლებაზედან“ (132v—136v).

24. „ქადაგება მოვესის სიყვარულზედან“ 137r—140v).

2. ქადაგებები კათოლიკურია, იწყება ციტატებით ძველი და ახალი აღთქმიდან ქართულად და სომხურად.

შინაწერები: 1. „1795 მოვიდა ღიღის ჯართა აჰმად შაჰი, რომელსა უწოდდნენ მიედიჯ ხანსაცა, ტფილისის ქალაქზედ, რომლის მეფე იყო ერეკლე, რომელი ვერ დაუდგა წინ მათს ძელსა, რომლისათჳს ამტკიცებდნენ, რომ ჰყოლოდეს სამასი ათასი კაცი, რომელმან მარიამობის თვის ნახევარიდამ ენენის თვის ნახევარამდინ სრულიად გააოხრა და გააფუჭა ქალაქი ტფილისისა სრულად და დასწვა ყოველი ნაშენი საყდრებითურთ და დახოცა მრავალი სული და დაატყვეაო. მრავალნი ამბობდნენ: კინადამ შვიდი ათასი, რაც მოეწონა მის უეტესს თვალგბსა, ქალნი თუ რძალნი, ჰბუჯნი თუ ყრმანი... [ო]ღვის რისხუასა...“ (1r).

2. „ტერ მოვანე ლაზარიანისა“ (1r).

(14)

120

### საგალობელთა კრებული. XIX

326 გვ.; 17×10; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა, ყდაზე ვარაყით გამოხატულია ჯვარცმა; მხედრული; სათაურები და სტროფების დასაწყისები, აგრეთვე საგალობლების სტროფთა ნუმერაცია სინგურით; [XIX]; დაზიანებულია: გვ. 31—32, 179—180; ჰვირნიშანი: 1828 (გვ. 9—10, 17—18).

1. „შობის გალობა. —

მოისვენე, მოისვენე, შვილო ჩემო  
საყვარელო, ტბილის ძილით...“

2. „მეორე გალობა. —  
 ანგელოზი ღვთისა  
 განახარებს მწყემსთა...“  
 6—10 გვ.
3. „მეორე გალობა. —  
 მოგილოცავთ, ში ქალწულო,  
 შემდგომ შობის უბრუნელო...“  
 10—12 გვ.
4. „წყალკურთხევის გალობა. —  
 მძლავრ ჰ[ე]როდე, რათ ძრწუნდია  
 მო[ს]ვლისთვის ღვთის მეფისა...“  
 12—14 გვ.
5. „მირქმის გალობა. —  
 ში ბეთლემ, შენ ხარ უმფროსი  
 დიდ ქალაქთა და იქმენ ღირსი...“  
 14—16 გვ.
6. „იესოს სახელის გალობა. —  
 იესო — ტკბილ არს მოხსენება,  
 ჰეშმარიტი გული შვება...“  
 16—19 გვ.
7. „მირქმის გალობა. —  
 ში ქალწულო მარიამ,  
 უბიწო მზეზედა...“  
 19—24 გვ.
8. „მარხვის გალობა. —  
 აკურთხებდით დღეს უფალსა,  
 რამეთუ მოიწია...“  
 24—35 გვ.
9. „წმინდა მამა იოსების გალობა. —  
 იოსებ, დღესასწაულობენ გუნდნი ზეცისა,  
 იოსებ, აკურთხე ქრისტიანის კრებასა...“  
 35—55 გვ.
10. „იოვანე ნათლისმცემლის გალობა. —  
 ანგელოზი ახარებს ზაქარიასა  
 შობად ყრმა დიდი წინაშე უფლისა...“  
 55—62 გვ.
11. „ყოვლად წმინდის მოკითხვა ელისაბედისა, გალობა. —  
 აღდგა მარიამ და წარვიდა  
 მთად მსაწფლად (!) იუდასა...“  
 63—64 გვ.
12. [ანნაზე, ღვთისმშობლის დედაზე]. —  
 „ში წმინდა ანნა, ღვთისმშობლის დედაო,  
 ათასისაგან დედათა გამორჩეულო...“  
 65—69 გვ.



13. „მ[ე]ორე გალობა. —  
 დღეს სული მარიამისა  
 ავა ვარსკვლავთა ზედა...“  
 69—73 გვ.
14. „იოვანეს თავის კვეთის გალობა. —  
 პეროდემ იოვანე შეაბორკილა  
 ცოლისათვის ძმისა მისისა...“  
 73—80 გვ.
15. „მეორე გალობა ყოვლად წმინდისა შობისა. —  
 მოსივენე, დაიძინე, მოსივენე,  
 წმინდა მარიამ ქალწულო...“  
 80—85 გვ.
16. „წმინდა სავარდის პირველი გალობა. —  
 დღეს წმინდა სავარდის დედოფალსა  
 თავზე დავდებთ სამფერ გვირგვინსა...“  
 85—88 გვ.
17. „ყოველთა წმინდანების გალობა. —  
 დამშვიდე (!), ქრისტე, მონათა,  
 რომლისათვის მამის მოწყალებისა...“  
 88—90 გვ.
18. „მეორე გალობა. —  
 ში ყვაეილნო, განიხარენით,  
 ში ნეტარნო, მზიარულ იყვენით...“  
 91—93 გვ.
19. „ტაძრად მიყვანება დეტისმშობლისა. —  
 ში ჩვილო ასულო, როგორ შევენიერ  
 ტაძრის მიმართ არიან შენი სლვანი...“  
 93—97 გვ.
20. „ბ გალობა. —  
 უხრწნელმან ქალწულმან უწოდა,  
 დახსნის უამი მოახლებულა...“  
 97—99 გვ.
21. „გალობა ყოვლად წმინდის უმანკო ჩასახებასა. —  
 ში მარიამ, უმანკო ჩასახებულო,  
 დედა ანნის უცვოდოდ (!) მუცლად-დებულო...“  
 99—101 გვ.
22. „ბ გალობა. —  
 უმწიკველ ასულო ანნისა,  
 შენ შემწედ მიცემულ ხარ ჩვენდა...“  
 101—104 გვ.
- შენიშვნა: გალობის დასასრულს მიწერილია: „შეგვეწიენ, მარიამო“.
23. „ცხრა დღის გალობა შობამდინ, „მაღალ გამჩენოს“ წილ  
 სათქმელი. —  
 მოვედ, დამხსნელო სოფლისა,  
 მოგელოდის ზეცის მამა...“  
 104—107 გვ.

24. „ხუთი დღის შობამდისინ გალობა (ბ). —  
 გამოხდა ბრძანება კაისრისა  
 აღწერად ყოვლისა სოფლისა...“  
 107—109 გვ.
25. [გალობა]. —  
 „დღე რისხვისა, დღე იგი სრვის  
 სოფელს. აქცევს ნაცარსავით...“  
 111—116 გვ.
- შენიშვნა: უძღვის: ა. „წმინდა წირვის შველა მისცალებისა (1), განსვენება  
 საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო...“ (110 გვ.).  
 ბ. [ლოცვა]. — „ახსენ, უფალო, სულნი ყოველთა მორწმუნე მიცვალებულ-  
 თანი...“ (111 გვ.).
26. „მეორე სახარების სათქმელი. —  
 იესო, დამხსნელო ყოველთა,  
 რომელ პირველად ნათლისა...“  
 119—121 გვ.
- შენიშვნა: უძღვის ლოცვა: „უფალო იესო ქრისტე, მეუფეო დიდებისაო,  
 იხსენ სულნი ყოველთა მორწმუნეთა მიცვალებულთანი პატივისაგან ჭოჯობე-  
 თისა და სიღრმისაგან მღვიმისა...“ (117—118 გვ.).
27. „ბგალობა. —  
 კიდით აღმოსავალით მზისა  
 კიდრე კიდემდე ქვეყნისა...“  
 121—124 გვ.
28. „გალობა წმინდა სტეფანესი. —  
 მოწამე უძლეველო, მამისა  
 მხოლოდშობილს შეუღდეგ ძესა...“  
 124—125 გვ.
29. „იოვანე მოციქულის გალობა. —  
 იშვებდეს ქვეყანა შვებითა  
 და ცა იხარებდეს ქებითა...“  
 126—128 გვ.
30. „ბგალობა იოვანესი. —  
 ესმა მძლავრ შიშითი  
 მეფე მთავარი მოსული...“  
 128—129 გვ.
31. „გალობა უმანკო ყრმათა. —  
 მი ყვავილნო მოწამეთა,  
 რომ კიდესა ცხოვრებისა...“  
 129—130 გვ.
32. „გალობა შემდგომად შობისა. —  
 ეგ აღსრულებულ უფლისა,  
 რომელსა აქებენ ერნი ქვეყნისა...“  
 130—132 გვ.



33. „გალობა წმინდა სილიბისტრო რომის პაპისა. —  
 იესო, დამხსნელო ყოველთა,  
 გვირგვინო საღმთო მთავართა...“  
 132—134 გვ.
34. „იესო სახელის გალობა. —  
 იესო, მეფე საკვირველო  
 და მძლეველ კეთილშობილო...“  
 134—136 გვ.
35. „გალობა წმინდა მამა იოსების, ა გალობა. —  
 იოსებ, ცის თვალო, მტკიც სასო ჩვენისა  
 სიცოცხლისაო და მწეო სოფლისა...“  
 136—137 გვ.
36. „ბ გალობა (!). —  
 იოსებ, მორწმუნე შვებით ვსცემთ პატივსა  
 და ვგალობთ მაღალსა ძლევასა მისსა...“  
 138—139 გვ.
37. „გალობა მარხვის. —  
 დგა ჯვართანა იესოს დედა,  
 სიმწუხრით მასზედ ცრემლობდა...“  
 139—142 გვ.
38. „ბ გალობა. —  
 წმინდაო ქალწულო ქალწულთა,  
 ნუ იყავნ გულძვირად ჩემდა...“  
 142—144 გვ.
39. „გ გალობა. —  
 წმინდაო დედავ, ეს მიქემნ,  
 ჯვარცმულის წყლულნი დანერგენ...“  
 144—145 გვ.
40. „გალობა ჯვარის პოვნის. —  
 გამოვალნ ნიშანი მეფისა,  
 ბრწყინავს საიდუმლო ჯვარისა...“  
 145—148 გვ.
41. „ბ გალობა. —  
 უგალობდეთ აწ ჩვენი ენა  
 გვირგვინსა რჩეულ ბრძოლასა...“  
 148—151 გვ.
42. „ამაღლების გალობა. —  
 საუკუნო უმაღლეს მეფეო,  
 დამხსნელო მორწმუნეთა...“  
 151—154 გვ.
43. „სულიწმინდის მოსვლის ა გალობა. —  
 აწ ქრისტე ვარსკვლავთა ავიდა  
 და მიიქცა, სიდგამო მოსულა...“  
 154—157 გვ.

44. „ბ გ ა ლ ო ბ ა. —  
 კვალად ნეტარ სიხარულსა  
 ჩვენდა მოგვიყვანს სლვა წლისა...“  
 157—160 გვ.
45. „წ მ ი ნ დ ა ს ა მ ე ბ ი ს ა გ ა ლ ო ბ ა. —  
 მამაო სახიერებისა,  
 რომელი სუფევს ქვეყანასა...“  
 160—161 გვ.
46. „ბ გ ა ლ ო ბ ა. —  
 ში ერთებაო სამებისა,  
 რომელი უფლობს ქვეყანასა...“  
 161—162 გვ.
47. „წ მ ი ნ დ ა ზ ი ა რ ე ბ ი ს ა გ ა ლ ო ბ ა. —  
 წმინდა დღესასწაულს შეერთვნით შევება  
 და ყოვლი გულისაგან გრგვინდეს ქება...“  
 162—165 გვ.
48. „ბ გ ა ლ ო ბ ა. —  
 სიტყვა ზემოურ ჩამოხდა,  
 არც მამა დაუტეია...“  
 165—167 გვ.
49. „გ ა ლ ო ბ ა ა წ მ ი ნ დ ა ი ო ვ ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს ა. —  
 წმინდა იოვანე, გახსენ ბაგენი,  
 არაწმინდანი რა მოშვებული...“  
 167—169 გვ.
50. „ბ გ ა ლ ო ბ ა. —  
 უდაბნოს ქვაბთა ხვალ სიღრმესა შენსა,  
 მტოლვარე მოქალაქეთა შფოთისა...“  
 169—171 გვ.
51. „ბ გ ა ლ ო ბ ა. —  
 ში ფრიად ნეტარ, მალალ მადლისაო,  
 სპეტაკ ქალწულო, მეუდაბნუელო...“  
 171—173 გვ.
52. „პ ე ტ რ ე - პ ა ვ ლ ო ბ ი ს ა გ ა ლ ო ბ ა. —  
 საუკუნო ნიჭთა ქრისტესთა  
 და დიდებასა მოციქულთასა...“  
 173—175 გვ.
53. „ბ გ ა ლ ო ბ ა. —  
 ნეტარ მწყემსო პეტრე, ლხინე (!), ლოცვანი  
 მითვალე და სიტყვით ჯაჭენი ცოდვათანი...“  
 175—177 გვ.
54. „ა გ ა ლ ო ბ ა ყ ო ვ ლ ა დ წ მ ი ნ დ ი ს ა. —  
 იერუსალიმ, ცის ქალაქო,  
 მშვიდობის ნეტარ ხილვაო...“  
 177—179 გვ.

55. „მეორე გალობა. —  
 მაღალ კეფით ოლიმპისა,  
 ძე, უმაღლეს მამისა...“  
 179—182 გვ.
56. „ფერისცვალობის ა გალობა. —  
 რომელნი ეძიებთ ქრისტესა,  
 მაღლად აღიხელდეთ თვალთა...“  
 182—184 გვ.
57. „ბ გალობა. —  
 ში იესო ბრწყინვალ, ნათელი გულთა,  
 რაჟამს ახარებ ჩვენ გუნებათა...“  
 184—186 გვ.
58. „ყოვლად წმინდის მიცვალეების ა გალობა. —  
 ეგე აღსრულებული უფლისაჲ,  
 რომ მსახურებით აქებენ ერნი...“  
 186—188 გვ.
59. „გალობა წმინდისა იოაგიმისა. —  
 იესო, გვირგვინო უდიდესო,  
 ჰეშმარიტება უმაღლესო...“  
 188—191 გვ.
60. „წმინდა იოვანეს თავის კვეთის გალობა. —  
 ში ღმერთო, შენ, მოლაშკრეთა  
 წილო გვირგვინო და მადლოცა...“  
 191—193 გვ.
61. „ყოველთა წმინდანების ა გალობა. —  
 მომცემელო საუკუნო ცხოვრებისა  
 იესო, შეეწიე შენთ დახსნილთა...“  
 193—195 გვ.
62. „ახალკვირის გალობა. —  
 მეფობრივ საზრდელსა კრავისა  
 შემოსვილნი სპეტაკ სამოსითა...“  
 195—198 გვ.
63. „ბ გალობა. —  
 ზეცად საუკუნო მეფეო  
 და დამბადებელო ყოველთა...“  
 198—201 გვ.
64. „ყოვლად წმინდის გალობა ა. —  
 გიხაროდენ, ვარსკლავ ზღვისაო,  
 ღვთის დედაო და მაღალო...“  
 201—203 გვ.
65. „ბ საგალობო. —  
 რომელ ზღვა და სრულ ქვეყანა უგალობენ  
 და ვარსკლავნი ეთირითურთ თავყვანს-სცემენ...“  
 204—205 გვ.



66. „გ ს ა გ ა ლ ო ბ ო. —  
საშომან მარიაშისამან იტვირთა  
მწყემსი სოფლისა...“  
205—207 გვ.
67. „გ ა ლ ო ბ ა კ ვ ი რ ა კ ი ს ა. —  
ში ქალწულთა უმაღლესო ქალწულო, შენ  
დედუფლად გვირგვინოსანი ზეცას ხარ შენ...“  
207—209 გვ.
68. „ბ ს ა გ ა ლ ო ბ ო. —  
ქალწულთა შორის უდიდეს ქალწულს  
და დიდებით ზეცას ამალელებულს...“  
209—210 გვ.
69. „გ ა ლ ო ბ ა. — ვექსილა რეგის პროლეუნთ...“  
211—213 გვ.
70. „ჰ [ი] მ ნ უ ს. — იესო რედემტორ ომნიუმ...“  
213—216 გვ.
71. „ი მ ნ უ ს. — ქრუდეღის პროდეს დეუმ...“  
216—218 გვ.
72. „ჰ ი მ ნ უ ს. — თე იოსებ ცელებრენტ აგმინა ცელითუმ...“  
218—220 გვ.
73. „ჰ ი მ ნ უ ს. — სალუთის სუმანე სათთორ...“  
220—221 გვ.
74. „ჰ ი მ ნ უ ს. — ვენი ქრეათორ სპირითეთეს...“  
222—224 გვ.
75. „ჰ ი მ ნ უ ს. — იამ სოლ რეცედით იგნეუს...“  
224—225 გვ.
76. „ჰ ი მ ნ უ ს. — უთქვეანთ ლაქსის რესონარე ვიბრის...“  
225—227 გვ.
77. „ჰ ი მ ნ უ ს. — პლააქარე ქრისტე სერვეულის...“  
227—230 გვ.
78. „ჰ ი მ ნ უ ს. — სთაბით მატერ დოლოროსა...“  
230—235 გვ.
79. „ჰ ი მ ნ უ ს. — ვექსილა რეგის ფაროდუნთ...“  
235—238 გვ.
80. „ჰ ი მ ნ უ ს. — ქრისტე ქოდვესორ დომინე ქვოლენთეს...“  
238—240 გვ.
81. „გ ა ლ ო ბ ა ქ ა ლ წ უ ლ თ ა. — იესუ ქორონა ვირგინუმ...“  
240—242 გვ.
82. „მ ი რ ქ მ ი ს ს ა ნ თ ლ ი ს დ ა რ ი გ ე ბ ა ს ა ზ ე დ ა. ლ უ მ ე ნ ა დ  
რ ე ვ ე ლ ა ც ი ო ნ ე მ გ ე ნ ც ი უ მ. — ეთ გლორია პლემის თუე ისრაელ...“  
242—243 გვ.
83. „მ ა გ ნ ი ვ ი ქ ა თ ი ს ხ მ ა ზ ე ს ა თ ქ მ ე ლ ი გ ა ლ ო ბ ა. — ნუნქ  
დიმითის სერვუმ თუუმ...“  
243—244 გვ.

84. „გამოსვლაზე და. — აღორნა თალამუმ თუუმ სიმონ...“  
246—247 გვ.
85. „შესვლასა ზე და. — ობთულერუნთ პრო ეო დომინო...“  
247—248 გვ.
86. „ნაცრის ოთხშაბათს ნაცრის კურთხევის უწინ  
სათქმელი. —  
ექსავდინოს დომინე ქვონიამ ბენიგნა...“  
248 გვ.
87. „ფსალმუნი, საქმის დღის ფსალმუნის ხმაზე სა-  
თქმელი. —  
სალუმ მევაქ დეუს ქვონიამ ინტრა...“  
249 გვ.
88. „ნაცრის დაყრაზე სათქმელი. — ამთემურ ჰაბითუ ინ ცი-  
ნერე ეთ წილი...“  
249—251 გვ.
89. „ფსალმუნი, საქმის დღის ხმაზე სათქმელი. —  
ადივანოს დეუს სალუთარის ნოსტე...“  
251 გვ.
90. „გზობის (!) კვირიაკი, გზობის (!) კურთხევის წინ  
სათქმელი. —  
ჰოსანა უილიო დავით ბენედიქტუს...“  
252 გვ.
- შენიშვნა: მოსდევს ტიპიკალური მითითებანი (252—253 გვ.).
91. „ზის დაყრაზე. — ფუერი ებრეორუმ პროთანტეს...“  
253—256 გვ.
92. „ქარის დახშვაზე და. — გლორია ლაუს ეთ ჰონორ...“  
256—257 გვ.
- შენიშვნა: მოსდევს ტიპიკალური მითითებანი (257—258 გვ.).
93. „შესვლაზე და. — იგრედინტე დომინო ინ სანქტამ ცივიტატემ...“  
258—259 გვ.
94. [გალობა]. —  
„მოძღვართ სახეთა გარდაცვით,  
ვსენათ განზრახვა საკვირველი...“  
262—264 გვ.
- შენიშვნა: უძღვის: ა. „ყოველგვარობით (!) სათქმელი. — დიდება მალალთა  
შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა...“ (259—261 გვ.)  
ბ. „ეს ლოცვა ნორასტე ღმრთი არის. — ღვთის სიტყვისაგან პირველი შექ-  
მული ცანი ცათანი, საცნაურ უსხეულნი...“ (261—262 გვ.).
95. „მარტილოგიოსი. [ა] წინა დღეს შობისა იესო ქრისტესი, დე-  
კემბერს, დღესა მთოვარისასა. — შემდგომად დასაბამისა, რაჟამს ღმერთმან  
ცა და ქვეყანა შექმნა მეხუთათს ას ორმოცდაცხრამეტ წელსა...“  
265—267 გვ.
- [ბ] „ხორციელი შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მასვე დღესა შინა

მიცვალება წმინდისა ანასტასიასი, რომელი ქმარმან თვისმან ფუბლიობ შეიპყრა...“ 268 გვ.

[ა] „მიცვალება წმინდისა ეფენისა ქალწულისა, რომელმან დღეთა მათ გალენოსა კეისრისასა ფრიადნი მადლნი და ღვაწლნა (!) ქმნა...“

269—270 გვ.

[დ] „იკვალად ნიკომედიას შინა ვნება მრავალთ მოწამეთა, რომელნი დღესასწაულსა მას შობისა იესო ქრისტესსა წარვიდენ ტაძრად...“

270—272 გვ.

შენიშვნა: მოცემულია ამ წმინდანთა წამების შესახებ მოკლე სვინაქსარული ცნობები. დასასრულ მოსდევს: ა. „ნუგეშინი-ეცით სულმოკლეთა და არქუთ მას: განძლიერდინ, ნუ გეშინიან, აჰა ლმერთი ჩვენი მოსლვად არს...“ (273—276 გვ.).

ბ. „სახელითა მიმისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამენ. ეილოცოთ: ყოვლის მპყრობელო საუკუნო ღმერთო, მოგემადღე ჩვენ სამარადისო მგურვალისა შეწირვად შენდამი...“ (277—282 გვ.).

გ. „ეს ლოცვა ტერ ამენაკალი არის. ლოცვა მან ასე რ მეფისა იუდასი, ოდეს შეიბრუნეს ბაბილოვანს. — უფალო ყოვლის მპყრობელო, უფალო ღმერთო მამათა ჩვენთაო...“ (283—294 გვ.).

96. [ს ა გ ა ლ ბ ე ლ ი]. —

„უგალობდენ ენა დიდებულსა,  
ხორცსა საიდუმლოსა...“

295—298 გვ.

97. [ს ა გ ა ლ ბ ე ლ ი]. — „ავე მარისტელა...“

298—301 გვ.

98. „წმინდა ბარძიმზე სათქმელი. — დომინე ნეთრას ბესოსი...“ 301—304 გვ.

შენიშვნა: მოსდევს ტიპიკალური მითითებანი, რომელთა შორის ჩართულია ქართული ტრანსკრიპციით ნაწერი ლათინური ტექსტები (304—314 გვ.).

99. „ს ა ფ ლ ა ვ ი ს კ უ რ თ ხ ე ვ ა ზ ე. — მისერერე მეი დეუს სექუნდუმ...“ 315—324 გვ.

შენიშვნები: 1. კრებულში თავმოყრილი საგალობლები კათოლიკურია, ზოგ მათგანს ახლავს ლოცვები და ტიპიკალური მითითებანი (№№ 26, 83, 90, 92, 94, 98).

2. საგალობლები ლათინურიდანაა თარგმნილი, ლათინური საგალობლების ნაწილი აღარ უთარგმნიათ და კრებულში შეუტანიათ ქართული ტრანსკრიპციით (№№ 69—93, 97—99).

შინაწერები: (სხვა ხელით) 1. [ძილის წინ სათქმელი 'ლოცვა]. — „დაეწევი, დამეძინება, პირვეარი დამეწერება...“ (325 გვ.).

2. „პეტეტე ასანასაგანა ავიღე ლუკას წილათა, კარაანტან რომ ყანა იყო, 5 კოდი პური თავედი. ბეგის ყანისა, 16 კოდი ასანას კოლითა. იმის ზეიღამა პატარა ყანა რომ არის, იმისი დიკა 16 კოდი ისრევა ასანასთან არის მიბარებული, თავნიცა შიგ არის, არ გამოყვია. კიდევ 21 კოდი არის ასანასთანა შოშიასიცა და ლუკასიცა. აღსახალის ქმისწულისაგან საკუთარი ლუკასი ერგო 8, ახლაც ისრევა იმასთან არის. პეტეტე ასანასაგან ერგო 8 კოდი პური დიდი ყანისა. კიდევ ერგო პეტეტე



ასანასაგან დიდი ყანისა 8 კოლი პური“ (ზედა ყდის საცავ ფურცლებზე).

3. „ეზ. გიორგაძის“ (იქვე). გიორგაძე ხელნაწერის მფლობელი ჩანს, მინაწერი შესრულებულია ლურჯი მელნით.

4. „ჩემი მულისა მართებს ორი ოზღაშვიდიანი ოქრო, სამივე ურუბია“ (იქვე).

5. მინაწერებია აგრეთვე 7 v-ზე ფანქრით და 322 v-ზე (ჩაწერილია ლათინური და ქართული ფრაზა). 2-ე და 4-ე მინაწერები გამოქვეყნებულია (იხ. შ. ლომსაძე, ახალციხური ქრონიკები, გვ. 236).

(15)

121

### თომა კემფელი, თანა-შედგომა ქრისტესი. XIX

175 ფ.; 15X11; ქალაღი; ტყავადაკრული ხის ყდა; მხედრული, სათურები და საზედაო ასოები სინგური; [XIX]; ავტორი: თომა კემფელი; მთარგმნელი ლათინურიდან: გორელი ტლუკაანთ პაპაშვილი დავით (იხ. შნშ. 3); ნაკული; დაუწერელი; 6r—v, 72v; კიდენამოხეულია 1, 4, 54 და 77 ფფ., ამოხეულია ფურცლები 15 და 16, 18 და 19. 40 და 41, 95 და 96, 110 და 111, 136 და 137 ფურცლებს შორის.

„თომა კემფელი, ბერი ეკლესიერი წესისაგან წმინდის ოგოსტინესი, ქრისტეს თანა-შედგომასა ზედა, წიგნი პირველი, სავმარი ტუქსუანი სულიერი ცხოვრებისათვის. თავი პირველი, ქრისტეს თანა-შედგომასა ზედა და ყოველი სოფლისა ამის ამოების გალახუასა ზედა. — რომელი შემომიდგეს მე, არა ვილოდის ბნელსა — იტყვის უფალი. ესენი არიან სიტყუანი ქრისტესი, რომელთაგან ვიტუქსვით და ვიწურთნებით...“ 7r—175v.

**წყდება:** „...ვიდრე ცხად არა ვიხილო უფალი ჩემი დიდებასა თვისსა შინა, არარაიდ მიჩნს ყოველი რამე, რომელსაც ვხი...“ (IV წიგნის 11 თავი. შდრ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის Q ფონდის ხელნაწერი № 513, 194v).

**შენიშვნები:** 1. უძღვის (სხვა ხელით) ა. [ქება ამ წიგნისა]. — „...მოწმობანი, რომელთაც მრავალი მადლი მიიღეს ამ წიგნის ხშირად კითხვითა, როგორც წმინდა თრომეო კარდინალმან, წმინდა პიო მეხუთე პაპმან, რომელთაც მუდამ ეს წიგნი ჰქონდათ თავიანთ სულიერ წინამძღვრათა და თავიანთ სიცოცხლის გასასწორებლათა. ამ წიგნის კითხვისაგან აილო სული წმინდა ფილიპე ნერმან. აწ ერთს დიდს იეპისკოპოზს იმთონათ მიჩნდა ეს წიგნი, რომ რამდენჯერაც ეტყოდა თავის მოსამსახურებსა, რომ ეს წიგნი მოეტანათ საკითხავათა, სახელს არ ეტყოდა, თუ — წადით, თომა კემფელი მომიტანეთ, — არამედ ეტყოდა — მომეც წიგნი — და მოსამსახურენი ფიცხლავ შეიტყობდნენ, რომ თომა კემფელი უნდუდა (!). წმინდა იგნატიოზმან დაავედრა თავის ბერებსა, რომ ყოველთ თათავიანთ სენაჟში თვითო თომა კემფელი იქონიონ, და ახლაც ინახვენ“ (1r—v). ტექსტი თავდაკულია (შდრ. Q513, 4v).

ბ. „წამკითხავთათვის. — აწე, ქრისტეს მიერ ძმანო, რადგან ეს წიგნი თითქმის ყოველთ გვართ ენაზე გადათარგმნული არის, მეც ვიფიქრე, რომ ქართველის გვარი ამ მადლისაგან არ გამოვარდეს და არ დანატრულდეს. ამისთვის ქრისტეს მიერ თქვენმან სიყვარულმან აღმძრა და გარდამოვთარგმნე ეს ქრისტეს მიდევნების წიგნი ლათინურის ენისაგან ქართულს ენაზედ. და ასრე იკოდეთ, რომ ეს წიგნი ყოველის ქების ღირსი არის, ამიტომ არა თუ მარტო მორწმუნეთაგან, არამედ ურწმუნოთაგანაც დიდათ მიჩნეული არის. ამ წიგნმან ყოველ ქვეყანას გზა განხსნა. არა წიგნი არის ამთონათ ყოველად სანატრელი და საკითხავი დიდთაგან, შუათაგან და მცირეთაგან, რაოდნათაც ეს წიგნი. არა წიგნი არის ამთონათ სხვადასხვა ენაზედ გადათარგმნული, რაოდნათაც ესა. არა წიგნი არის ამთონათ ნაქები, რაოდნათაც ეს არის. აწ, ძმანო, ეს წიგნი ყოველს

ქების ღირსი არის და, თუ ამას ასრუ არ დაიჯერებთ, სცადეთ თქვენვე, თქვენში წაიკითხეთ და მაშინ შეიტყობთ სიტყვების ძალასა და სკამთ ზეციერს მანანასა, რომელსა შინა არიან ყოველი გემონი. ეს წიგნი არის ყოველი ჭირის წამალი, ამ წიგნშიდ იცნობის დაუსრულებელი ღთის განგებულება, ამაშიდ არის მოწვევნილთ გულის დადება. ამით კაცი მრავალს რამესა და ლოცვის რიგს და გზას ისწავლის, ამით კეთილად იცოცხლებს და ამით წმინდათ სიკვდილის ცნობას ისწავლის.“ (აქედან ტექსტი გრძელდება გადამწერის ხელით) „ეს წიგნი იქონიეთ თქვენს საყუარლათა, უბილამ ნუ მოიშორებთ, კიდეც და კიდეც წაიკითხვედეთ. ასრუ იცოდეთ, რომ რაგინდ ისევ და ისევ თავი ათქერ ერთმანერთზედ წაიკითხოთ, უკეთესსა და უკეთესს სულიერს სხუადასხუას გემოს ნახეთ. აწუე მიიღეთ ეს ღმრთისაგან ნაბოძვარი სიკეთე, რომელსა შინა არის ყოველი ქვეშარტი საქრისტიანო ფილასოფობა.“ (1v—3r).

გ. „ც ხ ვ რ ე ბ ა თ ო მ ა კ ე მ ფ ე ლ ი ს ა.— ეს ცხოვრება თითქმის ასეთი კაცის დაწერილი არის, რომ თითქმის თომა კემფელი ს დროს ცოცხლდობდა. ეს თომა, რომელსა გუარის სახელათ ეწოდებოდა კვერი (რომელსა თათრულად ჩაქუჩს ეტყვიან), აწ ეს კვერიანთ თომა კემფელი ქვეშარტიდ კვერი იყო ფავის სიტყუათა და საქმეთა შინა მხურვალეთათვის და უმხურვალეთათვის, რამეთუ სიტყვითა თვისითა არაკუნებდა, სცემდა და აღვიძებდა გულთა მხურვალეთასა უფროს მხურვალეებასა ზედა სულიერი ნაყოფის ქმნასა ზედა და ღთის მადრიელობასა ზედა...“ (3r—5v).

2. თხზულება შედგება ოთხი წიგნისაგან. I, III და IV წიგნების დასაწყისები მოხატულია ფერადი თავსამკაულებით, II წიგნის დასაწყისში მთელი გვერდია მოხატული.

3. ტექსტი თარგმნილია ლათინურიდან გორელი ტლუკაანთ პაპაშვილი დავითის მიერ (იხ. შ. ლომსაძე, ახალციხური ქრონიკები, გვ. 56—57).

მინაწერი: (ლურჯი მელნით) „წაიკითხეთ ეს საინტერესო წიგნი 1929 წელს“ (11v).

(16)

122

## ჟამნი. XIX

2 ფ.; 15,5×9,5; ქალაღი; ფრაგმენტი; მხედრული; [XIX].

„ჟ ა მ ნ ი.— რაჟამს აღსდგე ძილისაგან, განეშორე სარეცელსა და ბრძანე; ლოცვითა წმინდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩენო, შეგვიწყალენ ჩვენ...“ 1r—v.

წყდება: „...მეყსეულად მსაჯული იგი მოვიდეს და თვითო...“ 1r—v.

მინაწერები: 1. (გადამწერის ხელით) „აბა გნახო, კალამო, თუ როგორს“ (2r). ამავე გვერდზე სხვა მინაწერებიცაა, როგორც ჩანს, კალმის გამოსაცდელად შესრულებული.

2. 2v-ზე გვიანდელი ლურჯი მელნით მიწერილია ამ ფრაგმენტის დასაწყისი ფრაზა: „ჟ ა მ ნ ი — რაჟამს (!) აღსდგე ძილისაგან“.

123

ძველ თქმულებათა ცნობანი, ივ. გვარამაძის შედგენილი, ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 124

არჩან თუ არა ქართველ[ნი] კათოლიკენი. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი, დაბეჭდილია „მოგზაურში“, 1902, მარტი, № 111 (საარქივო მასალა).

## 125

იოაკიმ მენანი, განხილვა ასურეთისა და ქალდეეთისა. დაბეჭდილია „ივერიისში“, 1884, № 23—25; ერთვის მინაწერები, გადმოწერილი სვინაქსარიდან (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწერი № 1245) და ვანის ოთხთავიდან (A ფონდის ხელნაწერი № 1335). ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 126

უ. ტლაფორი, დამარღვეველი ლუტერის და კალვინის მწვალებლობისა და ძლიერი მხწავლა მართლმადიდებლობისა. 1894. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 127

გარკვევა მოთხრობათა საღმრთოთა წერილისა ძველისა აღთქმისა კესარიოს კალინოსის იესოს რიგოსნისაებრ გარდმოცემით შედგენილი მესხი იოანე მღვდელი გვარამაძისაგან. სასარგებლოდ ყოველთა კაცთა, მეტადრე სასულიერო პირთა. ქ. ახალციხეს 1896. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 128

კრებული. XIX. მთარგმნელ-შემდგენელი ივ. გვარამაძე. ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 129

ლოცვანი ღვთისმშობლის მიმართ სათქმელი. XIX. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 130

მაისის საღმრთო საწაულო ლოცვანი. 1890. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 131

კრებული. 1908. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).



## 132

ივ. გვარამაძე, საეკლესიო ისტორიული წყაროები. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 133

ივ. გვარამაძე, წმ. მოღვაწე ნინო. 1901. ნინოს ცხოვრების პიესად დამუშავების ცდა. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 134

ტერ იოანე, დღიურები, 1892. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 135

ივ. გვარამაძე, საქართველოს გეოგრაფია. XX. ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 136

ივ. გვარამაძე, წუთიქვეყნის სამნახველო. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 137

ივ. გვარამაძე, ქორონიკონი რომის კეისრებისა. XX ს. დასაწყისი. 16 ფ.; გარდა კეისრებისა, არის მ. ჯანაშვილის წიგნიდან პალეოგრაფიული ნიმუშები (საარქივო მასალა).

## 138

ივ. გვარამაძე, გენეალოგია ჩვენი გვარ-ტომის თავგარდასავალი. XX ს. დასაწყისი (საარქივო მასალა). ძალიან საინტერესოა XIX ს-ის ახალციხის ისტორიისათვის.

## 139ა

ივ. გვარამაძე, ქართლის ცხოვრების წყაროები. 1877. 52 ფ. (საარქივო მასალა).

## ბ

ივ. გვარამაძე, ქართლის ცხოვრების წყაროები. 1877. (საარქივო მასალა).

## 140

ფ. გვარამაძე, ისტორიულ-არხეოლოგიურ-ლინგვისტური ცნობები. XIX ს. მიწურული (საარქივო მასალა). დაწერილია 11 გვ., დაუწერელია 13.

(17)

## 141

## მამაო ჩვენოს თარგმანება. XIX

4 ფ.; 14×9,5; ქალაღი; მიწებებულია 1836 წ. დაბეჭდილ წიგნზე; მხედრული; თავნაკლული; შავი მელანი; განსამარტავი ადგილი სინგურიით; [XIX ს. დასაწყისი].

[მამაო ჩვენოს თარგმანება]. — „...თი მთხოვარი გლახა, ყოველფერად დაჭირებული და კინალამ შიმშილით სიკვდილზედ მიეარდნილი, დავარდეთ ფეხქვეშ ჩვენი სახიერი მამისა...“ 2r—4v.

შენიშვნები: 1. 1 ფ. უნდა წარმოადგენდეს ფრაგმენტს რაღაც ნაწარმოებისა, რომელიც იწყება „მართალი მოყვრები და მართალი ნათესავნი იცნობებიან ბედნიერობის ყაშში. მაგრამ იცნობებიან შეჭირვებისა და უბედურობის ყაშში. ქვეყნიერი მოყვრები მის დღეში...“ (1r).

2. წინ არის დაბეჭდილი წიგნი „პარტეზი სულიერი, რომელსა შინა მრავალნი მხურვალე ლოცვანი დაბეჭდილი წელსა უფლისასა 1836 წ., მაისის 7“. ამ წიგნს ერთვის „მოხსენება“ ლექსად:

„ჩემს ძალზე მეტი საქმე დიაკნობაშიდ ავსახე  
 სადნობელი მადანისგან, წირვის ასონი ჩავსახე.  
 საბეჭდავი არ მენახა, ორი საქმე გამოვსახე  
 კურსი ვჰკარი, ჩამოვასხი ქალაღზედა ასო ვნახე.  
 წამყობველსა ვიადვილებს, ამ წიგნის თარიღი ნახე  
 ჩინი ასო კელთ დაიჰყარ, ყარი მის ახლოს მონახე,  
 ოცდაათი დასით შეჰყარ, ექვსიც მასთან გამოსახე,  
 სრული თარეხი მან გამცნოს, მეხუთე თვის შვიდი ნახე.  
 აღვასრულე იესოს ძალით, ზემოთ ხსენებულს თარეხსა,  
 სასჯელი ბევრი გავწიე, გვირგვინათ მივეცი ერსა,  
 სახელი დავდე პარტეზი, ქართულათ ზალი თარგმნესა,  
 მომიხსენიეთ, მეც ძმანო, თქვენი ლოცვის წილი მხვდესა“.

3. კომენტარი კათოლიკური შინაარსისაა. ერთ ადგილას ნახსენებია: „ამას გავსწავლის წმინდა ა გ ვ ი ს ტ ი ნ ე, რომ ამ სიტყვისათვის...“

(18)

## 142

## წირვის დავთარი. 1793—1807

88 ფ.; 12×7,5; ქალაღი; ტყავის ყდა, დაზიანებული, დანესტიანებული; ბოლონაკლული, აკლია 69 და 70 ფფ. შორის, კიდებუ ჩამოციკქნილი; ყდა დასერილი, მხედრული; შავი მელანი; 1793—1807. (4r—87v); დაუწერელია 2r—3v.

[დავთარი]. — „წელსა უფლისასა 1793. იანვარი.

1 — პოღოსათ არუთენასათენ სათლელ ყაფიურიან ვნახე.

2 — კბილათ ქულისა 4, 3 ყაფიურანმა კუალადცა მამანელის წავიდა.

3 — ბრმა მარიამისთენ 5.

4 — ალექსანათ მათასთენის.

- 5 — გასპარათ ამბარძუმასთვინ.  
 6 — თემისთვინ ახალციხილამ წიგნი სამთი (!).  
 7 — სომხებისთვინ კაკოსათი“... 4r—v.

წყდება: „1807 წ. აპრილის 8...

- 21 — ბურნუხუს.  
 22 — აკოლა დედის.  
 23 — ...  
 24 — ხაზუსი.  
 25 — ნებიერიანთ.  
 26 — ...  
 27 — მესას შვილისა“ 88v.

შენიშვნები: 1. სამწუხაროდ დავთრის შემდგენლის ვინაობა არ ირკვევა.  
 2. ამ ხელნაწერზე ცნობა გამოაქვეყნა შ. ლომსაძემ, იხ. გვიანი შუა-საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, 1979, გვ. 5.  
 3. ხელნაწერში ყოველთვის თითქმის ყოველი დღის გასწვრივ მითითებულია სახელები, რომლებსთვისაც გადაიხადეს წირვა. შიგადაშიგ ჩართულია განსხვავებული ცნობა, ზოგჯერ ისტორიულიც, ვიმოწმებთ მთლიანად.

1794

აპრილი

- 23 — აშტარხანს წიგნი გავ[გზავნე]  
 24 — ყალაყუი (!) პოლოსას ქალი დაიკარგა (13v)

მაისი

- 23 — არტანუჯს წამოველ  
 24 — არტანუჯს ვწირე პირ[ველად] (14v)

ოქტომბერი

- 19 — უმფროსი, პატრმა ნახეთ  
 21 — ლვინო გავ[გზავნე]  
 25 — ტანძის წაველ  
 31 — ხუცესი წავილ[ა] ახალციხეს] (17v)

დეკემბერი

- 21 — დედაი მიიცვალა  
 29 — წიგნები მომივიდა (18v)

1795 წელი

თებერვალი

- 5 — არტანუჯს წამოველ  
 15 — ახალციხეს წამოველ (19v)

მარტი

- 10 — ვალეს მოველ (20r)

აპრილი

- 1 — აღდგომა (20v)  
 13 — არალ[ს] დავმარზე ყმაწვილი  
 17 — უდეს ვიყავ  
 21 — ტერი ვაბრიელა მოვიდა  
 23 — თერძიბაშის ცოლისთვინ (21r)

3. ხელნაწერთა აღწერილობა



## მაისი

- 7 — აღდგომის იძრა  
 23 — ტერ ანტორი მოვიდა, წიგნი დაიწყო  
 28 — ტერ გაბრიელი წავიდა, ტერ სტეფანე (21v)

## კათათვე

- 17 — ტერ ანტონი მოვიდა (22v)

## მარიობისთვე

- 5 — დედაი ვალეს მოვიყვანე  
 6 — უღეს წაველით  
 9 — დედა ქალაქში წავიდა (23r)

## ენკენისთვე

- 15 — ტიფლიზი აიღო (24r)

## 1796 წელი

## მაისი

- 20 — ქარაიანი წავიდა სტამბულისა (29v)

## აგვისტო

- 10 — ფაშა გამოიქცალა შარიდა  
 17 — ლეკი ვალეს [მოვიდა]  
 23 — უსუფ ფაშა მოვიდა (31v)

## ენკენისთვე

- 7 — შარიდ ფაშა წავიდა (32r)  
 20 — დიარბეჭირელი ენახე (32r)  
 24 — პატრი ნიკოლა მოვიდა (32v)

## 1797

## იანვარი

- 7 — პეტროსა წავიდა არტანუჯს  
 20 — ქალაქს წაველ (35r)

## თებერვალი

- 5 — ტერ ოვანესი მიიცვალა (35v)  
 20 — ჩემი დისწულისა, მოვიდა ხოფიდამ (36r)

## მარტი

- 17 — წიგნი აშტარხანს (36v)

## მაისი

- 25 — პეტროსა წავიდა არტანუჯზე (38r)

## ენკენისთვე

- 12 — კაკაჩათ სარი ქეპა მოკლეს (40r)

## გიორგობისთვე

- 1 — ნათელას გვირგვინი ოპანუზას (41v)

## ქრისტეშობისთვე

- 10 — სტამბოლს, აზრუმს წიგნი გაეგზავნე (42r)

1798

ნოემბერი

28 — უმჯროსი იშხანეზ[ი] დაიპატ[ი] (50v)

ქრისტეშობისთვე

21 — უმჯროსი წავიდა, ანტონ ვართაპეტ ნურიჯანიანთ (51r)

1799

მაისი

31 — ბათუმი მოშალეს (53r)

1800

იანვარი

6 — ტერ ანტონი მიიცივალა (56r)

ღვინობისთვე

2 — შარიფ ფაშა მოვიდა (61r)

1801

მაისი

8 — ტერ სტეფანი წავიდა იმერეთს“ (64r)

4. ხელნაწერში დევს სავაოდ დაზიანებული ფურცელი მარტის, აპრილისა და მაისის ჩანაწერებით. ვიმოწმებთ სრულად:

მარტი

1 — უმჯროსს წირვას მოეახმარე, კუსიანთ

4 — დღეს მანზილთ წიგნები გაეკაგზავნე ქო . . . ეკათედან

5 — ჩემი ძმის წიგნები მამივიდა

11 — ქარაჯანი წავიდა, მათოზა და სხუა

12 — ბატონჯანაც წავიდა

22 — სელიმ ალა მოვიდა სტამბოლიდამ

23 — არტანუჯელები ვნახე

29 — წიგნები მომივიდა სტამბოლის ეპისკოპოსისაც

31 — სელიმ ალა სოლომანაშვილი შინ წავიდა, წიგნები ჩემთვის სტამბოლს წიგნები წავიდა

აპრილი

1 — დიდი ხუთშაბათი

2 — ტერ იოსებმა ქადაქება ხავარუმანი...

3 — სიწმიდე მივიღე

4 — უკაზალიანცა (!) წირვა ვნახე. აღდგომა

10 — შინ წიგნი გაეკაგზავნე

14 — ანტონ ვართაპეტი წავიდა

17 — ფარსადან[ს] აშტარხან[ს] წიგნები გავატანე

მაისი

წყალი გავიარეთ ზოგანდარის

სოფელში მე და ქერლა დავწვეით

გზაზე დავდექით

ბაშ ქოვის (?) მთა ვადმოვიარეთ

მრულე (?) ხილი კოპანიანი გამოვიარეთ

მელქონის პირდაპირ

მთის ქოშმერის ძირში ზაქარას წიგნი

მთა ვადმოვიარეთ ქლის (?) ყოლიჯის ადგილ[ზე] დავდექით

ორი წყლის შუა დავდექით

წყლის კოდი რომ იყო, იქ დავდექით  
 თვას (?) ქოვის აქედამ  
 ...რა ქოვის მინდორში შინ წიგნი  
 ...ლებ ფალუ გავიარე  
 ...რეული (?) ხანი იქ დავდექით  
 ...გავიარეთ  
 ...მე და სეროფა მაწონი ავიღეთ...“

(19)

143

## კრებული. XIX

211 ფ.; 10,5×17; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; შავი მელანი; სათა-  
 ურები წითურად; დამწერი; ტერ ანტონ ზუციანოვი (1r); [XIX ს. დასაწყისი];  
 დაუწერელია 2r—8v, 95v, 100r—v; 101v—102r; 103r; 104v; 105r—v; 107v—  
 156r. 174r—186r, 202v—211r.

1. [ლოცვანი]. „ლოცვა კურთხევისა ავათმყოფთ ყმაწვილთა ზედა.—  
 ბირველად ითქვას მღუდელმან: „სახელითა მამისათა“, „მამათ ჩვენო“ და „გი-  
 ხაროდენით“. მესამე ფსალმუნი, „პირისაგან ყრმათა“ და „აკურთხებდით სა-  
 ხელსა მისსა“... 9r—95r.

შენიშვნა: ამ ტექსტის „ზანღუცი გინა საძიებელი“ მოთავსებულია 101r-ზე.

2. „წესი წმიდად სახსენებელი სა მეთოთხმეტეს ბე-  
 ნედიკტეს პაპისაგან დამტკიცებული, რომელი ბოლოს კურ-  
 თხევის და შენდობის ჟამსა სიკუდილისა მიწვენილო მორწმუნეთა მისაცემად  
 სიმარჯვისამებრ დროისა მოიხმარების მათგან, რომელთა სამოციქულო საღ-  
 დრისაგან პრომისა აქუსთ მიღებული შეძლება...“ 96r—99v.

შენიშვნა: ერთვის „ზანღუცი გინა საძიებელი“ (101r).

3. „შობიერი დედაკაცის კურთხევა.— იესო, მარიამ და  
 მამა იოსებ შენდამი აღვიხილნე თუალნი ჩემნი, რომელნი დამკვიდრებულ არს  
 ცათა შინა...“ 106r—v.

4. [ლოცვები]. — „აქციონეს. — საქმეთა ჩვენთათვის გვედრებით,  
 უფალო, სამშენიელთა შენითა გაუმარჯვე რა ყოველნი ჩვენი ლოცვანი და  
 საქმენი შენგან მარადის იწყო...“ 156v—173v.

შენიშვნები: 1. ეგვე ლოცვანი სხვა ხელით დაწერილია 186v—200r.

2. უძღვის ლოცვები: „იოსებ (1), მარიამ, იოსებ, ჯვარის გზა, გინა ჯვარ-  
 აზილულის ქრისტეს მგზავრობის კაპუეთი გოლგოთამდის საფიქრებელი ათოთხ-  
 მეტ, წესისამებრ ადგილთა მათ წმიდათა იერუსალიმისათა“ — მოცემულია თი-  
 თოეული ადგილისათვის ლოცვა.

5. ჯვარის გალობა. — „იესო, მარიამ და მამა იოსებ. — 7

ჯვარსათანა დგა ლმობილი  
 დედა იგი ცრემლობილი!  
 ძე ჯვარზედა ეკიდა,  
 მისი სული მწარედ ოხვრიდა,  
 მწარედ სწუხდა, მწარედ ურვიდა,  
 მწარედ ლახვრად განვილიდა...“ 200v—202r.



**შენიშვნები:** 103v და 104r არის სომხური ტექსტი 22. 102v-ზე არის მიწერილი: „ტერ ანტონისგან აღწერილი მრავალი არიან წერილი, კალმით მისით ნაწერი ფრიად არიან საქებულნი. ტერ“.

3. სალექსო სტროფი სამი სტრიქონისაგან შედგება.

**მინაწერები:** 1. ტერ პოლოს ლაზარიანოვმა ვიყიდე უფალი ტერ ანტონ ხუციანიანოვისაგან. ფასი 1 მანეთი. ნახე. 1856-სა აბრის 20-სა“ (1r).

2. „ივანოვ ისარლოვის ვაჟი ალექსანდრე დაიბადა 1863-სა, იანვრის 27 და მოვრისა იყო 19“ (1r).

3. 2r—3r, 210r—v-ზე არის უმნიშვნელო მინაწერები.

## 144

ივ. გვარამაძე, გვრგვინო წამებულთა წა ესტატე (წინასიტყვა მწერლისა). შაირი 1.

„დიდება შენდა მაღალო ღმერთო „ყოველთა არსათაო“... პოემა (საარქივო მასალა).

(20)

## 145

**პოლოს დავით შაჰყულიანი. ეკლესიის მოთხრობა (ისტორია) 1820 წ.**

355 ფ.; 16×11; ქაღალდი; ხის ტყავგადაკრული ყდა; რამდენიმე დაზიანებული; დალაქებული; მხედრული; შავი მელანი; 1820 წ. (1r). დაწერის ადგილი ახალციხე (1r) ავტოგრაფი; დაუწერელია: 7r, 338v—355v.

[პოლოს დავით შაჰყულიანი. ეკლესიის მოთხრობა (ისტორია)]. — „ვიწყებ ლაპარაკი ეკლესიის ცხოვრებასა ზედა წელსა უფლისა 1820. ოქტომ. 7. წეკლერისა ახალციხისა, წიგნი პირველი. თავი პირველი. მოსვლა ქვეყნად უფლისა წინასწარ თქმული იქმნა წარმართით წინასწარმეტყველთაგან, სასწაულნი წინ დასწრობლნი უფროს მისი მობრძანებისა და ჟამი შესაფერი მისი მოსვლისა...“ 8r—321r.

**შენიშვნები:** 1. ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა: „ეკლესიის მოთხრობა შემოკრებული მრავალთ რჩეულთა წიგნთაგან დარიგებული, წელთა რიცხვითა დაწყობილი ჟამილამ აგვისტოს კეისრისა პრომისა ვიდრე შობამდემე მაცხოვრისა და უფლისა ჩვენისა იქრისტესი, რომელი შეცმულ არს პირველს წიგნსა შინა და წინადაცვეთილამ უფლისა ვიდრე ზეცის ამაღლებამდემე მისივე წმიდათა ოთხით მახარებელთაგან მოთხრობილი ცხოვრება, სწავლებანი და საკვირველმოქმედებანი რიცხვისაებრ წელთა სამთა და თვეთა სამთა, რომელთა შორის ჰქადაგა ბილულად ამ ქვეყანასა ზედა ისეო ქრისტემან, შეცმულ არს მეორე წიგნსა შინა მატენი პირველი. წელსა უფლისა 1820 თვესა ოკტობრისასა, ჟამსა მამამთვრობისა პიო მეფივდე პრომის პაპისასა.

შეწირვა იესო ქრისტეს მიმართ ღმრთისა და მაცხოვრისა უფლისა ჩვენისა, უკეთეს სამართალი მოითხოვს, რათა მონათა და მუშაეთა და რაოდენიც მოიბუშაკონ და მოიგონ ავარაკსა და ყანობირსა უფლისა თვისისასა მიართვან მასვე ნომკული იგი. მაშ რაოდენად უმეტესად თანამდებ ვარ მე შენ უღირსა და უხმარი მონა და მუშაკი, რომელი იგოადენათ (!) წელთ ჟამის აქეთ მოწყალებითა და სახიერებითა დაუსრულებელითა მით შენითა ღაგიდგენივარ არა მხოლოდ სულიერსა შინა ავარაკსა და ყანობირსა შენსა, არამედცა ეკლესიისა შენისა ერთს წილს ვენახსა ზედა შენსა ზედამხედველად და შემვლელად მისისა, თნიერ სრუ-

ლად ღირსეულობისა ჩემისა, რათა უხეად მომემკო და შემეკრება მშვენიერნი და უტკბილესნი ნაყოფნი და შემომეწირა იგინი შენთვის, არამედ ესტონ და ვადღვიარებ უხმარობასა და უნაყოფიერებასა ჩემსა, რამეთუ ივრდენი წელინი განვლუ. არა ვითარცა შენ სამართლისად თხოულობდი ჩემგან და გშვენიდა შენს წმიდასა სამსახურსა შინა, საქმით და სიტყვით ქადაგებით წეს სახარებისა ღთო უფალი და ზეციური მოძღურებისა შენისა, არამედ ვითარცა შეპთერვიდა უხმარობასა ჩემსა. ხოლო რათა არ მრგებოდა უხედური და სატირელი წელი იგი სახარებებრივი მონისა მისთ ღმერთმან მოზარებულობისათვის თვისისა უფლისა თვისისაგან მოღებული ქაწქარი სუღარასა, გინა სამოსელსა, არამედ ჰუქმად და ცუღად დაიცვა... თვის... მას ზედა საშინელი...» 2R—3V).

„წინათქმულობანი და სწავლებანი აღმოგივებლთა მიმართ. ვიღრედა ვიყვი სიკაბუტესა შინა, ღმერთი უფალი განგებულებითა მაქუნდა ფრიად დიდი მოზოდულობა და მკარებლობა იმავე სასწავლოსა მყოფობისა ჩემისა ეამსა შინა ეკლესიის ცხოვრების ამოკითხვასა თუ სმენასა, ზედა და საკუთარი სიხარული და შეება მეშიზეზებოდა მითგან, ამისთვის მოვიწადინე მომოვნა იმფერით რჩეულთა წიგნთა და სასწავლოდ ამ მოსღვის (I) შემდგომად ქალაქსა ამას ახალციხისასა, ადგილსა შობისა ჩემისასა, ვიღრე ოცდახუთ წლამდე შემდგომად მღვდულობისა ჩემისა, რაოდენსაც იმ წიგნთაგან აღმოვიკითხამდი ნიშნულთა და საკუთართ რაიმეთა აღენაშენმდი, თუმცა სხუა ენითა, რომელი უფრო მეადგილებოდა და ესრედ გაუხვდა, ვიღრე იმათგან გაკეთებოდა ერთი დიდი წიგნი, არამედ თან განვიზრახებმდი, ვითარმედ შემდგომად ჩემი სიკვდილისა უსარგებლონი იქმნებოდენ თუ ის პირველნი მარგალიტნი და თუ წერილნი ჩემნი, ნაყოფი შრომისა ჩემისანი. ამისთვის მრავალგზის ვეფიქრობდი, რათა სხუათათვის იგი ნაყოფიერი ყოფილიყო ვითარ მოვეცეულყოფი, რამეთუ უკეთუ ნაშრომი იგი ჩემთვის აღწერილი ჩვენს ქართულს ენასა ზედა გარდმოგელო ფრიად ვანხმარი და შემოკლებული იქმნებოდა მათთვის, რომელთაც არ აღმოუთხიხათ სრულად ეკლესიის ცხოვრებაი. ხოლო უკეთუ ვრცლად და ფართოდ აღმეწერა მაშინებლქენს, უკან მაყენებდენ თუ უკამეება ჩემი და თუ ფერად ფერადნი მძიმე... მსახურებისა ჩემისანი შედგომად ესფერი საქმისა, რომელსა შინა შეცმულ არიან თითქმის აღურიცხველნი ნივთნი სალაპარაკონი, რაოდენათაც ყოველი მგვრების. კაცთათვის სასარგებლონი აღმოკითხვად. გინათაც უთმენელსნი აღმეწერისათვის, არამედ ღთთან მიმართვითა მისგან შეწვენის მოთხოვნითა და რომელთამე პატიოსანთ ეკლესიერთა ჩემთაგან შეგუღიანების მიცებთა, რომელი იგი ღმრთის კმად შეგპრაცხე, სიძნელე იგი ჩემი ყოვლად დიდი დასძლია სარგებლოვანებამან საერთოსამან, რამეთუ წა პავლე მოციქულის თქმულობისებერ „ყოველი კეთილისა დამწყობბერ თვით ღმერთი არს და აღმსრულებელიცა“ და შექლებაი ჩემნი ღმრთისაგან არს და თვით უფალი ჩემნი იესო ქრისტე ბრძანებს: «თვინიერ ჩემისა არააი ძალ გიცსთ». ამისთვის იგივე მოციქული იტყვის: «ყოველივე ძალიმის განმლიერებულსა ჩემისა ქრისტეა მებერ». ამისთვის კიდნიერებთა მით თავს ვიღვე საქმე ესე სასოგობის მონეტა ქრისტეს იესოს მებერ, რომელიც ვითარცა ვიწყებდით, ეგრეთვე მისივე მადლით შევეუღვენდი, თუმცა ვხებდვიდი სხუათა აუქსონთა გინა მომხრობთა, რომელთ დამწყობა შემოკლებით ლაპარაკი ქრისტეს შობვის უწინარეს მშობელსა მისსა, ეგრეთვე სხუათა წმიდათა ზედა, რომელნი ყოფილ იყენენ მკირეოდენ უწინ უფლისა განხორციელებლისა და შობვის, ეგრეთვე შრომის კეისართა ზედა, ვითარცა ავგისტოსასა და ტიბერიოსისა. არამედ რაოდენიც შეიძლებოდა ვეცადე ყოველი მოწადინებითა, რათა მორწმუნე მომთხრობთაგან შემოკრებით ფართოდ და ვრცელად აღმეწერა, ვითარცა კუალად ვპავი ქრისტეს შობადღმდემ აღმეწერე და ამას ვუწოდებ პირველი წიგნი. ხოლო ქრისტეს წინადაცვეთილად, რომელი არის წლისთავი და ჩვეულება ქრონიკონის დამწყობისა, პირველი წელი უფლისა ვუწოდებ და თან მეორე წიგნი. და ამ წიგნსა შინა მოითხრობების მრთელი ცხოვრება იესო ქრისტესი და თან აღწერენ თუ წოდება მოციქულთა და მოწაფეთა მისთა, თუ იგავნი მისთა მოტიანილნი, თუ სხუა ღმრთილნი და ზეციერი სწავლებანი მისნი და თუ სასწაულმოქმედებანი რაოდენიც ყო მან საით წელთა შორის ქადაგებისათვის ვიღრე ზეცას აღმალღებდმდე, რომელნიც აღვკვერენ სუ-

ლი წმიდის სამშენველოთა ოთხთა წმიდათა მახარებელთა ვითარც მათემ, მარკოზ, ლუკამ და იოანემ.

ხოლო მახარებელთა მით თუმცა ყოველთა აღსწერეს იესო ქრისტეს ცხოვრება და მოქმედებანი მისნი, წა იოანემ, რომელი შემდგომად ყოველთა მოციქულთა და მახარებელთა მიიკვალა, ყოველთა მათ ბოლოს აღსწერას სახარეობისა და რაიუც დაეტოვებინათ მათ პირველთ მახარებელთა დიდი წილი, ამან აღსწერა დანაშენისა, რამეთუ ამას ეხილა, აღმოეკითხა და დაემტკიცა მათი აღსწერილი სახარებაი. და მახარებელთაგანთა ზოგმა წილად აღსწერა თუ სწავლებანი მაცხოვრისანი, თუ სასწაულმოქმედებანი და გარემოებანი. ვინ ფართოდ, ვინ შემოკლებით, ვინ სრულად დაუტევეს და ვინ საკუთრად განცხადებით აღსწერა, და რომელთაჲ მითგანთა არა უმზირეს ესმას და დროსა თუ რომელსა წელსა მისი ქადაგებისასა თქმულ იქმნენ სწავლებანი იგინი ანუ მოქმედებულ იქმნენ მისგან სასწაულნი იგინი. კარდინალმან ბარონიოსმან შეჰქვირა ოთხნივე მახარებელნი და პირველსა პატრონსა მას მოთხრობისა თვისისასა დააწყო რაოდენიც თქმულ და მოქმედებულ იქმნენ ქრისტესაგან, არამედ არა სრულად მოტანით მათი, მაგრამ დიდი წილისა მათისა დატოვებით და მიგზავნით წა მახარებლებთან. ესე მეცნიერთა და წა სახარების ფრიად მოადგილეთათვის დიდი სიძნელე არ იყო, თუმცა კი სარჯელგანი, არამედ სხუთათვის კი სიძნელე იყო, რამეთუ ჰერ იყო მრავალთა... იმეთა შორის შორის მოძებნა და გასინჯვა ოთხთავე მახარებელთა, რათა თავსუბით შეტყობოდ იყუნენ და სიადგილით სწავლებანი და მოქმედებანი იგინი: სიადგილე ესე საზოგადოდ ყოველთათვის ეწადა მოღება წა ფრანკისკე საღვთიან ეპისკოპოსს ჟენევისასა, რომლისა დიდი სიწმიდე და ღრმა მეცნიერება ცხად არს ყოველი ქვეყნისა წინაშე. რამეთუ ეწადა ამას შეკრება ერთად ოთხთავე წმიდათა მახარებელთა და ქრისტეს ქადაგებისაგან სამთ წელთა შორის ყოველთ მის თქმულებათა და მოქმედებათა მოტანა არა ნაკლებად, ვითარცა იყო ზემოდსხენებული კარდინალი ბარონისაგან აღსწერილი, არამედ მართლვე მოტანით ერთად ასრე, რომ საჭირო არღარ ყოფილიყო ძიება და სინჯვა მახარებელთა მით. არამედ ვინცა სიკუდილმან მოუსწრაფა დმერთი, უფალი წინაგანგებულობითა იმ წა ეპისკოპოსმან ვერღარ შეიძლო მისი აღსრულება. და შემდგომად განვილს საუკუნოებასა შინა ესფერი ბედნიერი წილი ერგო მამა კარლო მასისინისა რივისაგან წმიდა ფილაპე ნერისისასა, რომელმან გიყყო წინამძღვრობა დიდ წილსა შინა პირველისა და მეორე წიგნისასა. და კუალად მოსასჯელთ სხუთა წიგნთა შორის ჰქვირა იგი იქმნებოს ჩვენგან ხმარებული და შედგომილი მრავალთ რამეთა შინა. მაშინ ჩვენ მეორე წიგნი იგი განეკუთვნა ოთხწილად: პირველსა მას წილსა შინა აღსწერეთ პირველი წელი ქადაგებისა მის ქრისტესი, და მას შინა შეგჰკრიბეთ ყოველი მახარებელთ აღსწერილი იგინი, რაოდენიც შემთხუელურან გინა თქმულან ანუ მოქმედებულან ქრისტე უფლისაგან პირველსა მას წელსა შინა, ეგრეთვე სახით მეორესა და მესამე წელსა ქადაგებისა უფლისა. ხოლო მეოთხე წილი დაიწყობის ლაზარეს მკურდრებით აღდგენისაგან და შეეუღლებით, რაიუც შემდგომად შემთხუელულ იქმნენ ვიდრე დასრულდება და ორთ წიგნსა მით ეუწოდებთ: პირველს მატენიას. კუალად საცნაურ იყოს აღმოეკითხველთათვის, ვითარმედ რათა უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო აღმოეკითხვა წიგნთა მათ თუ იესო ქრისტეს ცხოვრებისა და თუ წათა მისთა თავთავემად განეკუთვნათ და ნიუთისაგან მათისა დამატებული იქმნა სწავლება შესაფერი თათა მათ დანიშენით ვარსკულავის სახისა. კუალად მრავალს აღვიღოს დაუმოატეთ განცხადება და თარგმანი, სადაც სიძნელე და შეუთანხმებლობა ჩანდა გერულად, ვითარცა კუალად მრავალნი საბაპსო საქმენი სხუა და სხუა მამათა და ღთისმეტყველთა და მოთარგმანეთა თქმულობანი მოვიტანიეთ, ზოგან ჩვენი ფიქრი განვეცხადეთ თუ რომელი თქმულობა მათი უფრო მოსაწონარი და შესაწყნარებლად გვიჩნდა და ოდესმე განურჩევლად ყოფნით დავეუტევეთ აღმოეკითხველთა განჩრევა მათი.

და ვინცა ერთ-ორგზის აღმოეკითხვითა, მეტადრე უხვი და სხუა და სხუა ნიუთის წიგნთა, ფიქრსა შინა ძნიად შეიძლების შენახვა და დაცვა, არამედ სიადგილით დაეწყებულნი იქმნების. ამისთვის ჩვენც შეეუღლებით სხუთა ჩინებულთ მწერალთა და დასასრულსა მეორე წიგნისასა გავაყეთეთ ორნი საჩვენებელნი და ზანდუქნი, რომელს პირველსა მას შინა იჩვენებთან ორთავეთა მათ



წიგნთა თავნი ერთად შეკრებულნი. ხოლო მეორე საჩვენებელი, გინდა ზანდუკი, ანბანური რომელი ვრცელი და ფართო იქმნების, ასრე რამ ანბანისა გინა ლექსნის რიგით მოძებნით, შეიძლოთ სინამდვილით პოვნა იმ ყოველი ნივთისა, რაიც იმ ორთ წიგნთა შორის შეცმულ არს. ამ ორთ საჩვენებელთ საშუალება შინა ორთ კუალად სხუა საჩვენებელთ დავსდებთ. პირველი იგი იქმნების ოთხთავე წა მახარებელთ თავთა, რათა ოდეს გნებვიდეს წა სახარების თავთა პოვნა ამ წიგნსა გინა პატორსა სიადვილით შეიძლოთ. ხოლო მეორე იგი იქმნების საჩვენებელი წლის, კვირა და ჰუქმეთ სახარებისათა ჩვენი სომხისგუარის ტიბი-კონისაებრ დაიმშვენეთ, მაშა და იხმარეთ წიგნი ესე პირველად სადიდებელად ლთისა, შემდგომად სისარგებლოდ და საცხოვნებლად სულისა თქვენისა და მეც მომიხსენეთ ლოცვისა შინა თქვენსა თუ სიცოცხლესა შინა ჩემსა, რათა შეგი-არო თქვენ ყოველთა წა ცხოვრებითა და წრფელი მოძღუარებითა და მივილოთ შედგინებით უფლისაგან შეწევნული აღსაწერელად სხუათა წიგნთა და მეტადრე შემდგომად სიკუდილისა ჩემისა მოხსენებულ ვიყო კუალად თქვენგან და ნაცუ-ლად გუამებრივი ქადაგებისა ჩემისა თქვენდამო წიგნი იყვნენ მოქადაგედ თქვენდა და განვცხადდებით თქვენ საყვარელთა ყოველთა ქრისტეს მიერ სუ-ლიერათა შვილთა.

ახალციხეს, 7 ოკტომბრისა, 1820.

ყოველად მოყვარული მამა და მწყემსი პოლოს დავით ვართაპეტი შაპყულიანთი, წა კრების აღზრდილი და სულიერი უფროსი ახალ-ციხის კათოლიკე თემისა“ 4r—6v.

2. „საჩვენებელი გინა ზანდუკი“ მოთავსებულია 321r—326v.

3. სახარებათა „საჩვენებელი გინა ზანდუკი ოთხთა სახარებათა თავთა“ მო-თავსებულია 327r—334v.

4. „საჩვენებელი წა სახარებათა წლის კვირისათა და სხვ.“ მოთავსებულია 335r—338r.

5. „საჩვენებელი გინა ზანდუკი ანბანგანური იმ რაიმეთა, რომელიც შეც-მულ არიან პირველსა პატორსა ამას შინა, და მის ორთა წიგნთა შორის“ მოთავ-სებულია 339r—335v.

(21)

146

### კრებული. XVIII

147 ფ.; 10X7,3; ქაღალდი, ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; მხედ-რული; [XVIII]; ნაკლული; 57v-ზე ჩახატულია ანგელოზი, 73v-ზე — ყრმა იესუ; მარტივი ჩანახატებია: 57r-ზე, 109v-ზე, 145v-ზე, 146r-ზე, 147r-ზე; დაზიანებუ-ლია 5—12 ფფ.; ქ. გვარამაძის შემოწირული.

1. [ლოცვანი]. — „...მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველ-ნი უსჯულოებანი ჩემნი ახოცენ...“ 1r—56v.

შენიშვნა: ტექსტის დასასრულს: „სარწმუნოების საღარო ფიქრით წირავში გამოჩნდების, ყოველსა საქმესა რომ მოასწავებს. ამისთვის მცირე რომ ლოცვანი განწესებულნი არიან მართმადიდებელთათვის ქართლის ენითა, ამინ“ (56v—57r).

2. „ლიტანია მართმადიდებელთათვის სულთ-ბრძოლთა შინა, კი-რიელისონ, ქრისტელისონ, კირიელისონ. წმინდაო მარიამ, მეოხე იყავ. ყო-ველნო წმინდანო ანგელოზნო და მთავარანგელოზნო...“ 58r—71r.

3. [ათი მცნება]. — „მღთის ბრძანება ათნი არიან: წინა პირველ — მე ვარ ღმერთი შენი...“ 71r—72r.

4. „ეკლესიის შვიდი საიდუმლო. — წინა პირველ — ნათლის-ღება...“ 72r—v.

5. „ეკლესიის ხუთი ბძანება. — ბძანება წინა პირველ — მარხულობა...“ 72v—73r.

6. [ლოცვანი]. — „პავატამ იმი ასტეაწ იარამენაკალ არარიჩი იერგნის იევერგირ იერველიქ...“ 74r—76v.

შენიშვნა: ქართული ტრანსკრიპციით ნაწერი სომხური ტექსტია.

7. [ქრისტეს ვნება]. — „...ნუ მეტყვი, კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა — იესო, ამიტომ ჩემი საყვარელი შვილი ურიათაგან წყეული და გმობილი არის...“ 77r—92v.

8. [თვეების დღეები და საათები]. — „თვესა იანვარსა აქუს დღე ლა და დღეთა — ს[ა]თი • და დამეთა — ს[ა]თი იღ...“ 93r.

შენიშვნა: 1. ყოველი თვისათვის მოცემულია დღეთა რაოდენობა, აგრეთვე დღისა და ღამის საათების რიცხვი.

2. 93v—96v-ზე ჩამოწერილია ციფრების შესატყვისი ასოები ერთიდან ათათასამდე შესაბამისი რიცხობრივი მნიშვნელობის თანხლებით: „ა — ერთი, ბ — ორი, გ — სამი...“

9. [აპოკრიფული ლექსი იოზზე]. —  
 „ცის გახსნაზე დაიბადა, დღე დაესწრა ახსრებისა (I),  
 პირველ მისცა მტყიცე რჯული ლოცვისა და თაყვანისა...“

97r—104r.

შენიშვნა: ლექსი გამოქვეყნებულია: იხ. E. Такайшвили, Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения, I, Тифлис, 1902—1904, стр. 386—387.

10. [ანბანთქება]. —

„ანო — ამა სოფელს ყოფნა არას გვარგებს საბოლოოთ,  
 ბანო — ბევრი ჭკუა ვიხმართო, რომ არ წავხდეთ საბოლოოთ...“

105r—109v.

შენიშვნა: გალექსილია მთელი ანბანი.

11. „ლითანია ყოვლად წმინდის მარია მისა, სომხურის ენით. — ტერ ოლორმიაც. ქრისტოს ოლორმიაც, ტერ ოლორმიაც...“ 110r—132v.

12. [ქადაგებანი]. — „გეშინოდეს, ძმებო, ცუდისა და ავის გინებოსაგან და უსარგებლო ცოდვებისაგან...“ 133r—145r.

ანდერძი (გადამწერისა): „ღმერთო, აცხონე ამის დამწერი, ამინ“ (145v).

მიწერილები: 1. ზედა ყდის საცავ ფურცელზე ამავე გადამწერის ხელით ჩაწერილია ლოცვა.

2. ქვედა ყდის საცავ ფურცელზე ჩამოწერილია თვეები.

3. 147v-სა და 148v-ზე სხვა ხელით ჩაწერილია სავალობლების დასაწყისები.

165 ფ.; 10,5×7; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა, ზედა ყდას შემორჩენილი აქვს ლითონის საკეტების ნაწილები, ზედა ყდის ზე გატეხილია; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; 1794 წ. (139v); თანაკ-

ლული; ფერებით შესრულებული თავსამკაულები: 19r, 39r, 58r, 79r, 100r, 118r, 141r; 57r-ზე მოხატულია ტექსტის ბოლოს დარჩენილი ფურცელი, 57v-ზე ყავისფერი მელნით გამოსახულია ჯვარცმული ქრისტე და მუხლმოყრილი მლოცველი; მელნით მოხატულია 99v; დაზიანებულია 1—5 ფ; დაუწერელია 18v; კ. გვარამაძის შემოწირული.

[დამსუბუქებული ჯუარი]. — „...რთი ყუავილი დაწყე...ათსამა კირმან...რომელი ყუავილი აყუავებულნი დაცვიენეს...“ 1r—165v.

**შენიშვნები:** 1. შედგენილობა: [პირველი საფიქრებელი კვირისა] (1r—18r).

„მეორე საფიქრებელი ორშაფათი, ტანჯვის სარგებელი გახარება არის მწუხარებათა შინა, ტანჯუა ვასწმედს სულსა“ (19r—38v).

„მესამე საფიქრებელი სამშაფათისა, ტანჯუა ცოდვის წამალი რომ არის, ამიტომ გახარება არის ნაღველი. ტანჯუა წამალი არის, გამყურნალი ახლანდელი ცოდვებისა“ (39r—57r).

„მეოთხე საფიქრებელი ოთხშაფათისა, ჯოჯოხეთის მოგონება გახარება არის ნაღველში. გაიტანჯეთ ამიტომ, რომ ჯოჯოხეთის ღირსნი ხართ“ (58r—78v).

„მეხუთე საფიქრებელი ქუთშაფათისა, სასუფეველის მოგონება გახარება არის ნაღველში. ტანჯუა ნიშანი არის რჩეულების დიდებისათვის“ (79r—99r).

„მექექსე საფიქრებელი პარასკევისა, იესო ქრისტეს მაგალითი გახარება არის ნაღველში. იესო ქრისტემან თავისი სატანჯველითა გაამიღღრა ჩვენი ტანჯუა“ 100r—117v).

„მეშვიდე საფიქრებელი შაფათისა, ღვთის სიყუარული გახარება არის ნაღველში: ტანჯუა გარდმოდის ღვთის სიყუარულისაგან ჩვენთვის“ (118r—139r).

2. ერთვის: ა. „ძმანო საყუარელნო, აღმოვიტოხველნო ამისანო, ლოცუა ესე გონებაშემოკრებით აღმოვიტოხეთ...“ (141r—144r). სწული გადამწერი ინანიებს ცოდვებს და ქრისტეს წინაშე პირობას ღვებს, რომ „ამას იქით ჯოჯოხეთში მესულა უფრო მინდა, ვირემც ერთი ცოდვის ქნა“.

ბ. „აბა ანდერძი ეს არის. — შენის სახელითა სულ ყოველ ცოდუას ქვეყანასა და ეშმაქსა უკუ ვითხოვ. პირობას მოგცემ, რომ იმ სარწმუნოებაში უნდა მოვეუდო, რომელიც პრემის წმინდა ეკლესიას სწამს. ჩემი ცოდვების შენდობისათვის შენი სარჯელისაგან იმედი მაქუს, ამიტომ შენი სარჯელი და შენი მოწყალეობა ჩემი ცოდვებისაგან უფრო დიდი არის, და იმიტომ შენი სარჯელისაგან და სატანჯველისაგან და სიკუდილისაგან იმედი მაქუს, რომ ვცხოვრებულ ჩემი სახლის ბატონობა შენ ჯელში მოგცემ და, როგორც შენი ნება არის, ისრე შეინახე. ჩემი ფიქრები, საქმეები და სიტყვები ჩემი ანგელოზების ჯელში გაუშვებ და როგორც იქამდინ ჩემზედ დიად ფრთხილი იყო, ამ დროს კიდევ აროდის ჩემი სული გამოძრა, თვითან დაიჭიროს, ყოველ წმინდის ჯელში მიაბაროს და შენი წმინდა გვერდის დაკოდილებაში საფლავისაგან დამარხოს. კიდევ რაც რომ მაღლის საქმეა, შენის შევლებით მიქმნია და ყოველ წმინდის ჯელში მივაბარებ ამიტომ, რომ რაც ამითში მრუდი რამ იყოს, გასწმინდის და ამიტომ, რომ თავის მაღლის საქმესთან შეკყაროს და ასე შენს წინაშე ჩემი მაღლის საქმე სრული შეიქმნას. ეს არის ჩემი ბოლონდელი ნება და, თუ ვეგვის ჯელს არა მქონდეს, ან ეშმაკი თავის ცდენით ჩემზე მოვიდეს, ახლა პირობას მოგცემ, რომ მუდამ ამ ფიქრზედ ვიყო. და ახლა იმ დროსათვის შენს მოწყალეობას გიხვეწებ, რომ მიშველოს ამიტომ, რომ მარტო შენ ხარ გამჩენი და ღმერთი ჩემი, არა თუ მარტო ჩემი, მაგრამ მთელი სოფლისა და ამ ნიშნის გულისათვის მე შენი სისხლიანი გვერდის დაკოდილებაზედ ვკოცნი, და თუ შენ არ დამაყენებ, სი სად უნდა წვიდოდ? რამეთუ სხუა ადგილი არა მაქუს. აბა შენ ხარ მამაჩემი და შენთან მოვალ. შენ ხარ ჩემი დამხსნელი და შენი დაკოდილების ქვეშ დამიფარე. შენ ხარ ჩემი შესავედრებელი და შენი შესავედრებლობის ქვეშე შეგამეფებები. შენ ხარ ღმერთი ჩემი, აბა შენთან უნდა ვიყო. შენ ხარ მწყემსი ჩემი და აბა მე შენი ცოდვილი ცხუარი ვარ. ბოლოს შენს მამასთან ჩემთვის შუამავალი ხარ. აბა ჩემი სულის ცხოვნება შენგან მინდა. აბა ამ ჩემი სიციცხლის უკან, ბოლოს დროს შენგან შევლას და შექლებას ველი, ამიტომ ეშმაკის ჯელისაგან ჩემი სული მორჩეს და შენთან იყოს უკუნიით უკუნისამდე, შენ, ჩემო მფარველო



ანგლოზო და ჩემო მშველელო წმინდანებო, მიშველეთ, ამიტომ ეს პირობა კარგათ შევიწახო“ (144r—148r).

გ. „ბოლოს ეს პირობა, ეს ანდერძი წმინდა სამების — მამის, ძის და სულიწმინდის კელში მივაბირებ. — ჩემო უფალო იესო ქრისტეო, ჩემო მხსნელო, იმ დიდი სიმწარის პატივისათვის, რომ ჩემი გულისათვის იმდენი სიმწარე ჭურხედ მოთმინებით ვასწიე...“ (148r—v).

დ. [ლოცვები]. — „ყოვლად წმინდაო ქალწულო მარიამ, ღვთისმშობელო, შესაგებრებელო ადგილო ცოდვილებისაო...“ (149r—165v). ლოცვები კათოლიკურია, მიმართულია ღვთისმშობლისადმი და ქრისტესადმი.

ანდერძი (გადამწერის): „ქება შენდა, ღმერთო, აღსრულდა საქება-საიდებლათ უფლისა და სასარგებლოთ ძმათა და დედათა, რომელთ ნაყოფში მომხსენიონ უღირს დამწერი ამისა ქრისტეს ქორთონიკონს (1794), ღვიწობის თვის (10)“ (139v).

მინაწერები (სხვა ხელით): 1. „ეს იმისთანა წიგნია...“ (140v).

2. „აესო ლითანია კირიელისონ, ქრისტელისონ, კირიელისონ. ქრისტე, ისმინე ჩვენი, იესო“ (165v).

3. მინაწერია აგრეთვე ქვედა ყდის საცავ ფურცელზე.

(23)

148

## საგალობლები. XIX

45 ფ.; 10,5×8; ქალაღი, მუყაოს დაზიანებული ყდა; მხედრული; [XIX]; 1r-ზე მელნით მოხატულია თავსამკაული; აქვს ჰვირნიშანი (22ფ.).

„სომხური ენით საგალობელი ღვთისმშობლის მიმართ. — ანჰარინ ხორან ბანინ ბნაკარან გოვეალ მარიამ სრბუჰი დუვარდ ანთარამ...“ 1r—45v.

შენიშვნა: შეიცავს ქართული ტრანსკრიპციით დაწერილ სომხურ საგალობებს ღვთისმშობლის, მეორედ მოსვლის, აღდგომის, გაბრიელ მოვარანგელოზისა და სხვათა მიმართ. საგალობლების სათაურები ქართულიადაა.

მინაწერები: მინაწერებია ზედა და ქვედა ყდების საცავ ფურცლებზე.

(24)

150

## განზრახუა ქრისტიანებრივი. XVIII—XIX

108 ფ.; 11×8; ქალაღი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა, ყდაზე ამოტიფრულია ჯვარი; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XVIII—XIX]; მოარგმნელი სომხურიდან; აბასთენელი თუ მანაანთ ოსეფას ძე ტირაცუ ანტონა (2r); ადგილი: ახალციხე (2r, 107v); 3r-ზე მოხატულია კამარა; დაუწერელია: 2v; გადახეულია 108-ე ფ.; აქვს ჰვირნიშანი (9ფ.).

[გ ა ნ ზ რ ა ხ უ ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ბ რ ი ვ ი]. — „ყოველსა რაისამე, რომელსაც გუასწავლის ჩვენ წმინდა სახარება, იგი დაფუძნებული არს მცნებათა ზედა ღვთიერით სიტყუათა...“ 3r—107r.

შენიშვნა: თავფურცელზე აწერია: „განზრახუა ქრისტიანებრივი თვითოვითოვულთა დღვთათვის თვისა, გარდმოთარგმანებული სომხურის ენისაგან ქართულს ენისა ზედა ვინმე წერის მსახურისაგან აბასტუმნელი თუ მანაანთ ოსეფას ძე ტირაცუ ანტონასაგან, სასარგებლოდ სულეერთ ძმათა და ღვთათვის, წელსა უფლისასა 1797, თებერლის 24, ახალციხესა შინა“ (2r).

**ანდერძი:** „მადლითა ღვთისა და მეოხებითა ყოვლად წმინდა კურთხეული მარიამისათა ითარგმნა და აღსრულდა წიგნაჲ ესე ქალაქსა შინა ახალციხისასა სასარგებლოდ სულიერით მშათა და დათათვის“ (107v).

**მინაწერები:** (სხვა ხელით) 1. „მამაცემისა ყურუში ვიპოე, ორი ყურუში ცუპით ვისესხე. მე დამიხარჯია ოცი ფარა... ოცდაცხრა... მივე, ათი — რაზ-ში“ (1r).

2. „ზირაქუს (?)...სარგებელი უნდა მოეცა... მე მამცა ორი ყურუში და ოცდახუთი ფარა. სხვა იმევე... მამცემს და შემითავებს. ორი კვირისა რვა ფარა უნდა...“ (108v).

(25)

151

### ლოცვანი. 1807

213 ფ.; 11,5×8; ქალაღი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; მზღდ-რული, სათურები და დასაწყისები სინგურით; 1807 წ. (202r); ვადამწერი: მღებრიშვილი მელქონ (202r); ადგილი: სტამბოლი (202r); ფერადი თავსამკაულები: 2r, 32r, 69r, 88r, 95r, 129r, 143r, 180r; 1r-სა და 68r-ზე გამოსახულია ჯვარი.

[ლოცვანი]. „ლოცვა დილისა, ღვთის საქებელი და სადიდებელი. — დილაზე რომ ასდგე, ბირს ჯვარი გამოისახე და სთქვი: სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ...“ 2r—206r.

**შენაშვნები:** 1. შედგენილობა: „ლოცვა დილისა“ (2r—31r), „ლოცვა საღამოსა“ (32r—68r), „ლოცვა განდობის უწინ სათქმელი“ (69r—78r), „ლოცვა წმინდა ზიარებისა“ (78v—94r), „ლოცვა ნანისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“ (95r—98v), „ცხრა დღის ლოცვა“ (98v—99v). „ლოცვა შობისა“ (99v—102r), „გალობა ანგელოზთაგან, თქმული ქართულათ, ნათარგმნევი ფარქ იბარცუმი“ (102r—105r), „ლოცვა პირველად საქმე სარწმუნოებისა“ (105v—106r), „ლოცვა მეორედ საქმე იმედისა“ (106v), „მესამედ საქმე სიყვარულისა“ (107r), „ლოცვა სინანულისა“ (107v—109v), „ხმთან წირვაში სათქმელი დიდი მრწამსი“ (110r—112r), „ლოცვა მიწყალესი“ (112r—115r), „ლოცვა ყოვლად წმინდისა მარიამისა მიმართ“ (115r—117v), „განდობის უწინ სათქმელი მღვდლის წინაშედ“ (117v—118v), „ლოცვა ტერ ამენავალისა, ქართულად ნათქვამი“ (119r—128r), „ლოცვა ფიქრისა“ (129r—131r), ლოცვები კვირის დღეებზე (131v—178v), „ლოცვა შუალამისა, თქმული ნერსეს სომეხთა ქათალიკოზისა და წმინდისა დიდი ბასილისა“ (180r—193r), „ლოცვა ინგნეო წმინდა პაპისა“ 193v—194v), „ლოცვა იესოს სატანჯველისა“ (195r—206r).

2. ტექსტში ჩართულია ნაბეჭდი წიგნიდან ამოჭრილი სურათები: 1v-ზე სურათს ლათინურად მიწერილი აქვს S. Barbara, 31 v-ზე — S. Ioannes Nepomucemis, 68 v-ზე — S. Ioseph Calasantius. სურათები აგრეთვე 94 v-ზე, 128 v-ზე, 142 v-ზე, 179 v-ზე.

3. ერთვის: ა. „საძიებელი ანბანგანური, რომლით ადვილათ იპოვების, რაიც რომ საკითხავად ევირებოდეს“ (206r—208v). ბ. (სხვა ხელით) „ეს ტირილი დოვანეს ნათქვამი არის. — შენ, ჩემო ტკბილო ოსტატო,“ (208v—213v).

**ანდერძი** (ვადამწერისა): „ღვთით საკითხავი სულიერი წიგნაჲ ესე დაიწერა სტამბოლსა შინა, 1807, ენენისთვის პირველსა, კვლითა ღვთის მონა მღებრიშვილი მელქონისითა, რომლისა არის ეს წიგნი აწყურელი ოვანესის შვილი პარუნ აქოფასი. ვინც წაკითხოთ ეს წიგნი ფიქრინათ, ღვთის მადლი შეეწიოს“ (202r).

**კრებულო.** შეიცავს: მცირე სჯულისკანონს, მხითარ სებასტიელის რიტორიკას, სოლომონ I-ის წყალობის სიგელს წულუკიძეებისადმი. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი, გადმოწერილი საათაბეგოს მიტროპოლიტ ეგნატის კუთვნილი სჯულისკანონიდან (საარქივო მასალა).

(26)

158

### სამუილ რაბინი, ოქროს აღნაქუსი. XIX

52 ფ.; 16×10; ქალაღი, გასწვრივი კიდები ჩამოხაზულია მეღნიტო; ლურჯი მუყაოს ყდა; მხედრული; მთარგმნელი რუსულიდან: დიმიტრი ბაგრატიონი (4r); [XIX]; კვირინიშანი: 1833 (12, 15 ფფ.); დაუწერელია: 2v.

[სამუილ რაბინი, ოქროს აღნაქუსი]. „თავი ა. ამისთვის, ვითარმედ რაისათვის იმყოფებიან ღთის რისხვას ქვეშე იუდიანნი. — მესურის, უფალო ჩემო, რათა შენ მიერ უწყებულ ვიქმნა დამტკიცებითა შჯულისა წინასწარმეტყუელთა და სხუათა წერილთაგან...“ 6r—48v.

**შენიშვნები:** 1. თავფურცელზე აწერია: „ოქროს აღნაქუსი, სამოციქულო, რაბინ იუდიანისაგან, მეორედ გამოღებული, სანკპეტრებურხს, შნორინისნების სტამბასა შინა დაბეჭდილი 1782 წელსა. უწყინდესი სინოდის მმართველის მწევრს (I), მაღალ ყოვლად სამღვდელ-ლოს გაბრიელს არხიეპისკოპოსს დიდოსა ედოროდისა (I) და სანკპეტრებურხისსასა და წმინდისა სამების აღექსანდრეს ნეესკის მონასტრის არხიმანდრიტს, მის ყოვლად სამღვდლოებას, უმოწყალეს მწყემსო-მთავარს“ (2r).

2. უძღვის: ა. რუსულად მთარგმნელის მღვდელ-მონაზონ ვარლამის მიმართვა მწყემს-მთავრისადმი: „მაღალ ყოვლად უსამღვდელესო მეუფეო, უმოწყალესო მწყემსო-მთავარო, მოვიღე უსახმარესი ქამი გამოცხადებად თქვენის მაღლისა ყოვლად სამღვდლოებისა...“ (3r—v).

ბ. ქართულად მთარგმნელის დიმიტრი ბაგრატიონის მიმართვა მკითხველთადმი: „მკითხებელთათვის. — ჩემგან ამ წიგნის თარგმნა შეუძლებელიყო საღმთო წერილის ენის გამოუცდელიობით, გარნა მამიდის ჩემის, მეფის ქაიხოსროს ასულის თხოვას და ბრძანებას ვერ უჩვენებ, ვინაჲთა დიდი სურვილი აქუნდა რუსულისაგან ქართულად გარდმოღებულისა და ამისთვის, აღბაძებულმან სხუათა ქრისტიანეთ მთარგმნელთაგან, არღარა ვრიდებ ლექსთ შეუწყობლობის ყვედრებასა, რათა იდიდოს აღრითგანვე მორწმუნეთა ჩვენთა ერთგემეყნულთაგან ყოვლად დიდებული სახელი ღმერთ მამაკაცისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი აჲ და უყუნიეთი უკუნისამდე.“

პაზრი წერილისა სრულად გარდმოიღია და თუ ვინმემ ინებოთ უშეგინიერესად განწყობამ მშრომლის სახელ-აღუხოცლად, მადრიელ ვიქმნები. თავადი დიმიტრი ბაგრატიონი“ (4r).

გ. II რუსული გამოცემის წინასიტყვაობა: „აღნიშნუა. — წიგნი ესე ამტკიცებს თავის შორის საინო-ყოფილს ქრისტესათვის განსჯასა წინასწარმეტყუელთა თქმულთაგან...“ (4r—5r).

დ. წყება პირველი. — ღმერთმან დაგიცვას შენ, საყვარელო ძმო, და ნაგარბოს საუკუნოვია შენი ვიდრე დასასრულდმდე ტყვეობისა ჩვენისა და შემოკრებადმდე ჩვენისა ამის განზნეულებისა...“ (5r—v).

3 ერთის: ა. „აღიწერა ჰელითა“ (მერმე ადგილია გაშვებული).



„მე დაეკშურ ამად,  
 ერთი მრწამს სამად:  
 სულად, ძედ, მამად,  
 აღუღელთ ვამად“ (48v).

ბ. „პირი წიგნისა, წარვლინებულისა იერუსალიმით ტიბერიოს იმფრატორის (I) მიმართ ფუბილო (I) დენტულო მთავრისაგან ჰურიასტანისა იესო ქრისტესათვის, და წიგნი ესე დამარხულ არს კრომს, მონასტერსა შინა ბატონთა კესარინელთა წიგნის-საცავსა შინა...“ (49r—50v).

გ. „საძიებელი წიგნისა ამის თავთა ზედა“ (51r—52v).

4. ხელნაწერის კიდევზე ქართველი მთარგმნელის შენიშვნებია: „მაძიებელ — რუსულში ფრიად ძალთათა“ (21r). „რუსულში სწერია: ლათინთ მთარგმნელი ამბობს, არაბულის ენით ასირ ეწოდების ანგია წინასწარ მეტყველსაო. წინასარმეტყლობა (I) მოუტანია აქაო, მაგრამ მრავალი ვეძიე და ვერ ვპოე, და ამისთვის აღარ ვსთარგმნეო“ (23r). 28v-ზე ტექსტი წართულია: „რუსულშიდ ასრე ვრცელად არის და ქართულში არა“.

5. ამ თხზულებასთან დაკავშირებით იხ. კ. კეკელიძის ეტიუდები, V, 1957, გვ. 107, № 172; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 641, სქოლიო; ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., 1960, გვ. 231—232.

მინაწერი: ზედა ყდის საცავ ფურცელზე სომხური მინაწერია.

(27)

154

### საგალობელთა კრებული. XIX

„ხუთშაბათსავე ღმრთისმშობლისანი. უქმი ქუეყანასა. — სარწმუნოებით დიდად ღირსად, უბიწოდ...“ 169v—171v.

„დღე პარასკევი ჯუარისა, გულისკმა-ვყო. — ძელითა მით მოვიტყუ სიკუდილი, ხოლო კუალად...“ 171v—174r.

„პარასკევსავე სხუანი ღმრთისმშობლისანი. ღმერთსა, რომელმან იცნა. — ცთომილთა მათ კელთა კურნებად განჰმარტენ...“ 174r—176v.

„პარასკევსა გალობანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი. რომელმან წამის-ყოფით. — ზღუდე შეურყვეველი შევედრებულთა...“ 176v—178v.

„დღე შაბათი წმიდათა სულთა. გ გ. ი. მკდომარე — ახოანო მოწამენო კეშმარტებისანო, არცა...“ 178v—179r.

„მღელთ-მოდღუართა. ვითარცა-იგი. — საზღვრად სარწმუნოებისად და საფუძვლად მტკიცედ...“ 179v—180v.

„მღელთ-მოდღუართა და მამათანი. ვითარცა-იგი. — მარხვასა შინა უჯორცობა მღვდარებასა და ლოცვასა...“ 180v—182v.

„შაბათსავე სხუანი გალობანი. რომელმან წამის-ყო. — რომელმან სიკუდილითა შენითა, ქრისტე, მძღავრება მსიკუდილისა...“ 182v—184v.

„შაბათსავე სხუანი გალობანი ყოვლად წმიდისანი. უქმი ქუეყანა. — ღმრთისა მამისა ჯერჩინებითა და სულისა წმიდისა მადლითა...“ 184v—187v.

„დასდებელი აღდგომისანი. უფალო ღწა, ჯდ. მკნეონი. — თაყუანის-ვსცემთ ჯუარსა შენსა ცხოველსმყოფელსა...“ 187r—191v.

„სხუანი გალობანი აღდგომისანი. დ ზღუდა უფალ. — შენ ჰკურნენ წყლულებანი კაცთანი, ქრისტე, წყალობითა...“ 191v—194r.

„კვრიაკესავე ღმრთისმშობლისანი. დაანთქენ. — შეირყვენს ერნი და შეძრწუნდეს წარმართნი...“ 194v—196v.

„კვრიაკესავე სხუანი გალობანი სამებისანი. ზღუსა მის მეწ. — სამებისა სამგუამოვნებით ღმერთსა...“ 196v—198r.

„კვრიაკესავე ყოვლად წმიდისანი. ზღუსა მის. — მკურვალე ვერებება ჩუენი წადიერებით შეწირული...“ 198r—210v.

„დღე ორშაბათი წმიდათა მთავარანგელოზთა და სინანულისა. მიხდა ცრემლთა მიერ აღკოცამ შეცოდებათა“ 201v—202r.

„სინანულისანი დ. ცანი ცათანი. — დაღონებულსა ამას და მოუძღურებულსა სულსა...“ 202r—205r.

შენიშვნა: ტექსტში ჩართულია გალობა სამებისა ძუჭღებურად. — „და, უსაბამოსა შენსა მამასა და შენ, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და წმიდასა სულსა შენსა ქრობინთავებრ დიდების-მეტყველებით ეკადრებთ და კიტყუთ: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩუენო.“

ღმრთისმშობლისანი. ვითარცა აწ წესნი ანგელოზთანი ცათა შინა მდგომარე-  
 ნი, შიშით კაცნი ქუეყანასა ზედა ძლევისა ვალობასა შეეცწირავთ შენდა, სა-  
 ხიერ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ.

საცნაურთა შენთა მსახურთასა შეწირვად შენდა გულებისა მოკუდავნი ესე  
 ვიკადრებთ ღმრთისმშობლისა მიერ; წმიდა ხარ, წმიდა ხარ. შენ, ღმერთო ჩუ-  
 ენო, სამებაო ერთარსებაო. ღმრთისმშობელისა მიერ შეგეწყალენ ჩუენ.

უკორცოთა ბუნებასა მიმგავსებულნი და სიტყუჳსრა მსხუჭრპლსა ქუეყა-  
 ნისანი ღმერთსა ღმრთივ შუჭნიერად უვალობდეთ და სერაბინთა ვალობათა შეე-  
 სწირვიდეთ: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ.

შენ, რომელი საყდართა ქერობინთა ზედა მჭდომარე ხარ ყოველთა თნა, ზე-  
 ცისა წესთა შეეცწირავთ შენდა ვალობასა ჩუენ, მიწისაგანი ესე, და ვიტყუთ:  
 წმიდა ხარ.

ქრწინონი ზრუენიანი განვიშორნეთ და მოღუაწებად სულიერი შევიტკობთ  
 და ზეცისა ძალთა მოობაჳდ გამოვჩნდეთ და მათ თანა სამგზის წმიდა ვალო-  
 ბაი მეუღისაი ყოველთასა შეეცწიროთ: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ\*  
 (მოსდევს კანონი).

„სხუანი ვალობანი სინანულისანი და წმიდათანი. დაანთქენ. —  
 მკსნელ ჩუენო ქრისტე, რომელმანცა აცხოვნე...“ 205r—207r

„სხუანი ვალობანი ზეცისა ძალთანი. ზღუად უვალი. — საღმრთოთაგან  
 ნათლისა თუნიერ შუამდგომელისასა...“ 207v—209r.

„ორ შაბათსავე სხუანი ვალობანი ყოვლად წმიდისანი. ზღვსა მის მე-  
 წა. — ვითარცა ხარ უწმიდესი ყოველთა დიდებულთაი...“ 209r—212v.

„დღე სამშაბათი წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა და სინანული-  
 საი. მკნეონი. — ცეცხლის სახენი საცთურნი განსაცდელთანი...“ 212v—215v.

„სამშაბათსავე სხუანი ვალობანი ნათლისმცემლისანი. დაანთ. —  
 ვითარცა — რაი დიდი მთიები, ჰრბიოდე შენ...“ 215v—217r.

„სამშაბათსავე სხუანი ყოვლად წმიდისანი. დაანთქ. — ვინ შეუძ-  
 ლოს, სძალო, მითხრობად საიდუმლოდ მონისა შენისა...“ 217r—219r.

„დღე ოთხშაბათი წმიდათა ღმრთისმშობლისა და ჭუარისაი ძღმლე-  
 ბურად. საჭურველად უძღველად, ქრისტე, ჭუარი მოგუტც...“ 219r—222v.

„სხუანი ვალობანი ყოვლად წმიდისანი. ზღუად უე. — ქრისტე, ყოვლად  
 ძღიერო, ბრწყინვალეზო მამისაო...“ 222v—224r.

„სხუანი ვალობანი ყოვლად წმიდისანი. დაანთქენ ვ. — ქირთა და ურვათა  
 და განსაცდელთა...“ 224r—225v.

„დღე ხუთშაბათი წმიდათა მოციქულთაი. თუთნი. — მოციქულთა  
 გუნდი სულითა წმიდითა განანათლე, ქრისტე...“ 225v—228r.

„სხუანი მოციქულთანი. ზღუად უვალი. — ორღანოთა კმატკბილთა სუ-  
 ლისა ყოვლად წმიდისა...“ 228r—231r.

„დღე პარასკევი ჭუარისაი. — ხისა მიერ აღამ შეცთომილი განვარდა  
 სამოთხით...“ 231r—232r.

„ღმრთისმშობლისანი. მოციციემი. — მეუღრად ხედვიდა დამკსნელსა ყოვ-  
 ლად უბიწოად დედოფალი...“ 232v—234v.

„სხუანი ვალობანი ღმრთისმშობლისანი. საღმრთო მან ნისლმან. — განკურ-  
 ნე შემუხრვილებად კაცებისა...“ 235r—236v.

„პარასკევსა სხუანი ვალობანი ღმრთისმშობლისანი. საღმრთო მან  
 ნის. — ჭემპარიტად და უწვალებელად ჰშეე შენ ღმერთი და უვალი ჭემპარი-  
 ტებით...“ 236v—238v.

შენიშვნა: აშიაზე მიწერილია: „მიტროფანე“.



„ღღე შ ა ბ ა თ ი წმიდათა და სულთაჲ. მკნეონი. — მოწამენო უფლისანო, სკრტხნო სრულნო...“ 238v—239r.

„ღღედათა მოწამეთაჲ. მკნეონი. საწუთოთა საშეგებელთა დატეგებითა ქალწულთა...“ 239r—243r.

„შესხმანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი. ჳა გ. მკდომარე. — მ დიდებულო, საკვრელო, რამეთუ ქალწულმან შვა და შობილი იგი ღმერთ არს...“ 243r—245r.

„შესხმანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი, ჳა დ. მოგიცემიეს. — შენ, ყოვლად უბიწოსა...“ 245r—246r.

„გალობანი ყოველთა წმიდათანი, ოდესცა ვის ენებოს. ჳა დ. ზღუსა მის მეწ. თაყუანის-ვსცემდეთ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა და ანგელოზთა...“ 247r—249v.

„შ ა ბ ა თ ს ა ვ ე გალობანი წმიდათა წინაწარმეტყუელთანი დ. დანაქენ გ. — მღვთმერთ წინაშე ღმრთეებისა საყდართა, წინაწარმეტყუელნო...“ 250r—251v.

„შ ა ბ ა თ ს ა ვ ე ღმრთისმშობლისანი. არარაჲ არს. — შენ ხარ სასუფეველისა საღმრთოჲ ბჳე უბიწო...“ 252r—253r.

„შესხმანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი. ჳა დ. დიდი მღ. — შენ ღრუბელად ნათლისად საცნაურად, ქალწულო...“ 253r—255r.

„შესხმანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი. ჳა ბ. წარჯვა. — ვითარცა ოქროსა საკუმეველმან ცეცხლი ღმრთეებისაჲ შეიწყნარე...“ 255r—257v.

„გალობანი სავედრებელნი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი ერისათუს თუსისა. ჳა დ გა. ორნი წართულნი. — ეტლთა რომელმან სათნო-იჩინე ჳორცთა ბუნებისა შემოსაჲ...“ 257v—260v.

„გალობანი სავედრებელნი სნეულსა, რომელთა თავნი იტყუან: სნეულითა მკსნელო, სიმრთელე მომადლე. ჳა ბ. მოვედით, ერნო. — სნეულობანი კაცთა ბუნებისანი, ქრისტე ღმერთო...“ 260v—262r.

„სხუანი გალობანი სულისანი, რომელნი ითქუმიან მიცვალებულსა ზედა. მოვედით, ერნო. — ბრწყინვალებითა ნათლისა შენისაჲთა განანათლე...“ 262r—236v.

„დასდებელნი ძრვისანი, ოდესცა ვის უნდენ. ა. ზეცისა ძალნი. — ღმერთო მზოლო, რომელი შესძრავ საფუძველთა...“ 263v—266r.

„გალობანი უწყმროებისანი ჳა დ. ზღუჲა უვალ... — ყოველსავე გონებს გამოუკულებელად და...“ 266r—267v.

**შენიშვნები:** 1. საგალობელს უძღვის სამი საკითხავი: ა. პირველის სათაური არ იკითხება. 1 საკითხავი 10 მუხლისაგან შედგება: „მოწაფეთა თანა მივიწინით მთასა ვალილიაისსა სარწმუნოებით ხილვად ქრისტესა მეტყუელსა კელმწიფებისა მოღებად ცათა...“ 1r—2v.

ბ. აღდგომისა ათერთმეტს სახარებათა სტიქარონნი, თქმულნი კოსტანტინე მეფისანი“ (2v—4r).

2. ტექსტში ჩართულია „ძული“ საგალობლები, რომლებიც თავ-თავის ადგილას აღწერილობაში ყველგანაჲ აღნუსხული.

3. ხელნაწერი № 163 ძირითადად მისდევს გ. მთაწმიდლის რედაქციის პარაკლიტონს.

**ანდერძი** (შემკაზმავის): „შეიკაზმა კელითა ფრიად ცოდვილისა იოვანე-სითა, შეუწდენ ღმერთმან. და ვინცა მომიკსენოთ, თქუენცა შწნ ღწ აწ. გ რ ი გ ო ლ ს შეუწდოს ღმერთმან და მარია მს შეუწდოს ღმერთმან, ამინ“ (5v).

- იქვე მეორდება ეს ანდერძი. ემატება ბოლოს: „გ ი ო რ გ ი ს შ ე უ ნ დ ლ ს ლ მერ თ მ ა ნ , ა მ ი ნ . ც ო დ ვ ი ლ ს რ ო მ ა ნ ო ზ შ ე უ ნ დ ლ ს ლ მერ თ მ ა ნ “ (5v).  
**მინაწერები:** 1. „როდესაც პატრონმან ათაბაგ — (270v).  
 2. „...გ რ ი გ ო ლ ს შ ე უ ნ დ ლ ს ლ მერ თ მ ა ნ , ა მ ი ნ “ (270v).

## 164

## სომხურ-ქართული ლექსიკონი. XIX

გადავიდა სომხურ ხელნაწერებში № 22.

ქვედა ყდის გასწვრივ შემდეგ გამოჩნდა სამი ქართული ხელნაწერის ფრაგმენტები. ერთ-ერთის ტექსტი: „უფროს გეხვეწები შენ, რომ როდესაც ჩემი სული ხორცისაგან გაიყაროს და შენი.. სამართალში რომ იყოს, რამეთუ ჩემი სიცოცხლის ანგარიში უნდა მივსცე, მაშინ მომეხმარე და მოიხსენე, ახლა ნდობა-ვედრება ჩემი, რამეთუ შენ ხარ შესახიზარი ჩემი“. ფრაგმენტები XIX ს. დამდეგით შეიძლება დათარიღდეს.

(37)

## 165

## თომა კემფელი, ქრისტეს თანა შედგომასა ზედა. XIX

183 ფ., 18×22ს; ქაღალდი; ტყავადაკრული ხის ყდა; ტვიფრული, დაზიანებული; პირველი 7 ფ. ამოვარდნილია; ამოვარდნილია 177 ფ.; მხედრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [XIX ს. ჩანს კვირინიშნის 18]; დაუწერელია 3r—v, 183 r.

თ ო მ ა კ ე მ ფ ე ლ ი, ბერი ეკლესიური წესისაგან აგვისტინესი, ქ რ ი ს ტ ე ს თ ა ნ ა შ ე დ გ ო მ ა ს ა ზ ე დ ა. საკმარნი ტუქსვანი სულიერი ცხოვრებისათვის. წიგნი პირველი, თავი პირველი. ქრისტეს თანა შედგომასა ზედა და ყოველი სოფლისა ამის ამოვების გალახვასა ზედა. — „რომელი შემომიდგეს მე, არა ვილოდეს ბნელსა“ (იოვანე 8, 12) იტყვს უფალი. ესენი არიან სიტყვანი ქრისტესანი, რომელთაგან ვიწუთნებით და ვიტუქსებით, რათა ცხოვრებასა და კვალსა მისსა უღებოდეთ...“ 1r—179r.

**შენიშვნები:** 1. ტექსტი ძირითადად მიჰყვება № 160 ხელნაწერს.

2. 179v—182v-ზე არის ზანდუკი.

3. თხზულება თარგმნილია ტულუქაანთ დავითას მიერ. იხ. აქვე, № 160 ხელნაწერი აღწერილობა.

**მინაწერი:** „ეს თომა კემფელი ხოჯა იოვანეთის არის. თუ დაკარგოს, ვინც იპოვნოს და არ გასცეს, ღმერთთა მოვალე იყოს. ხოჯა იოვანათი პეტრეს არის“ (183v).

## 166

საიდუმლო აღსარება. ევროპული წყაროებიდან გადმოღებული ქართულად ივ. გვარამაძის მიერ 1892 წ. ქ. ახალციხეს, ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 167

მარგალიტ თქმულის წიგნიდან ამოწერილი, ერთვის ქობულეთის მაზრის სოფლების სახელები და სხვა ამონაწერები, ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 168

ღონ ორსინი, მოხრობითი ცხოვრება ღვთისმშობლისა, გადმოქართულებული დამატებებითურთ ივ. გვარამაძის მიერ 1902 წ. ქ. ახალციხეს (საარქივო მასალა).

## 169

სამოციქულო, ეპისტოლე I, თარგმნილი სომხურიდან ივ. გვარამაძის მიერ, ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 170

ლექსიკონი ბუნებითი მეცნიერებისა, შედგენილი ივ. გვარამაძის მიერ 1882 წ. სოფ. ხიზაბავრას, ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 171

სამოციქულო, ეპისტოლე II, თარგმნილი სომხურიდან ივ. გვარამაძის მიერ 1895 წ. ქ. ახალციხეს, ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 172

მათეს სახარების თარგმანისგან მოკლედ გამოკრებული, უფრო სიძნელონი, ივ. გვარამაძის მიერ 1888 წ. ქ. ახალციხეს, ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 173

მაქსიმე აღმსარებლის სწავლანიდან გამოკრებილი ივ. გვარამაძის მიერ, ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 174

სალექსიკონო მასალა — ქართული ლექსიკონის დასამატი ლექსები სიტყურების გასამრავლებლად, ივ. გვარამაძის შედგენილი, ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 175

წამება მიქაილ გობრონისა და ასოცდაათსამეტ მოყუასთა მისთა, ლექსად თქმული ივ. გვარამაძის მიერ 1882 წ. მაისში სოფ. ხიზაბავრას, ავტოგრაფი (საარქივო მასალა).



## 176

ღვთისმშობლის სავარდის დღეობად. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 177

სახელმძღვანელო სამეცხეთოს ერთა მარად სახსენებელ-საგონებელი, ავ-  
 კარგის გასარჩევად, ივ. გვარამაძისა, 1898, ახალციხე. ავტოგრაფი  
 (საარქივო მასალა).

## 178

სასუფეველს ზედა. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 179

მოკლე ქართლის ცხოვრება ახალი შენიშვნებით, ივ. გვარამაძისა,  
 1873. ახალციხე. ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

## 180

ღვთისმშობლის უმანკო ჩასახებასა ზედა. ივ. გვარამაძის ავტოგრა-  
 ფი (საარქივო მასალა).

## 181

ისტორიული მასალები. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მა-  
 სალა).

## 182

ახლად შედგენილი ქართლის ცხოვრება ივ. გვარამაძისა, 1881,  
 სოფ. ხიზაბავრა (საარქივო მასალა).

## 183

ისტორიული ჭეშმარიტება. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო  
 მასალა).

## 184

ძველისძველი ისტორიული ცნობები მესხ-ქართველთა ლინგვისტიკურად.  
 ივ. გვარამაძისა, 1887, ახალციხე, ავტოგრაფი (საარქივო მა-  
 სალა).

ძველებური სანადიმო სუფრულები სოფ. ხიზაბაევრას და ახალციხის მიდამოებში შეკრებილი. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

### ოთხთავი. XI ს-ის ბოლო

266 ფ.; 15,5×10; ეტრატი; ყდა ტყავგადაკრული ფიცრისა; ნუსხახუცური, სახედაო ასოები მოხატულია; გადამწერი: საბა (114r, 184r); მთარგმნელი: გიორგი მთაწმიდელი (238r); მომგებელი: გიორგი ხუცეს-მონაზონი (265v); [XI ს-ის ბოლო]; ნაკლული; დასაწყისი დაზიანებულია, მოხუცულია ფურცლის ნაწილი. პირველ რეგულუმის ქვემო კიდებზე „განთესულია“ მოთავსებული (მათეა გაყვება ბოლომდის, აგრეთვე მარჯოს, ხოლო ლუქას და იოანეს — აქ-იქ); ტექსტი ხშირად გაცხოველებულია.

[ოთხთავი]. — „...ხოლო იესუ ქრისტეს შობაჲ ესრეთ იყო, რამეთუ თხოვილ იყო დედაჲ მისი მარიამ იოსებისა და, ვიდრე შერთვადმდე მათა, იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა...“ (მათე I, 18) 3r—237v.

შენიშვნა: ოთხთავის ტექსტს მოსდევს: „განყოფაჲ სახარებისაჲ დღესასწაულთა წელიწადისათაჲ სუნაქსარისა წესითა რჩევიით“ (238v—265v). სათაურის მომდევნოდ ჩაწერილია: „ქრისტე, შეიწყალე გიორგი, ამენ“.

ანდერძები: 1. „ლოცვა ყავთ, ღმერთმან გარწმუნოს გლახაკისა საბაჲს თჳს, რომელმან დიდითა ხარებითა და ფრიადითა გულსმოდგინებითა კელეყავ წმიდისა ამის სახარებისა დანუსხვად ძალისაებრ ჩემისა“ (114r).

2. „ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, შეიწყალე სულით და კორციით დაცემული და უძლური საბა, ამის სახარებისა მჩხრეკალი, ამენ იყავნ. ვინცა აღმოიკითხოთ ნახრეკი ჩემი, ნუ თანა-წარპქედებით ლოცვისა ყოფად ჩემთვის სიყუარული-სათჳს ქტსა“ (184r).

3. (გიორგი მთაწმიდლისა) „ესე საენაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდა ოთხთავი არა თუ ახლად გვთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა ბერძულთა სახარებათა შეგვწამებია ფრიადითა გამოწულივითა. და ვინცა-ვინ სწერდეთ, ვითა აქა პპოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს, სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ, ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რამე გაშენდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველთგან წმიდად თარგმნილნი და კეთილად — ხანმეტრეცა და საბაწმიდურნიცა — მუნით დაწერეთ და, ღმრთისათჳს, ერთმანეთსა ნუ განჩრეთ, და გლახაკისა გიორგის თჳს ლოცვა ყავთ“ (238r). ოთხთავზე დართული გ. მთაწმიდლის ანდერძი სამეცნიერო ლიტერატურაში ორი რედაქციითაა ცნობილი — **ტ** და **ჟ**. **ჟ** რედაქციის ანდერძი მას ქართული ოთხთავის ბერძენულთან შეჯერებას მიაწერს. № 186 ხელნაწერს ახლავს **ჟ** რედაქციის ანდერძი (იხ. ა. შანიძე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილ უძველესი ქართული ტექსტების შესახებ XI ს-ის მწერლობაში, ოხუცლებანი, I, თბ., 1957, გვ. 284—288).

შინაწერები: XII—XIII სს-ის ნუსხურით: 1. (სახარების განყოფაჲნი მორჩენილ თავისუფალ ადგილზე სტრაქონისა) „ქრისტე, აღიდენ სჳმეონ კათაიკოხი“ (249r).

2. „დიდება შენდა, სამებაო წმიდაო, ღმერთო ჩუენო, ერთარსებაო, წყაროო სახიერებისაო, უფსკრულო მოწყალეებისაო, რომლისა დიდებითა სავსე არიან ცანი და ქუეყანაჲ, და წყალობაჲ შენი მიწუთების ვიდრე კინთამდეცა და უნდოთა, რომელმან ღირს მყავ მე, სულითა საწყალობელი ყოვლად უღები გი-

ორგი სახელით ოდენ ხუცეს-მონაზონი მოგებად მოძღვრისა და ყოველთა ჰასაყ...თა სულთა განმანათლებელისა ამის სახარებისა ახლისა და ყოველითურთ უნაკლულომას საძიებელითა, ვითარცა არს ბერძულად განწესებული სადიდებულად ღმრთეებისა შენისა და სარგებლად ყოველთა ქრისტეანე მართლმორწმუნეთა მონათა შენთა, რამეთუ შენი არს სუფევად უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

გვედრები, წმიდანო ღმრთისანო, ვისსაცა მოიწიოს წმიდად ესე წაგნი, სწერდეთ ანუ იკითხვიდეთ, ქსენებულ-გუყუვენით წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა პირველად გამზრდელნი ჩემნი—სუმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი და მოძღუარი ჩემი დიმიტრი, და შემდგომად სულიერნი მოძღუარნი და მშობელნი ჩემნი და ძმანი და თუთ მე, საწყალობელი, თქუენ—მოძავალთა, ჩუენ—წარსრულთა ესე, რამეთუ ვიყვენით ოდენსმე ჩუენცა, ვითარცა თქუენ და თქუენცა იქმნეთ, ვითარცა ჩუენებრ. უფალმან სიუფარულისა და წყალობისა სასყიდელი მოგანიჭოს და ერთობით ვბოთ წყალობად საუკუნოდ, ამენ“ (265v). ამ ხელნაწერის აღწერილობისათვის, აგრეთვე მინაწერებში მოხსენიებულ აფხაზეთის კათალიკოს სემეონისა და მისი ვაზრდილის გიორგის შესახებ იხ. თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, 1897, გვ. 88—90; ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966, გვ. 47, სქოლიო 39; მისივე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 85—86.

(39)

187

### გალობანი (ფრაგმენტი). XVIII

13 ფ.; 15,5×10; ქალაღი; უყდო; მხედრული, სხვადასხვა; [XVIII]; დაუწერელია ფ. 7.

[გალობანი]. — „ყოველი სული აქებდით უფალსა. ფსალმონი: აქებდით უფალსა ცათაგან“ 1r—13v.

შენიშვნები: 1. ზოგი გალობა ქართული ტრანსკრიპციით ნაწერი ლათინური ტექსტია.

2. ზოგან გატანილია გალობის სათაურები: „გალობა ახალი კვირისა“ (3v, 5r), „აღდესასწაული სახელისა იესოსი“ (8v), „ვესპროზედა გალობა (10v), „გალობა ქებისა“ (11v).

3. ამ ხელნაწერთან დაკავშირებით იხ. შ. ლომსაძის ახალიცხური ქრონიკები, გვ. 235. ეს ხელნაწერი „ფსალმუნადაა“ მოხსენიებული როგორც ჩანს იმის გამო, რომ ტექსტი ფსალმუნური საგალობლებით იწყება.

მინაწერები: 1. „მორწმუნეთა ყა გამჩენო და სხვა, განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო, და ნათლითა სამარადისოთ განანათლენი იგინი. განისვენენ მშვიდობით, ამენ“ (1v).

2. „ეს წიგნი ტირაელ მურადასია“ (12v).

(40)

188

### კონდაკი (სურბნიშნისა). XVIII—XX

91 ფ.; 19×14,5; ქალაღი; ტყავგადაკრული ფურცლებისაგან შეწებებულია; მხედრული, სხვადასხვა; [XVIII—XX]; დაუწერელია; 1v, 81v—91v.

[კონდაკი სურბნიშნისა]. — „ხოჯა ქერიმ, რომელმან შესწირა... და ერთი ჭაშუ გირქი და ერთი ასმაურქი შესწირა...“ 3r—81r.



**შენიშვნები:** 1. უძღვის მითითებები იმის თაობაზე, თუ რომელ საეკლესიო დღესასწაულებზე იწირვის ეკლესიის „კეთილმყოფელთა“ და „შემწირველთათვის“ (1r—2v).

2. თარიღი არ ჩანს 64r-მდე, მხოლოდ აქ ჩართულ აღაპთან არის თარიღი: 1802, 1803. თარიღები ჩნდება 1852 წ-დან (64v): 1853—1855, 1852, 1878, 1880, 1881, 1883—1886, 1888, 1890, 1892, 1896—1907, 1910 წწ.

3. ტექსტის დასასრულს მიწერილია: „განვიხილე 14.VIII 1913 წ. დეკანოზი ახალციხის და მისი მზრის საკათ. ეკლესიათა, მღ. სერაპიან მერაბაშვილი“.

4. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. შ. ლომსაძის „ახალციხური ქრონიკები“, გვ. 92, 236.

**მიანწერები:** 1 „ეს კონდაკი დაწყებული უნდა იყოს 1800 წელზე ადრე, რადგანაც ამ კონდაკის 30 ფურცლის გვერდზე და 44 ფურცლის გვერდზე აღნიშნულია 1802 რიცხვი და 1803 რიცხვი. მღ. პავლე თათუნაშვილი“ (2r).

2. „1818 აპრილის 28 მონათლა... შვილი წმ. ნიშნის ეკლესიაში და მირონიც იცხო იმავე დროს და სახელი ეწოდა სტეფანე და მონათლა იყო თამარაშვილი იოვანჯანაი. სტამბოლისაგან“ (ქვედა ყდის საცავ ფურცელზე).

(41)

189

### კარაბადინი (ქართულ-სომხურ-თურქული). 1753

226 ფ.; 25,5×14,5; ქალაღი; არაბულად ნაწერი ფურცლებისაგან შეწყებული ტყავგადაკრული ყდა; მხედრული, სომხური და თურქული ტექსტები ქართული ტრანსკრიპციით; 1753 წ. (219r, ზედა ყდის საცავი ფურცელი); გადაწყვეტილებები: სიმონა და პეტრე, ახალციხელი ხიზანათ მოსესას შვილი (219r); ადგილი: ტრაპიზონი (219r); პირველი ორი ფურცელი ჩამოხეულია.

[კარაბადინი]. — „ბაბი ეს წამლები... ეთ და გასცარიით... თაფლით...“ 1r—226v.

**შენიშვნები:** 1. შედგენილობა: ა. 1r—179r-ზე კარაბადინის ქართული ტექსტია.

ბ. 179v—219r-ზე კარაბადინის სომხური ტექსტია, ქართული ტრანსკრიპციით ნაწერი.

გ. 220r—226v-ზე კარაბადინის თურქული ტექსტია, ქართული ტრანსკრიპციით ნაწერი.

2. ტექსტი ანმეტია.

**ანდერძი** (გადაწყვეტილება): „ღმერთმან პატრონს მოახმაროს საკეთოთ ეს წიგნი. მე, მალთის მონა, ცოდვილმან იაღჯი სიმონამ, ეს კარაბადინი დაესწერე და სარული გავხადე მარტის (ზ) დაღეს გასრულს. თუ ამაში მეტი ნაკლები იყოს, ვინც წაიკითხოთ, ღმერთის ხათრისთენი, ყიბათში არა მაგინოთ, ამინ. თარიხი იხტყ, ამინ.“

ღმერთი დაიწერა ეს წიგნი ტრაპიზონს. მე, ცოდვილი ახალციხელი (!) ხიზანათ მოსესას შვილი (!) პეტრემ. ახლა, ძმანო, თუ ამაჩი ან მეტი ან ნაკლები იყოს, შენდობილი ვიყოთ. დაიწერა ეს წიგნი ქრისტეს-შობის გასულს, ქორანიკორს (!) ქრისტეს აქეთ ჩხშიგ გასულს, პეტეში ოღლი ალი ფაშა ფაშათ იყო. ვინც წაიკითხოს, შენდობა თქვას“ (219r).

**მიანწერი** (ლურჯი მელნით) „1753 წ.“ (ზედა ყდის საცავ ფურცელზე).

## 190

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

(42)

## 191

## პავლე ხენერი, მათიანე ორმეოცთა ქადაგებათა. 1830

XIV+1098 გვ.; 21×15; ქალალი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედ-რული; 1830 (I გვ.); ავტორი: პავლე სენერი (I გვ.); შთარგმნელი: შაპ-ყულიანთ დავით (I გვ.); აღგილი: ახალციხე და ტფილისი (I გვ.); დაუწერელი: II—IV, XIII, 18, 90, 1074—1098 გვ.

[მატიანე ორმეოცთა ქადაგებათა]. — „მოიხსენე, ში კაცო, რამეთუ მიწა ხარ და მიწადეა მიიტყე (წა ეკლ.). პირველი ქადაგება დღესა ოთხშაბათსა ნაცრის დაყრისასა. ერთი ყოვლად სამწუხრო ჰამბავის მოსატანად მოესულვარ მე აქა, ში პატიოსანნო მსმენელნო ჩემნო, და ამასაც ვაღვიარებ...“ 1—1073 გვ.

შენიშვნები: 1. შეიცავს ნაცრის დაყრის ოთხშაბათის, შემდგომად ნაცრის დაყრისა ზუთშაბათისა და პარასკევის, დღემარხვის, ბზობის, დიდი პარასკევის, პასექის, პასექის მომდევნო ორშაბათისა და სამშაბათის ქადაგებებს (სულ 38 ქადაგება), მათ ემატება წმ. იოსებისა და ხარების ქადაგებები (905—933 გვ.). წმ. იოსების ქადაგებას უძღვნის შენიშვნა: „საცნაურ იყოს, ვითარმედ შემდგენი ესე ორნი ქადაგებანი აღმატებულ იქმნენ აქა აღესებად რიცხვისა ორმეოცთა ქადაგებათა, რამეთუ ამით არა აქუსთ მტკიცე აღგილი ორმოცე-ულთა მარხულობათა მათ შორის, ვინაით ორნი ესე დადებულ იქმნენ ბოლო აღგილსა ამას, ვითარნი არიან დღესასწაულებანი იგი წმინდისა იოსებისა — მარტის 29-სა და ხარებისა — მარტის 25-სა“ (905 გვ.).

2. თავფურცელზე აწერია: „მატიანე ორმეოცთა ქადაგებათა, შეთხუღლთა მამა პავლე გაბრიელ სენერისაგან, უუპატივემულესისა მღვდლისა და უუგანთქმულესისა მოქადაგისაგან კნინდა მრთელი იტალიისა, განმარტებულ ქმნილ ქართულთ ენასა ზედა შაპყულიანთ პოლოს დავით ვართაპეტისაგან, აღრევე დაწყობილი ახალციხის ქალაქსა შინა დასრულდა წელსა ცხოვრებისა სოფლისასა 1830, ქალაქსა ტფილისისასა, ეამსა უმწვერვალესისა მამათჳაერობისა წმინდისა მამისა ჩვენისა მერვე პიოს ჰრომის პაპისასა. ...შაპყულოვისა არის“ (I გვ.).

3. უძღვის „წინათქმულებანი აღმოკითხველთადმი ქადაგებათა წიგნისა ამისათა. — თუმცა ყოველნი წიგნნი, ფრიად პატივცემული მამა პავლე სენერისაგან შეთხუღლნი, ცხადად და ყველგან ჰქადაგებენ უზესთაესებასა და უპატიოსნებასა მისსა...“ (V—XII გვ.). „წინათქმულებანის“ დასასრულს მიუწერია: „ყოვლად უღირსი და უხმარი მონა პოლოს დავით ვართაპეტი შაპყულოვი“. პოლოს შაპყულოვის, იგივე შაპყულიანის, იგივე პავლე ქილიმუზაშვილის შესახებ იხ. შ. ლომსაძე, ახალციხური ქრონიკები, გვ. 62, 65, 67—69, 110—118.

4. ერთეის: ა. „საჩვენებელი წინასიტყვათა ორმეოცთა ქადაგებათა“ (934—938 გვ.).

ბ. „საჩვენებელი ანბანგანური ნივთთა მათ, რომელნიც შეცმულ არიან ორმეოცთა ქადაგებათა ამთ შორის“ (938—1037 გვ.).

გ. „მაგალითნი გინა მოთხრობანი, მატენსა ამას შეცმულნი, აქ ქვემოთ დიხვენებანი“ (1038—1041 გვ.).

დ. „საღმთო წერილის მოწმებანი“ (1041—1072 გვ.).

5. 1073 გვ-ზე დაწყებული „ბრწყინვალე შემთხვევანი, აღწერილი წმინდათა ცხოვრებასა შინა“, მომდევნო გვერდები დაუწერელია.

ანდერძი: „დასრულდნენ ორმოცეულნი ესე ქადაგებანი ტფილისის სეპტ. 4-სა 1830-სა, შემდგომად რა დაწყობილ იყუნენ რავედნიმე წლით უწინარეს ახალციხის ქალაქსა შინა“ (გვ. 933).

მინაწერი: (ქვედა ყდის საცავ ფურცელზე) „წმინდა ტომართა შორის ურიგო მოქცევისათვის იხილე მოთხრობა საშინელი, ქადაგება 23, ფურცლის პირი 561“. აქვე სხვა მინაწერებიცაა.

(43)

192

## ქადაგებანი. XVIII—XIX

156 ფ., 20,5×16; ქალაღი; უყდო; მხედრული, სხვადასხვა; [XVIII—XIX].

[ქადაგებანი. თავი 1] „ქრისტიანობისა ვალი. — ქრისტიანო ძმანო, მე სწორეთ ვეტყვი თქვენ, როდესაც ვხედავ და ვფიქრობ თქვენს ღიღს უმცოდნინარობას და უმეცრებას, რომელი გაქუსთ...“ 1r—156v.

შენიშვნა: შედგენილობა: I. [თავი 1] „ქრისტიანობისა ვალი“ (1r—4v).

„თავი 2. ქრისტიანეს სარწმუნოებასა ზედა“ (4v—8r).

„თავი 3. მრწამსა ზედა — მრწამს ერთი ღმერთი“ (8v—12v).

„თავი მეოთხე. მრწამსსა ზედან — მამა ყოვლის მპყრობელი“ (12v—16r).

„თავი მეხუთე. მრწამსსა ზედან — ცისა და ქვეყნისა დამბადებელი“ (16r—19v).

„თავი მეექვსე. მრწამსსა ზედან — და ქვეყანასა დამბადებელი“ (19v—23r).

„თავი მეშვიდე. მრწამსსა ზედან — და იესო ქრისტე, ძე მისი მხოლოდშობილი, უფალი ჩენი“ (23r—26r).

„თავი მერვე. მრწამსსა ზედან — რომელი მიუღვა სულისა მიერ წმინდისა“ (26v—29r).

„თავი მეცხრე. მრწამსსა ზედან — იშობა ქალწული მარიამისაგან“ (29v—32r).

„თავი მეათე. მრწამსსა ზედან — დაეჭირა პონტოელი პილატეს ბრძანებითა“ (32v—35r).

„თავი მეთერთმეტე. მრწამსსა ზედან — ჯვარს ეცვა, მოკვდა და დაიმარხა“ (35v—38r).

„თავი მეთორმეტე. მრწამსსა ზედან — ჯოჯობითი ჩავიდა, მესამესა დღეს აღდგა მკურდრებით“ (38v—41r).

„თავი მეცამეტე. მრწამსსა ზედან — ზეცას ამალდა, ზის ღვთისა, ყოვლის მპყრობლისა მამისა, მარჯუნით“ (41v—44r).

„თავი მეოთხმეტე. მრწამს ზედან — იქილამ უნდა მოვიდეს ცოცხალთა და მკუდართა სასამართებლად“ (44v—47r).

„თავი მეუთხმეტე. მრწამს ზედან — მრწამს სული წმინდა“ (47r—50r).

„თავი მეთექუსმეტე. მრწამს ზედან — წმინდა ეკლესია კათოლიკე წმინდათა წილდებულება“ (50v—53r).

„თავი მეშვიდმეტე. მრწამს ზედან — ცოდებათა შენდობა“ (53v—56r).

„თავი მეთვრამეტე. მრწამს ზედან — ქორციით აღდგომა“ (56r—59r).

„თავი მეცხრამეტე. მრწამს ზედან — საუკუნო სიცოცხლე“ (59r—63r). ამ თემას ეძღვნება მომდევნო მეოცე (63r—66v) და ოცდამეერთე თავები (66v—70v).

II. 1. „სასობა“ (71r—73v).

2. „სასობა ვითარცა იმედი“ (74r—76r). ამ თემას ეძღვნება მომდევნო თავი (76v—78v).

III. „თავი პირველი. მამო ჩვენოს ზედან — მამო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი“ (79r—83r).



- „თავი მეორე. მამო ჩვენოს ზედან — მოვედინ სუფევა შენი“ (83v—87v).
- „თავი მესამე. მამო ჩვენოს ზედან — იყავ ნება შენი ვითარცა ცათა შინი, ვგრეტა ქვეყანასა ზელა“ (87v—92r).
- „თავი მეოთხე. მამო ჩვენოს ზედან — პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“ (92v—95v). ამ თემას ეძღვნება მომღვენო მეხუთე თავიც (96r—100v).
- „თავი მეექვსე. მამო ჩვენოს ზედან — მომიტევენ ჩვენ თანა-ნადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენც მიუტეობთ თანა-მდებთა მათ ჩვენთა“ (100v—105r).
- „თავი მეშვიდე. მამო ჩვენოს ზედან — და ნუ შემოყვანებ ჩვენ განსადღელსა“ (105r—109r).
- „თავი მერვე. მამო ჩვენოს ზედან — არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ“ (109r—114v).

IV. 1. „წუთონა ღვთის ბრძანებასა ზელა“ (115r—117v).

2. „ღვთის სიყვარული“ (117v—120r).

3. „მოყვასის სიყვარულზედ“ (120r—122r).

4. „მოყვასის სიყვარულის რიგი“ (122v—124v).

V. 1. „პირველი ბრძანება ღვთისა — მე ვარ უფალი ღმერთი შენი და ჩემს მეტი სხვა ღმერთი ნუ იცი“ (125r—127r).

„წმინდანების პატივი და თაყვანი“ (127r—129v).

„წმინდანების ხატის და ნაწილების პატივს ზელა“ (129v—132v).

„წუთონა საყდრის პატივსა ზელა“ (132v—135r).

2. „ღვთის მეორე ბრძანება — ჩემს სახელს ტყვილათ და ცუდათ ნუ დაიფიცავ“ (135v—138r).

„გმობასა ზელა“ (138r—141r).

3. „ღვთის მესამე ბრძანება — კვირა და პუქმე შინახე“ (141r—144r).

4. ღვთის მეოთხე ბრძანება — მამასა და დედას აპატივე“ (144r—147r).

„თქმული იმ ვალზედა, რომ ერთმანერთისა აქუსთ ბატონებსა და მოსამსახურებსა“ (147r—150v).

5. „მეხუთე ბრძანება ღვთისა — კაცს ნუ მოჰკლავ, წუთონა მტრების სიყვარულს ზელა“ (150v).

VI. (სხვა ხელით) „საერთხავი პირველ სიყვარულზედ. სიყვარულის სიპატიოსნე“ (151r—156v).

(44)

198

### კათოლიკური ქადაგებანი. XIX

80 ფ.; ერთად შეკრული ქალაღი სხვადასხვა ზომისა: 18,5×14; 17×11,5; 15,5×10; ფურცლები დაზიანებულია და დალაქავებული; უყდო; მხედრული, სხვადასხვა; [XIX]; ნაკლული; დაუწერელია: 23v, 32v—34v, 63v, 70r—72v.

[კათოლიკური ქადაგებანი]. — „...თქვენ იფიქრეთ, თუ რა დიდი მიჩნეული და საყვარელი იქნება ღვთისა, რომ სულ ყველა წმინდანები...“ 1r—80v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი მეტად დაზიანებულია და შედგენილობის გამოტანა არ ხერხდება.

2. ხელნაწერის ერთი თავია: „მართებული საჭირო იმ სიტყვათა შორის წმინდისა მამისა ბერნარდისა. — სირცხვილულ არს ქვეშე ველოთ სავსე თავისა ყოფათ ხამისა ფაფარუკათ ქებითა წმინდისა...“ (55r—57v). ეს სიტყვა წინ სომხურადაცაა (52r—54v).

შინაწერი: „ეს მოიგინა ახალციხის ფრიალ პატივდებულს... ბატონს ტერიოანეს...“ (34r).

(45)

194

## ქადაგებანი ზნეობრივ თემებზე. XVIII—XIX

56 ფ., ერთად შეკრული ქაღალდი სხვადასხვა ზომისა: 24×17,5; 21,5×15; 21,5×16; 22,5×17; უყდო; მხედრული, სხვადასხვა; ერთ-ერთი გადამწერი: პავლე, არტანუჯელი დიაკონი (25v); [XVIII—XIX]; ნაკლული; დაუწერიელი: 6v, 16r—17r, 25r.

[ქადაგებანი ზნეობრივ თემებზე]. „საკითხავი პირველი სიყვარულის სიმღიდრეზედან. — გვიცხადებს ამას მოციქული პავლე, რომელი მას უკან რომ მოსთვლის ნიჭთა და საბოძვართა, სულიწმიდისაგან გამოსულა ნიჭსა სიბრძნისასა...“ 1r—56v.

შენიშვნა: ხელნაწერში ერთადა შეკინძული სხვადასხვა ხელით დაწერილი ქადაგებები, ზოგ ქადაგებას სათაური არა აქვს, ზოგი ქადაგება ნაკლულია, ჩანს მხოლოდ შემდეგი სათაურები: „სიყვარულის სიმღიდრეზედან“ (1r—2v), „ღვთის სიყვარულზედან“ (5r—6v), „ქადაგება ჯვარის ამაღლებისა“ (18r—24r).

მინაწერები: 1. ერთ-ერთი ქადაგების დასასრულს მინაწერია: „იღვსრულა ქადაგება ესე ქქს ქქტს 1784, იანვრის 18 გასულს“ (24v).

2. „მე, მონა მონათა, უმსახური პავლე არტანუჯელი დიაკონმა, დაეწერე ეს უმცირეს ნაწერსა“ (25v). ამ მინაწერთან დაკავშირებით იხ. შ. ლომსაძის ახალციხური ქრონიკები, გვ. 235—236.

3. „ხიზაბავრას“ (31v).

(46)

195

## ღვთისმშობლის სასწაულები. XIX

330 ფ.; 21×16; ქაღალდი; უყდო; მხედრული, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; მთარგმნელი სომხურიდან: ანტონ ხუციანოვი (329v); [XIX]; 4r-ზე თავსამაულია; 1 ფ. ჩამოხეულია.

„ქმნულნი სასწაულნი ყოვლად წმიდა ქალწული მარიამ ღვთისმშობლისაგან. მხურვალეა იგი, რომელი წმინდა სახელისა მის ყოვლად კურთხეული წმინდა ღვთისმშობლის მიმართ. პატივცემულ იქმნა ხუთი საკვირველი ვარდებითა. სასწაული ა. — ქუეყანასა მას ფლანდრიისასა, მონასტერსა შინა წმინდისა ბერტინოსი, რომელი ახლორეს არს ოგმერის ქალაქისა...“ 4r—320v.

შენიშვნები: 1. უძღვის: „წინათქმულობა მოთარგმანისა. — თუმცა გამოთუქმელ და გამოუკვლეველ არიან საკვირველებანი გინა სასწაულნი და მადლნი ყოვლად წმიდა ღვთისა ღვთისა ქალწულისანი, ქმნულნი კაცთა ნათესავთა ზედა...“ (1r).

2. შეიცავს „სამგზის ორმოცულს“ — 120 სასწაულს.

3. ერთგვის: ა. „საძიებელი წიგნისა ამის ღვთისმშობლის სასწაულებისა“ (321r—329r).

ბ. ლექსი:

„ტერ ანტონ ხუციანოვსა სიყრმიდგან ჰუნართ ღებასა,  
წიგნების კალმით წერვაში ვერვინ ედარების მასა,  
საღმთო წერილი აღწერა მწერალთა განკვირებასა,  
ეს ჰრავიცი და სხვანიცა ქართულთ თარგმანებასა.“

აფსუს მის მშვენიერს კალამს, შემკობილსა ფერებასა,  
ყვავილებით და ქანრებით მოკაზმულთა ტრელებასა,

აწ ხელნი უკანკალემენ, ცერი თითებთან კრებასა,  
 თურმე ასრეა ქვეყანა — თანდათან წაეა კლებასა.

შეთხზული არს ტახა“.

„ქელოვანი კელი მჭევრი არ დასცხრების, დრო აქუს ვირე,  
 ამკობს ვარდს ყუაულებითა, წერა-სახუა განახშირე,  
 სიბრძნის მოყუარე საინო ისურუშ, რად ღირს სემღვრე  
 და მას ეშუღე გინა ეძმე, მგზავრს არლა ავიჩნდეს მწვრე.“

ანტონ მლუღელს გოდებაძესა ვუქმებ კალმისა ჭერასა,  
 მიწყიე უღუწია წერანი ძოწ-ლაღსა, ბროლ-ნაჭერასა,  
 მეღნის ტბით ურწყავს ორძილი ბროლოთ გიშრისა ჭერასა  
 და ვარდი წყლიანი თუმც დაქენდეს, ნუ დასთმობ ყნოსა-მჭერასა.

ივანე ვუარაძიე“ (329v).

4. ანტონ ხუციანოვის, იგივე ხუციშვილის, იგივე გოდებაძის შესახებ იხ. შ. ლომსაძის ახალციხური ქრონიკები, გვ. 106—110.

მინაწერები (ფანქრით): 1. „ვინც «წმინდა ღვთისმშობლის სასწაულებს» წა-  
 იკითხავს, ერთი «მამაო ჩვენო» და «გიხაროდენიც» თქვას დაუზარებლივ დამ-  
 წერლის სულისათვის. 1888 წ. იანვრის 24-ს“ (330r).

2. „ეს წიგნი ალექსანდრე ხუციევეთან არის. 1888 წ.“ (იქვე).

(47)

196

### ეკლესიის ცხოვრება. XIX

288 ფ.; 23X17; ქაღალდი; ყავისფერი ფურცლებისაგან შეწყებებული ქა-  
 ლალის ყდა; მხედრული, ტექსტი ნაწერია გაბმულად (3r—36r) და ორ სვეტად  
 (39r—287r); [XIX]; მთარგმნელ-შემდგენელი პოლოს დავით ვართაბეტი  
 შაჰყულიანთი (6v); აქვს ჭვირნიშანი (7 ფ.); დაუწერელია: 1v, 36v—  
 38v; 178r—183v, 184v, 185r, 288r.

[ეკლესიის ცხოვრება] „წიგნი პირველი, თავი პირველი, პირველი  
 მოსვლა ქვეყნად უფლისა კვალად წინასწარ თქმულ იქმნა წარმართთ წინას-  
 წარმეტყველთაგან და სასწაულნი წინ დასწრობილ იქმნენ უფროს მისი მობრ-  
 ძანებისა და ჟამი იგი მარჯვე იყო მისი მოსვლისა. — ოდეს აღსრულებად იყო  
 წინასწარმეტყველება იგი იაკობისა, ესე იგი არს, მესია ქვეყნად უნდა მობრძა-  
 ნებულებო...“ 39r—287r.

შენიშვნები: 1. თავფურცელზე აწერია: „ეკლესიის ცხოვრება,  
 შემოკრებული მზავალთ რჩეულთა წიგნთაგან, დარიგებული, წელთა რიცხით  
 დაწყობილი ჟამიდან აგვისტოს კეისრისა ჰრომისა ვიდრე შობ-  
 ვადმდე მაცხოვრისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელი შეცმულ  
 არს პირველს წიგნსა შინა. და წინდაცვეთილად უფლისა ვიდრე ზეცას ამა-  
 ლეზადმდე მისივე, წმინდათა ოთხთ მახარებელთაგან მოთხრობილი ცხოვრება-  
 სწავლებანი და საკვირველმოქმედებანი რიცხვისაებრ წელთა სამთა და თვეთა  
 სამთა, რომელთა შორის ჰქადაგა ხილულად ამ ქვეყანასა ზედა იესო ქრისტემან,  
 შეცმულ არს მეორე წიგნსა შინა. პატრი პირველი, წელსა უფლისასა 1820,  
 თვესა ოკტობრისასა 7, ჟამსა მამამთავრობისა პიო მუშვიდე ჰრომის  
 პაპისასა“ (2r).

2. უძღვის: ა. „შეწირვა იესო ქრისტეს მიმართ, ღვთისა და მაცხოვრისა,  
 უფლისა ჩვენისა. — უკეთუ სამართალი მოითხოვს, რათა მონათა და მუშაკთა  
 რაოდენიც მოიძუშაონ და მოიხკონ აგარაკსა და ყანობირსა უფლისა თვისისასა,  
 მიართვან მასვე მომკული იგი, მამ რაოდენად უმეტესად თანამდებ ვარ მე, შერი  
 უღირსი და უხმარი მონა და მუშაკი...“ (3v—4v).



ბ. „წინათქმულობანი და სწავლებანი აღმოკითხველთა მიმართ. — ვიღრღლივთ სიჭაბუტესა შინა, ღვთიული განგებულებით მაქუნდა ფრიად დიდი მიზიდულობა და მიკრულობა იმავე სასწავლოსა მყოფობისა ჩემისა ჟამსა შინა ეკლესიის ცხოვრების აღმოკითხვასა თუ სმენასა ზედა...“ (4v—6v). დასასრულ მიწერილი აქვს: „ახალციხეს, 7 ოქტობრისსა, 1820. ყოვლად მოყვარული მამა და მწყემსი პოლოს დავით ვართაბეტი შაჰყულიანთი, წმინდა კრების აღზრდილი და სულიერი უფროსი ახალციხის კათოლიკე თემისა“ (6v). პოლოს შაჰყულიანის, იგივე პავლე კილიმუზაშვილის შესახებ იხ. შ. ლომსაძე, ახალციხური ქრონიკები, გვ. 62, 65, 67—69, 110—118).

3. ხელნაწერის დასაწყის ფურცლებზე (7r—36r) წარმოდგენილია ამავე თხზულების მხოლოდ პირველი წიგნი (აკლია I წიგნის ბოლო მე-13 თავის უკანასკნელი ფურცელი). ტექსტი ნაწერია გამბულა. 39r-დან ტექსტი თავიდან იწყება, ნაწერია ორ სვეტად იმავე გადამწერის ხელით.

4. ხელნაწერი № 196 შეიცავს „ეკლესიის ცხოვრების“ „პირველ მატენს“ — პირველ სამ წიგნს.

მიწერილობა: 1. ზედა ყდის საცავ ფურცელზე: „ღ დ ი მ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს“.

2. „ესე წაკითხულ იქმნა“ (184r).

3. „ქრისტემ კურთხევით განუსვენოს დამწერსა, აქანდინ (!) წავიკითხე ეს წიგნი“ (185v).

11

4. „18 — 70, პეტრე აბულაძე“ (185v).

12

5. „დავასრულე ამ წიგნის წაკითხვა“ (287r).

(48)

197

### კრებული. XVIII ს-ის უკანასკნელი ათეული

201 ფ.; 21×15,5; ქაღალდი; ხელნაწერი ჩასმული იყო სხვადასხვა ხელნაწერის ფურცლებისაგან შეწყებულ ყდაში, რომელთა შორის აღმოჩნდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის შემცველი მე-16 ს-ის ხელით ნაწერი ორი ფურცელი; მხედრული, სხვადასხვა; [XVIII ს-ის უკანასკნელი ათეული]; აქვს ჰვირნიშანი (46, 47 ფფ.); დაუწერელია: 26 ფ., 42v, 77v, 90 ფ., 105v—106v, 141 ფ., 149 ფ., 170v, 186v.

1. [ღ ა მ ს უ ბ უ ქ ე ბ უ ლ ი ჯ უ ა რ ი]. „პირველი საფიქრებელი კვირი-სა. ტანჯვის დაჭირება გახარება არის ნაღველში. უნდა გავიტანჯოთ ამიტომ, რომ აღამიანი ვართ. — იფიქრე იმ დიდს დაჭირებვასა ზედა, რომელში შენ ხარ, რომ უნდა გავიტანჯო, რადგან აღამიანი ხარ...“ 3r—26v.

შენიშვნები: 1. შეიცავს საფიქრებლებს კვირის დღეებზე კვირა დღიდან შაბათის ჩათვლით (შდრ. აქვე, ხელნაწერი № 147).

2. უძღვის: „მიზეზნი გახარებისა მწუხარებათა შინა. წინა სწავლება. — მიეცით თაფლუჭი მყოფთა მწუხარებათა შინა და ღვინო სუმაღ — მყოფთა მტკივნეულებათა შინა (იგავ. 31, 6) — ეს არის ბრძანება, რომლითა გვიბრძანებს უფალი, რათა გავახაროთ ჩვენი ძმები (!) თავიანთს ნაღველში...“ (2r—v).

ანდერძი: „დასრულდა, დაიწერა წიგნაჲ ესე ქრისტეს ქორთიკოსს აქეთ 1792, მარტის 11“ (26v).

2. [კ ა თ ო ლ ი კ უ რ ი ქ ა დ ა გ ე ბ ა ნ ი]. „ქადაგება, თქმული (1) ვნება-სა ზედა უფლისა ჩვენისა. — ყოვლის რამის უწინარეს, ში ქრისტიანო ძმანო, ვაღიარებ წინაშე ცისა, რომელი დღევანდელს დღეს ჩაჯდა სამგლოვიერო სამოსშიდან...“ 27r—193r.

შენიშვნები: 1. შედგენილობა: ა. „ლაპარაკი 1, ვნებასა ზედა უფლისა ჩვენისა“ (27რ—42რ). ქადაგების ბოლოს სხვა ხელით მიწერილია: „ა რ ტ ა შ ე, მეფე სომეხთა, იყო ფრიალ საყვარელი თავის ქვემდებარეთაჲს. მის დასაფლავებაზე მრავალთ თავიანთი თავები დაიხოცეს. გამწარებულმა შვილმა მისმა ა რ ტ ა ე ა ზ ლ მ ა დაიტრია და თქვა: შენ წახველ და მთელი სახემწიფო თან წაიღე, მე გაოხრებულთ ვის უნდა უხემწიფო...“ (42რ).

ბ. „უკუალად ვნების ქადაგება“ (43რ—59ვ). ბოლოს მიწერილია: „აღიწერა 1792, მარტის 14 მისახსენებელად და საღიდებლად ქრისტეს ვნებათა“ (59ვ). კავეზში აღდგენილია სათაურები ზანდუკის მიხედვით, რომელიც ამ ხელნაწერს ბოლოს დაერთვის (193ვ).

გ. „უკუალად ვნების ქადაგება“. (60რ—72ვ).

დ. „ქადაგება შურზე გინა ინალობაზედ“ (73რ—75ვ). 73რ-ს ქვედა კიდეზე მინაწერია: „ეს რამდენიმე ქადაგება პ ა ვ ლ ე ე ბისკოპოსის ნაწერსა ჰგავს — მღ. გ ვ ა რ ა მ ა ძ ე“.

ე. „ჩოღფოტობაზედ“ (75ვ—77რ).

ვ. „გადაგება (I) ღვთის გალობაზედა თქმული“ (78რ—80რ).

ზ. „ღვთის გალობაზე ქადაგება“. (80ვ—81ვ).

წ. „ქადაგება ყოვლად წმინდის მიცვლებისა“ (82რ—84ვ). 84ვ-ზე ტექსტის მელნით შესრულებულია ჩანახატი.

თ. „უკუალად იმაზევე“ (85რ—90ვ).

ი. „მიცვლებასა ზედა მარიაშისა“ (91რ—94ვ).

ია. „უკუალად ამაზედვე“ (95რ—99რ).

იბ. „მეორედ მოსვლის ქადაგება“ (99ვ—105რ).

იგ. „საყვარლის ქადაგება“ (107რ—111რ).

იდ. „[ქვეყნიერი სამების უსარგებლობაზედ“] (111ვ—117ვ). ქადაგების ბოლოს მიწერილია თარიღი: „1793, 20/9“.

იე. „უკუალად მეორედ მოსვლაზე ქადაგება“ (118რ—124რ).

ივ. „ქადაგება მარხუა მარხულობაზედა“ (I) (124ვ—127ვ).

იზ. „ქადაგება მიცვალბულთ სულეზედ“ (128რ—134ვ).

იძ. „ქადაგება ქარებისა“ (135რ—140ვ).

იო. „ქადაგება წმინდა ზოარების დამზადებისათჳს“ (142რ—148ვ).

იპ. „ქადაგება წინადაცუთისა“ (150რ—155ვ).

იკ. „ამალღების ქადაგება“ (155ვ—161რ).

იქ. „ჩრეულღების სიმცირეზედ ქადაგება“ (161ვ—165ვ).

იგ. „ქადაგება შობისა“ (166რ—170რ).

იდ. „საყვარლის პატივზედ ქადაგება“ (171რ—179რ).

იე. „უძღვების შვილის ქადაგება“ (179ვ—187რ).

ივ. „ჩოჯოხეთის ქადაგება“ (188რ—193რ).

2. ქადაგებებს მოსდევს: ა. „ზანდუკი ამ ქადაგების წიგნისა“ (193ვ).

ბ. [კათოლიკური ქადაგება]. — „ეინათგან მესმის, რომ თქვენში არიან ზოგნი, რომელნი გაშფოთებენ და ეძვს ავღლებენ თქვენს გულში წმინდა ეკლესიის კათოლიკე სარწმუნოებაზედ“ (194რ—210ვ).

3. 1რ-ზე ორ სვეტად მოცემულია ხელნაწერის შინაარსი: I სვეტში გადაწერილი მასალა ჩამოწერილი, II სვეტში — „გადასაწერი დარჩენილი“. გადასაწერთაგან № 1 არის „საყვარლის პატივზედ“, №№ 2—მ-ს სათაურები სომხურადაა: უძღვები შვილისათვის, ქრისტეს შობისათვის და ა. შ.

4. ხელნაწერში ჩადებულია ლათინური ტექსტის ფრაგმენტი.

5. ამ ხელნაწერის ყდაში ჩართული ვეფხისტყაოსნის ფრაგმენტის შესახებ იხ. ილ. აბულაძე, ვეფხისტყაოსნის ახლად მოკლეული უძველესი (XVI ს.) ხელნაწერის ფრაგმენტი, მაცნე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, 3, თბ., 1964, გვ. 142—150; ან ილია აბულაძე, შრომები, II, თბ., 1976, გვ. 206—219; რ. პატარაძე, ეპეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა კვირნიშნები, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 56—57. იხ. აგრეთვე აქვე № 396/1 ფრაგმენტის აღწერილობა (გვ. 115).

მინაწერები: 1. „10 მაის, 1905 წ. ვნახე... ტერ იოვანე ლაზარო-ანისა ნახმარია ეს ქადაკუბის წიგნი—მესხი იე. მღ. გეარამიძე“ (1r).

2. „ტერ პეტროსისა აღოშოვისა“ (1r—v).

3. 1r-ზე სომხური მინაწერია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეს წიგნი ტერ იოვანე ლაზაროანისაა.

(49)

198

### ეკლესიის მოთხოვნა. XIX

248 ფ.; 23×16,5; ქალაღი; ტყავადაკრული მუყაოს ყდა, დაზიანებული, ზედა ყდაზე შემორჩენილია ორივე ლითონის საკეტი, ქვედა ყდაზე — მხოლოდ ერთი ტყავის თასმა; მხედრული; [XIX]; მთარგმნელ-შემდგენელი: პოლოს შაჰყულოვი; დაწერულია: 1v, 2v, 3v, 6v, 116v; აქვს კვირნიშანი: 221 ფ.

„მესამე მატენი გინა პატორი ეკლესიის მოთხოვნა, წიგნი მეხუთე, წელსა უფლისასა 101... თავი პირველი, ანაკლეტო პაპსა ზედა. — ანაკლეტო გუარით იყო ბერძენი, ძე ანტიოქისა და მამულით ათიწელი...“ 9r—231v.

შენიშვნები: 1. თავფურცლებზე აწერია: ა. „ეკლესიის მოთხოვნა მეორე საუკუნოებისა და მესამისა მის ნახეარისა. მესამე მატენი გინა პატორი, წიგნი მეხუთე და მეექვსე. № 7, შაჰყულოვისა“ (2r).

ბ. „ეკლესიის მოთხოვნისა მესამე მატენი გინა პატორი, წიგნი მეხუთე და მეექვსე, რომელთა ამთ შორის შეიქმნის მოთხოვნა. ასერგასთა წელთა, დაწყობილი ასერთიდან ვიდრე ორას ორმოცდაათამდე წელთა უფლისათა, სასარგებლოდ ძეთა ეკლესიისათა, ესა უმწვერვალესისა მამათმთავრობისა წმინდისა მამისა ჩვენისა ლეონ მეათორმეტესი, კრომის პაპისასა, წელსა ცხოვრებისა ჩვენისასა 1824-სა, ქალაქსა შინა ახალციხისასა“ (3r).

2. უძღვის ა. „შეწირვა მესამე მატენისა ამის წმინდისა პავლე მოციქულისა და წმინდისა ფილიპპე ნერის მიმართ. — ჩვეულებად არს ცვალოდ ესა მამს ჩვენსა შინა, ვითარმედ მოწაფენი მსწავლებელსა თვისსა, რომლისაგან მიეღოსთ ვაწვრთნილობა მოყვარულობითა და მოყვითობითა, არ აკმაყებენ მას ზედა შესხმისა და ქების წართქმასა, არამედ შესწირვენთა შეთხზულთა წიგნთა თვისთა, ნიშნად მადლის მოხსენებისა მისდა და დასწავლისა მრავალთფერო სიყვითეთა, მის მიერ მიღებულთა...“ (4r—5v).

ბ. „წმინდა ფილიპპე ნერის მიმართ. — ღირსად გავამხანაყე შენ, მი ბედნიერო წმინდაო ფილიპპე ნერი, წმინდა პავლე მოციქულისა თანა შეწირვასა შინა მესამე მატენისა ამის, რამეთუ ვითარცა იგი, ეგრედვე შენც იქმენ მოციქული და განმანათლებელი კრომის ქალაქისა...“ (5v—6r).

გ. შესავალი ეკლესიის მოთხოვნასა ზედა მესამე მატენისა ამის, უპატროსნესთა და უუსაყვარლესთა ზვილთა და ძმათა თანა, ხუცესთა და შემწეთა ახალციხის თემისათა, ვიხაროდენი და სხ. — ჰუმარტი და უტყუარი არს თქმულბა იგი, ვითარმედ ყოველი კაცი გაჩენილ არს ღვთისაგან საქმისა და შრომისათვის...“ (7r—8v). 8v-ს მომდევნოდ ფურცლები ამოჭრილია.

3. ტექსტს ერთვის: ა. „ზანდუკი მეხუთე და მეექვსე წიგნთა, რომელნი-ესე შეტეული არიან მესამესა მატენსა შინა“ (231v—235v).

ბ. „ზანდუკი ანბანგანური მესამე მატენისა გინა პატორისა, მეხუთე და მეექვსე წიგნთა ეკლესიის მოთხოვნისათა, რომელსა ამას შინა განვაცხადებთ ყოველთა იმ რაიმეთა, რაოდენნიც აღწერილ არიან ორთა წიგნთა ამთ შორის სიადვილით პოვნისათვის...“ (236r—247r) — წარმოადგენს პირთა საძიებელს ანბანურ რიგზე.

6. ხელნაწერთა აღწერილობა



გ. „ზანდუკი პაპთა, წმინდა პეტრეს საყდარსა ზედა მკდომარეთა...“ (247v).

დ. „ზანდუკი პაპთა, კვალად მამათმთავართა სამთა ეკლესიათა“ (248r).

ე. „ზანდუკი მამათმთავართა სამთა ეკლესიათა“ (248r).

ვ. „ზანდუკი მამათმთავართა ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმის ეკლესიათა“ (248v).

ზ. „პრომის კეისარნი, მეხუთე და მეექვსე წიგნთა შორის ამ მესამე მატენისთა მოხსენებულნი, აქ ქვემოთედ გამოცხადდებიან“ (248v).

4. ხელნაწერი № 198 შეიცავს „ეკლესიის მოთხრობის“ „მესამე მატენის“ — მეხუთე (9r—116r) და მეექვსე (117r—231v) წიგნებს.

5. „ეკლესიის მოთხრობის“ მთარგმნელ-შემდგენელია პოლოს შაპყულოვი, იგივე პავლე ჰილიმუზაშვილი (იხ. შ. ლომსაძე, ახალციხური ქრონიკები, გვ. 62, 65, 67—69, 110—118).

მინაწერები (სხვა ხელით): 1. „წელს 1890-ს, ლენიზის თვის 11-ს, მთვარის 13-ს დიობდა პირველი ვაჟი, სახელათ (აქ ჩასაწერად გაშეგებულა ადგილი), ღამით 4 ოთხსა საქაუზზედა. ღმერთმან თავის მადლშიდა გავვიზარდოს“ (1r).

2. მინაწერია ქვედა ყდის საცავ ფურცელზეც.

(50)

200

### კარაბადინი. XIX—XX

34 ფ.; 21,5×17; ქალაღი; ფურცლები კიდებშემოკვეთილი და დალაქებული; ქალაღის ყდა; მხედრული, შივადაშიგ ნაწერია სინგურითაც; [XIX—XX]; დაუწერელია: 15v—18v, 28v—33r, 34r—v; გადახეულია 23 ფ.

„საეჭიმო კარაბადინი. — თუ გინდათ, რომ შეიტყოთ სნეული რით არის ავით, მაჯა უნდა უნახოთ...“ 4r—15r.

შენიშვნები: 1. რეცეპტები ტექსტის ხელითვე გაბნეულია 27v-ზე, 28r-ზე, 33v-ზე. 33v-ზე კბილის ტყვილის წამალი ჩაწერილია ფანქრით. 26r-ზე სხვა ხელით ჩაწერილია „ბედნიერის შელოცვა“.

2. მოსდევს [სამთავართ]. — „პირველსა დღესა მთვარისა მოთხრობის კეთილი არის თესვა, ნერგვა, ცხვართა პარსვა...“ (19r—26r). მოთხრობილია მთვარის პირველიდან ოცდაათი დღის ჩათვლით რა არის „კეთილი“ და რა „არ ვარგა“.

3. ამ ხელნაწერში ჩადებულია სხვა ხელნაწერი კარაბადინის ფრაგმენტი.

მინაწერები (სხვა ხელით): 1. „ეს წიგნი ეკუთნის ხმალაძე სოფიას“ (ქვედა ყდის შიდა მხარე).

2. (ფანქრით) „პეტრე ხმალაძეს“ (იქვე).

3. „1884-სა წელსა, მისის პირველიდამ დანახარჯი პავლე გოგინოვისაგან ნახარჯი ფულის სარგებელისა“. მოსდევს ანგარიში (ზედა ყდის შიდა მხარე). აქვე სხვა მინაწერებიცაა.

(51)

201

### ეკლესიის მოთხრობა. XIX

305 ფ.; 21,5×17; ქალაღი, დაზიანებული; კიდებშემოკვეთილი ტყავის ყდა; მხედრული; [XIX]; მთარგმნელ-შემდგენელი: პოლოს დავით ვართაბეტი შაპყულოვი (13r); დაუწერელია: 2v, 3v, 4v—5v, 9v, 13v, 210v, 302v—303v; აქვს ჰვირნიშანი: 51,52 ფფ.

„მატენი გინა პატორი მეხუთე, წიგნი მერვე ეკლესიის მოთხრობისა. თავი პირველი, წმინდისა გრიგოლ განმანათლებლის

ცხოვრებასა ზედა, ვითარცა კვალად წმინდათა ქალწულთა პრიფსიმესა და გაიანესა და სხუათა ამხანაეთა მათთა მოწამეთა. — მართლიად სამართალი მოითხოვს, რათა უერცულესად და სავსებით აღვსწეროთ წიგნსა ამას შინა დასაწყისი მოქცევისა სომხის გუარისა ჩვენისა და მოქცევა საყოვლიერო სასომხეთოსი...“ 14r—275r.

წიგნწიგნები: 1. თავფურცლებზე აწერია: ა. „ეკლესიის მოთხრობა მეოთხე საუკუნოების ერთი წილისა, მატენი მეხუთე, წიგნი მერვე და მეცხრე. № 7, შაჰყულოვისა არის“ (3r).

ბ. „ეკლესიის მოთხრობისა მეხუთე მატენი, წიგნი მერვე და მეცხრე, რომელთა ამთ შორის შეცმულ იპოების მოთხრობაი ოცდაათწილმეტა წელთა, ესე იგი სამასით დაწყობილი და შედგინებული ვიდრე სამას ოცდაათწილმეტადმდე, სასარგებლოდ შეიღა ეკლესიასთა, წელსა ცხოვრებისა ჩვენისასა 182...“, ესაა უმწვერვალესისა მამამთავრობისა წმინდისა მამისა ჩვენისა პიო მერვისა. ქალაქსა ტფილისასა დასრულდა, რომელი იყო დაწყობილ ახალციხის ქალაქსა შინა“ (4r).

2. უძღვის: ა. „შეწირვა წმინდისადმი გრიგოლ ეპისკოპოსისა და განმთლებელისა სასომხეთისი და წმინდისა ათანასისადმი, ეპისკოპოსისა ალექსანდრიისა, და ქრისტეს ჰუმარიტისა ღთაების გამომხარჩლისა პირდაპირ არიანოსთა. — ვითარცა აღრინდელთა ოთხთა მატენთავანი არა დევუტემე, რომელი არ შემეწირა ვისმესადმი, ვითარცა უფალთა მიმართ... ევგელდე მეხუთისა ამისა აწ ვინებე შემოწირვად თქვენ... წმინდათადმი...“ (6r—9r).

ბ. „წინასიტყუანი და უბნებანი მატენისა ამისანი ბედნიერთა აღმოკითხველთადმი. — მრავალგზის ჩვეულბად არს, ვითარმედ მომთხრობნი მეტადრე წიგნთა თვისთა დასაწყისსა დაატანებუნ რაიმე ხატსა...“ (10r—13r). დასასრულ მიწერილია: „ყოვლად უხმარი მონა იესო ქრისტესი პოლოს დავით ვართა პეტე შაჰყულოვი“ (13r).

3. ერთვის: ა. „პირველი საჩვენებელი თვითოულთა თავთა მერვე წიგნისა ეკლესიის მოთხრობისათა“ (275v—279r).

ბ. „საჩვენებელი მეორე თავთა მეცხრე წიგნისათა“ (279v—281r).

გ. პირთა ანბანური საძიებელი — „ანბანგანური ზანდუკი ეკლესიის მოთხრობისა“ (281v—297v).

დ. „საჩვენებელი პრომის პაპთა, შორის ოცდაათვამეტა წელთა“ (298r).

ე. „საჩვენებელი მამთმთავართა ალექსანდრიისათა“ (298r).

ვ. „მამთმთავართა ანტიოქიისათა“ (298r—v).

ზ. „მამთმთავართა იერუსალიმისათა“ (298v).

თ. „საჩვენებელი პრომის კეისართა“ (299r).

4. საძიებლებს მოსდევს ცხოვრებები: „მატენსა ამას მეხუთესა, წიგნსა მერვისსა და თავსა ა-სა, პ. 244-სა ღვემატების: ა. ცხოვრებია წმინდათა მოწამეთა გურიისი, სამონასი და აბიბო დიაკონისა. — ...ბრწყინევედნ ფრიად ეკლესიასა შინა (ურპისა) ქალაქისა განთქმულისა სირიისა ვინა შუამდინარისასა წმინდანი იგი გურიო, სამონე და აბიბო დიაკონი...“ (299r—v).

ბ. „ცხოვრება წმინდისა ევფემია ქალწულისა და მოწამისა. — ...წმინდასა ევფემიასა, ქალწულსა და მოწამესა ზედა ქრისტესასა, გუაქუს ერთი პატრიონანი ქება და შესხმა...“ (299v—300v).

გ. „წმინდა გიორგი, მოწამე ქრისტესი. — არს განთქმულ ეკლესიასა შინა თუ ბერძენსა და თუ ლატინსა და უძველეს პატივისცემა წმინდისა გიორგისა მოწამისა...“ (300v—301v).

5. ხელნაწერი № 201 შეიცავს „ეკლესიის მოთხრობის“ მეხუთე მატენს: მერვე (14r—210r) და მეცხრე (211r—275r) წიგნებს. „ეკლესიის მოთხრობის“ მთარგმნელ-შემდგენელის შესახებ იხ. აქვე, ხელნაწერი № 198, შწმ. 5.

მინაწერები: მინაწერებია 1r-ზე, 804r—v-ზე.

### ძმობის კონდაკი. XIX

236 ფ.; 22,5×17; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა; მხედრული, სხვადასხვა; [XIX]; შემდგენელი: ტერ სტეფანე გოზალოვი (28r); დაუწერელია: 1v—2v, 21v, 29r—41v, 42v—52v, 56v—144v, 147v, 149v, 150v—215v, 216v—236r.

[ძ მ ბ ი ს კ ო ნ დ ა კ ი]. — „ცოცხალნი: მთავარ-უმფროსი პატრი ფრანჩისკე მესინელი, პატრი დამიანე ვიარეჯელი, ტერ სტეფან ალოშოვი...“ 4r—150r.

შენიშვნები: 1. უძღვის: „1840 მარტის პირველს თვესა (1) წმინდა ჯვარის ეკლესიასა შინა დაწერილ იქმენ იესო, მარიამ და მამა იოსების შენდობების ძმობაშიდ, რომელი მოენიჭა ახალციხის ეკლესიებს გრიგოლ მეთექუსმეტე წმინდა პაპისაგან კავკაზიის ამიერ-მთავარ-უმფროსი კათოლიკეთა ზედა უფალი პატრი ფრანჩისკე მესინელის საშუალოთა, და მთავარ-უმფროსმანც თვის მონაცვლედ გამოავაზან ბატონი პატრი დამიანე ვიარეჯელი, და რომელიც აქუნდა სხუა შენდობებიც საზოგადო თემობისათვის. ამისთვის დიდის ცერემონიით განიშალა წმინდა ჯვარის ეკლესიაშიდ, რვა დღე-ღამეს რომ დლით იყო წურთენა და შემდგომად ხმოვანი წირვა, საღამოს — ქადაგება და წმინდა ზიარების კურთხევა. და მიიღეს ყოველთავე თემობამ აღსარებით და წმინდა ზიარებით დამზადებულთა წმინდა პაპა გრიგოლ მეთექუსმეტის კურთხევა და აღსნა ყოველთავე კრულებისა, და შევიდენ ძმობის კანონიერის ძმობაშიდ და დაეწერენ იესო, მარიამ და მამა იოსების საფარველ ქვეშ“ (4r).

2. ძმობის კონდაკი იწყება 1840 წლით და თავდება 1893 წლით. ტექსტი თანდათან ივსებოდა, ამიტომ ნაწერია სხვადასხვა ხელით. ხელნაწერში დატოვებულია დაუწერელი ფურცლები შემდეგ შესავსებად.

3. შედგენილობა: ა. „წელსა 1893-სა მაისის 10-სა, ტ. [ს]. გ. აქ აღიწერვის ცოცხალნი სამღვდელნო პირნი“ (28v).

ბ. „წელსა 1893-სა მაისის 10-სა, ტ. ს. გ. მეორე ნაწილი. აქ აღიწერვიან გარდაცვალებული სამღვდელნო პირნი“ (42r).

გ. „1840 წელსა მარტის პირველით იწყეს აღწერვად თავიანთის მიცვალებულთა იესო, მარიამის და მამა იოსების საფარველ ქვეშე ძმობაშიდ და ესენი არიან მიცვალებულნი“ (53r—55v).

დ. „წელსა 1893 მაისის 10-სა, ტ. ს. გ. მესამე ნაწილი. აქ აღიწერვიან ცოცხალნი მამრნი და დედრნი“ (56r).

ე. „წელსა 1893 მაისის 10-სა, ტ. ს. გ. მეოთხე ნაწილი. აქ აღიწერვიან გარდაცვალებულნი მამრნი და მდედრნი“ (150r).

ვ. ცალკეა გამოყოფილი „გასავალი“ (145r—149r). აქ აღნუსხულია ძმობის ფულის გასავალი ხარჯი.

ანდერძი: „წელსა 1893-სა მაისის 10-სა ესე ძმობის კონდაკი იესო, მარიამ და იოსებისა რა ჩავიბარევი და ვნახევი უწყსით და არეულთ აღწერილინი (1), ამის გამოისათ გავწილად სამ ნაწილად: ესეც პირველი ნაწილი დავსტოვე ცოცხალთა სამღვდელნო პირთათვის, პირველი ნიშანი. მეორე ნიშანთა გინა ნაწილი — გარდაცვალებულ მღვდელთათვის. მესამე ნაწილი გინა ნიშანით დავიწყე ჩაწერვა ცოცხალთათვის მამრთა და დედრთათვის. მეოთხე ნაწილი გინა ნიშნით დავიწყე ჩაწერვა გარდაცვალებულთა მამრთა და დედრთათვის, რათა იცოდნენ, ყოველმა ამ კონდაკის მქონემ განიხილოს და ყველა ვინმე თვითანთ აღნიშნულ ადგილშიდ ჩასწერონ. წმინდა ჯვარ[თ]თ ამაღლებობის ეკლესიის ზედამხედველი ტერ სტეფანე გოზალოვი. ამის გარდა, ამავ რიცხვიდამ გამიყვებია ერთი დავთარი ამავე მოხსენებული ძმობისა სახელობაზედ, რომ შემოსავალ-გასავალი იმა დავთარშიდ იწერებოდეს და ის დავთარი ებარებოდეს ძმთა უმფროსს, რომელი ის დავთარი არის სასულიერო



მართველობისაგან შემტკიცებული წელსა 1893-სა ივნისის 18 დღესა, ტ. ს. გ. ა.  
(28r).

მინაწერები: 1. „ამ წიგნის ფურცლების გლეჯა პირ... დაუწყევით და ბო-  
ლოსაც ერთიან განუსუნებიათ. უფალმან საუკუნო განსუნება მიანიჭოს ამა  
კონდაკშიდ ჩაწერილ შემწირველთა და განმსვენებელთაც“ (3v).

2. „1873-სა ქრისტეშობას 25-სა ძმობაში[ე] შემობძანდა“ (236v). ეს მი-  
ნაწერი აქვე მეორდება ფანქრითაც. ამ გვერდზე სხვა მინაწერებიცაა.

(53)

203

ქამის ლოცვა. XIX

24 ფ.; 22,5×18; ქაღალდი; უყდო; მხედრული; ნაკულუი; [XIX].

[ქამის ლოცვა]. „დიდ ხუთშაბათის სათქმელი პირველი სახუმილა-  
ვი. — შურმან სახლისა შენისამან შემჰამა მე და ყვედრებანი მავყედრებელთა  
შენთან დამეცნეს ჩემ ზედა — ფსალმუნი 68, [10]...“ 1r—24v.

წყდება: „...მოაკლდეს ცრემლთა თვალნი ჩემნი...“

შენიშვნები: 1. შეიცავს ვნების კვირის ხუთშაბათისა და პარასკევის „სა-  
ხუმილავებს“.

2. სათაური აღდგენილია №3243/1 ხელნაწერის მიხედვით.

(54)

204

ქადაგებანი. XVIII—XIX

118 ფ.; 21,5×16,5; ქაღალდი, ფურცლები დაზიანებულია, კიდებშემოცვე-  
თილი; უყდო, დაშლილი; მხედრული, სხვადასხვა — ერთადაა შეკინძული სხვა-  
დასხვა ხელით ნაწერი ფურცლები; [XVIII—XIX]; ნაკულუი; დაუწერელია  
104v, გადახეულია 116 ფ.

[ქადაგებანი]. — „...დაიმაღე, ანუ გაიქეც, ანუ თუ მაშინაც არ გნე-  
ბავს სასწაული... უმისად, არ შეგიძლია სხვაფერად მოიჩინო თავი...“ 1r—  
116v.

წყდება: „...ხომ მრავალჯერ შეგიტყვიათ რამე ერთი... შენდობისათვის  
ღეთის მაღლი არს... ამიტომ რამეთუ...“

შენიშვნები 1. 117-ე ფურცლად დაენოშრეთ ამავე ხელნაწერის ფრაგმენტი,  
ხოლო 118-ე ფურცლად დაფურთხეთ ამ ხელნაწერში ჩადებული ერთი ფურცელი  
„ეკლესიის ცხოვრებიდან“.

2. ხელნაწერი მეტად დაზიანებულია და ნაკულუი, ამიტომ ქადაგებების გა-  
მოტანა ვერ მოხერხდა, მხოლოდ აქა-იქ იკითხება: „ქრისტეს ჯვარცმასა ზედა“  
(15r), „ქრისტე აღდგა“ (41r), „მოთმინებაზედ ქადაგება“ (23v), „ამაში არს  
ორი ქადაგება...“ (27v), „სტეფანე. ქადაგება. დეკენბერს კვ, ჩლაჲ“ (80r).

(55)

205

ქადაგება სამოციქულო. XIX

162 ფ.; 24,5×17,5; 22×17,5; ქაღალდი, სხვადასხვა; მუყაოს ფერადი ყდა,  
დაზიანებული; მხედრული; [XIX]; დაუწერელია: 5v—7v, 70v; აქვს კვირნიშანი  
(18—19 ფფ.).

„ქადაგება სამოციქულო. აღდგომა დღეს ჩვენი მაცხოვარი იესო-სი გამამაცება მორწმუნეთა, რათა მორწმუნეთა ნებიერთა განიტანჯონ უფლისა მიმართ, რათა რომ იმავე უფალთან აღდგნენ დიდებასა შინა. — (სათაურს მოსდევს სომხური ციტატი მათეს XXVIII თავის 5-ე მუხლიდან). განიხარეთ, ყოველნი კეთილმორწმუნენო, განიხარეთ! ამ ქრისტეს სიმწუხრით დასველებულნი თვალნი თქვენნი გარდაიწმიდეთ!“ 8r—152r.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: ა. „წამკითხავთა. — ქრისტე ჩვენი მაცხოვრის მეოთხე საუკუნოების მერმედ გამოვიდა დიად ცხარი და მაზიანებელი მწველბლობა, ის სამკუთხით შეჩვენებული არიოზი, რომელმანც ჭოჯოხეთის ცეცხლივით სწრაფათ მოიბრინა მრთელი ქვეყანა...“ (1r—2v).

ბ. ახალი ტომრის კანონი გრიგორიანისა, მოკლედ სწავლება მთვარისა, თუ როგორ შევიტყოთ რა მთვარეა ის, რომელშიდაც აღდგომა უნდა გათენდეს...“ (3r—v).

გ. „წუტონა გვირგვინის კურთხევის დროს, მღუღლისაგან სათქმელი. — იმნაირათ მიიჩნია დე განავსო მადლითა ეს წმინდა გვირგვინისნობის საიდუმლო უფალმან ჩვენმან, რომ არა თუ ნაკლებათ იმ სხუა საიდუმლოებზედა დიჭირა, მაგრამ თანასწორ და ეს მეტათაც ჰქმნა...“ (4r—5r).

2. შედგენილობა: შეიცავს ქადაგებებს აღდგომაზე, ახალკვირაზე, აღდგომის მომდევნო III—VI კვირებზე, ამაღლებზე, VII კვირაზე, სამებობაზე, ზიარების დღესასწაულზე, სულიწმიდის მოდენაზე, სულიწმიდის მოდენის მომდევნო I—VI კვირებზე, ფერისცვალებაზე, ქრისტეს შობაზე, სტეფანე მთავარმოწამის ხსენებაზე, იოვანე მახარებლის ხსენებაზე, წყალკურთხევაზე, წყალკურთხევის მომდევნო I—III კვირებზე, წმ. სარკისტზე, დიდმარხვაზე, მარტის I—IV კვირების პარაკესე სათქმელი (ენებაზე, შოლტით ცემაზე, იესოს ეკლით დაგვირგვინებაზე, ვნებაზე). ხელნაწერში ჩაყვრებულია სხვა ზომის ქადაგებებზე სხვა ხელით ნაწერი ფურცლები, რომლებზეც აგრეთვე ქადაგებებია ღვთისმშობლის განწმენდაზე, ღვთისმშობლის შობაზე, განსვენებულ სულთა ზედა სათქმელი და ცოდვისა ზედა სათქმელი (153r—162v).

მინაწერები: 1. „ტერ სტეფანე ალო შოკისა არის“ (152v).

2. „საფარინა — 10 დრამი. ჩოფიჩინი — 3 დრამი“ (ზედა ყდის საცავ ფურცელზე).

3. (ლურჯი მელნით) „დიდი მამიშვილის“ (იქვე). ამ გვერდზე სხვა მინაწერიცაა.

4. „აქ სიეზის (I) ნაწალიცი (I) კარლო ზელინცივი“ (ქვედა ყდის საცავ ფურცელზე).

5. „დავით (?)...“ (იქვე).

(56)

206

### მოთხრობა დაბადების ძველი აღთქმისა. 1834

205 ფ.; 17,5×21,5; ქაღალდი; მატერიაგადაკრული მუყაოს ყდა; დალაქავებული; დაზიანებული; 199 ფ. ამოვარდნილია: 1834 წ. (2r); გაღწერის ადგილი უღე (2r); მთარგმნელი ტერ სტეფანე ალოშოვი (2r).

„მოთხრობა დაბადებისა ძველი აღთქმისა, თავი პირველი ნაწილისა. მოთხრობა შობის წერილისა გაჩენა ქვეყნისა ვიდრე იოსების სიკუდილამდე. გაჩენა ქვეყნისა პირველი კაცისა, ვითამც ადამისა. — ყოვლის მპყრობელმა დემეტრთან ოლესაც ინება ქვეყნის გაჩენა უპირველეს ბრძანა არარისაგან რომ იყოს ცაა და ქვეყანა იქნას ყოველივე რაიმეებითა დაუმზადებელ გინა გაკოფილ...“ 3r—100v.

შენიშვნები: 1. 201r—205r არის „ზანდუჯი, საძიებელი წერილისა ამის“.

2. ტექსტს წინ უძღვის ცნობა: „ღთის სუნთქის გინა დაბადების მოთხრობა, ვითარ რაიმე სახელისაგან იხვენებიან ყოველივე მოთხრობაებზედ უმეტესლა საჭირო არს კაცისათვის და მორწმუნეთათვის. უმეტესადა ყოფვისათვის, რადგან საჭიროსიანო თამაში და საძირკველი ეს არის ღთის სუნთქი გინა დაბადების წერილი. დიდი ხანი არის, რომ გვაქუნდა ნატრა ჩვენს გვარის განათლებისათვის, რომელიც ნაკლოვანად შეირაცხებოდენ, ვეზადებოდიოთ, რომ ალაგალაგ განდართოებოთ ამ წმიდა მოთხრობისა ჩვენის ჩვეულებრივის წიგნურის ენით დაგვეტყაობა გვარის განათლებისათვის, მაგრამ რომ ვიფიქრეთ, რომ ესრელი წიგნურის ენით თხზული დიდი რაიმე მოვიდოდა და უსარგებლო იქმნებოდა ჩვენის გვარისათვის, რადგანაც წიგნური ენის მეცნიე მცირედნი იპოვიან. ამისთვის ვიფიქრეთ, რომ მრავალ მსურისთ დაბადების წიგნის სმენა და რომ მიიღონ თავიანთის ნატრისაებრ, ამისთვის მოვიწადინეთ საზოგადო ენაზედ რომ რომელ მწიგნობართაც ზოგიერთ ალაგას უჭირდებოდეთ სისრულით სმენა და ესრეთვე საყოფიერო, გინა საზოგადო ენით არ დარჩენ უსმენელნი დაბადების წმიდა წერილისა. და უმეტესთა რომ ყოველითურთ არა უსმენით და ანუ ზოგიერთი მამამთავრების სიტყვანი ვერ შეუტყვიათ, ამიერ აქედან ყოველნივე განგებულბას მიიღებენ. კვლად ესრედნი, რომელთ დიდათ საჭირო წერილითი წიგნური ენისა ვერა ურგიათ რა, დაცხრომილან ერთის წაიკითხვიოთ. მოიმედენი ვართ, რომ დიდი ნაყოფი გამოიღონ და ხშირად წაიკითხონ და ინაყოფიერონ და აღდგონ თავიანთი ნაკლოვანება არა თუ მხოლოდ სულეერს კერძოდ, რომელიც მართლად ქრისტიანებრივი ჭეშმარიტების სწავლა დაბადების თქმულთა ზედა დამტკიცებულ არს, მაშ, აბა, კვლადლა ბუნებითი და მოქალაქებრივის მეცნიერებრივი კერძოცა რომ ამ მოთხრობაებით გონებანი გაეშლებისთ და გაუნათლებისთ და აქედამ მრავალი შეიტყობების“ (2v).

ანდერძები: 1. „მოთხრობა დაბადებისა ძველი და ახალი აღთქმისა შემოკრებულ სიადვილით შესატყობლად გლეხურს ენაზედა ოჰანანეს ვართაპეტე გინა მოძღვარი ზომრამეტ კოსტანტინეოლოლისა მეორედ დასტამბულ განახლებლად (!) და გასწორებული იქმნა დამატებულ რაიმე აქსოვნებითა ბრძანებითა უფალი, უფალი სტეფანე ვართაპეტე აგონელისაგან მთავარეპისკოპოზისა და თანა მოძმე დიდი აბბაი მხითარისა წელსა უფლისა 1805. სომხურისაგან ქართულს ენაზედ პირველწყებულ იქმნა აღრიცხვად ვინმე უღირსი მღვდლისაგან უღის სოფელშიდ. გვართ კათოლიკე რიგოსანთაგანი ტერ სტეფან ალოშოვისა. წელსა უფლისა 1834. მარიობისთვის ერთსა“ (2r).

2. „აღსრულდა ალოშოვისაგან ქართულ ენაზედ 1834 წელსა; დეკემბრის 11-სა“ (208r).

(57)

ქადაგებანი. XIX

248 ფ; 17×22; ქაღალდი; მუყაოს ტყავადაკრული ყდა; ტვიფრული, დალაქავებული; ბოლო ფურცელი ამოვარდნილი; მხედრული; შავი მელანი; [XIX ს.]; დაუწერელი; 119v, 76v—77r).

ქადაგებანი. — „ქადაგება ამპარტაენობისა ზედა, თავი ბ.

Հայաբարութիւն մի՛ կրքեք թիողւ թագաւորիկ ի միտա քի կ՛մ ի քանի քի զի առ ի նմանէ ըստ սկիզբն ա՛մ կարօստ ա՛ր 414 მეწადა მე ըլլես յաდაგება ըլլեցանձեղს յաდაგებაზე՛ղ լաւարայի անუ սաճալկո յամարտալზე՛ղ և անუ չօջոխեղեղեղ, րատա մեղքեղեղինա თუ տու (!) րտի շոճոցիլի շուլի ղեղքրեղա თუ արա չորէսա րա, րտոս սիմքարէս ցասքեղս օճեղսճ ղեղեղս րտոս սա՛մի՛արս սամարտալում...“ 6r—277r.



შენიშვნები: 1. ტექსტს ერთვის „საძიებელი გინა ზანდუცი, რომელში შე-  
 იცმან 42 მშვენიერი ქადაგებანი (247v—248r).

- ა) ქადაგება ამპარტავნობაზედ
- ბ) ქადაგება კუალად ამპარტავნობა
- გ) ქადაგება მუცლობაზედ
- დ) ქადაგება დაბრკოლებაზედ
- ე) ქადაგება ჯვარის ამალგებაზედ
- ვ) ქადაგება კორციელის სამსახურის მოშორება
- ზ) ქადაგება ჯვარის პოვნაზედ
- წ) ქადაგება ღვთის სიტყვის სმენაზედ
- თ) ქადაგება ღვთის გალახვის ვითარებაზედ
- ი) ქადაგება მეორედ მოსლვაზედ
- ია) ქადაგება კუალად ამპარტავნობაზედ
- იბ) ქადაგება შურზედ
- იგ) ქადაგება დაზარებაზედ
- იდ) ქადაგება ანგაპარებაზედ
- იე) ქადაგება ესე არს მომავლინებულის
- ივ) ქადაგება სული წმიდის მოღვენაზედ
- იზ) ქადაგება უძღებ შვილზედ
- იძ) ქადაგება სინანულის მოწოდებაზედ
- იო) ქადაგება კეთილში გაძღებაზედ
- კ) ქადაგება ღვთის კელის აღებაზედ
- კა) ქადაგება ვნებისა
- კბ) ქადაგება კუალად ვნებისა
- კგ) ქადაგება შურზე გინა ინადობაზედ
- კდ) ქადაგება შურზე გინა ინადობაზედ
- კე) ქადაგება ჩოლდობაზედ
- კვ) ქადაგება ღვთის გალახვაზედ
- კზ) ქადაგება გარდასღეითა შჟულისა ღვთის შეურაცყოფაზედ
- კწ) ქადაგება ყოვლად წმიდის მიცვალებაზედ
- კთ) ქადაგება კუალად ყოვლად წმიდის მიცვალებაზედ
- ლ) ქადაგება კუალად ყოვლად წმიდის მიცვალებაზედ
- ლა) ქადაგება კუალად ყოვლად წმიდის მიცვალებაზედ
- ლბ) ქადაგება მეორედ მოსლვაზედ
- ლგ) ქადაგება ლოცვაზედ
- ლდ) ქადაგება
- ლე) ქადაგება ხარებაზედ
- ლვ) ქადაგება წმიდა ზიარებაზედ
- ლზ) ქადაგება წინა დაცევაზედ
- ლძ) ქადაგება ამალგებაზედ
- ლო) ქადაგება
- მ) ქადაგება შობაზედ
- მა) ქადაგება უძღებ შვილზედ“.

2. წინ უძღვის მოთხრობა ბოლო ეხჳანსა ზედა (3r—4r) და „მეორე მოთხ-  
 რობა“ (4r—5v).

3. ქადაგებებში სომხური ფრაზები ჩვეულებრივია, ზოგჯერ სათაურიც სომ-  
 ხურადა.

შინაწერები: 1. „1872-სა მარიაშობისა 10 ქილდამის კათოლიკე მოვიდნენ  
 ქოსაბე თელინი ერთის (I) სახელი თეიმურაზი, მეორე იაკობა  
 (1r).

2. „ოთხი ქილდანის კათოლიკე მოვიდნენ სათხოვნელად:

1. ელია ჭადოსელი მავანის სოფლიდამ. 1. გაბრიელი ამისიე  
 ძმა; მესამეც იესუ კიდევ ამათი ძმა. მეოთხე ბენიამინ ელიანოს შვი-  
 ლი 1860-სა. ანგვარის 12“ (1v).

3. „1861-სა წელსა გიორგობისთვის 16-სა ორი ქილდანის კათოლიკე მო-  
 ვიდნენ წყალობის მოსაყრებელად იდოვართანთან გიულ-ზანელ ლასტის

ქვეყნისაგან და მეორე ახალმოზდა (!), სახელით იურმან ხოსროველი  
 საპაქასშვილი“ (1v).

4. „ურმის სანჯახიდან, გიულფარჩის სოფლისაგან მოვიდნენ ორნი ქილდანი  
 კათოლიკე, ორნივე ძმანი ხუბუ სახორშიან და ძმა მისი აივაზი  
 (იავაზი?) 1863-სა მარამობის 20-სა (1v).

5. „ქილდანის კათოლიკე მოვიდა სათხოვნელად ტირაყუ აბას ჰამი  
 ტირაყუსარ სარქისას შვილი და მეორე ეთო გიორგის შვილი  
 მავანის სოფლად სოფლიდა (!), 1872 ს 4 იუნისისი (1v).

6. „თითონის სოფელი ბაერელები რომ გადასახლდნენ“ (2r).

7. „1857-სა ორი მღვდელი მესტუმრენ მუსულის ქვეყნიდამ. სახელ დო-  
 ბი დანიელა, რომელ იყო ვუსავრონი ზაქარიანი და დავით  
 მარელია და აქედან ვითარც არალიდან წყალობა შემოუკრიბე და იყვენ  
 ქილდანის გვარის კათოლიკენი“ (2r).

8. „1857-სა ორმიდიამის ქვეყნიდამ სამი ქილდანის კათოლიკენი მოვიდნენ  
 სათხოვნელად. ბაბარე სოფლიდამ იყო ორი კაცი და მესამე იყო ისა მუსა-  
 რე სოფლიდამ, ტირაყუ აბრაჰამთან ლაზარ მღდის, 2. ზარუნდა სარ-  
 ქის, მესამე ზაია ისხაყე. 11 მეთათვის“ (2r).

9. სირიული წარწერა 3 სტრიქონი.

10. „ქილდანის კათოლიკე მოვიდა სათხოვნელად წყალობისა გაბრიელ  
 თომასოვი ტერ გეორგიან მავანის სოფლიდამ სანჯახიდან მავარისა  
 მცხოვრი“ (2r).

11. „ქილდანის კათოლიკენი მოვიდნენ ორი კაცი: გიორგი და იუუბ (!)  
 ქისაბათი დამ და ხურმაბათი დამ“ (2r).

12. „ერთი ქილდანის კათოლიკე მოვიდა ბაბარის სოფლიდამ დიკვანი  
 ლაზარი აბდიშოვი 1867-სა თიბათვის 13-სა, შამაშა დიკვნის თემა (!)  
 არის ქილდანელები“ (2v).

13. „ჩვენი დიკვენები იოვაკიმა და ალექსანდრეი წარვიდნენ  
 სტამბოლსა 18-სა მაისისა 1870-სა წელსა, ღმერთმა კეთილათ ხელი უწყოს“  
 (2v).

14. „ხუთი ქილდანელი მოვიდნენ სათხოვნელად მავანიდამ სახელათ გაბ-  
 რიელი, ოლია, ისაელ ძმანი დანიელ ინუისშვილი პეტროს  
 ბენიამიანის 1872 მაისის 8-სა“ (2v).

15. სირიული წარწერა 1885 წლის.

16. „ეიშუ ბარი მოსებ ურმის ქალაქიდან მოვიდნენ ასლან ლაზ-  
 რეც მეორე 1885 წელს.

1887 იუნისს 4 მოვიდნენ 2 ვაჟი მავანიდან ქალდანელები მაკობა და  
 პეტრე“ (2v).

17. „2 დეკტ (!) 1878 ვიავარის სოფლიდამ ორი მოვიდნენ, ერთი იოსება  
 მღვდელი და ერთი ლაზარ ბენიამიუნ იოჰანნა (248v).

18. „1879 იანვრის 6-სა მოვიდა ერთი მღვდელი ტერ იოანეს იოსე-  
 ბას შვილი მარბიშო (248v).

19. „მეიჰანა სანგვარლი. რეიჰანა სანგვარლი ილვია შამშო-  
 ჯიან 1879-სა იუნისი 26-სა“ (248v).

20. „ურმის ქალაქიდან 2 ქილდანი მოვიდნენ მოწყალებისათვის, მონა  
 მონას ძე და იუჰან აბრაჰამან გიოგ თავალი (!), 1887 იელისს  
 28-სა“ (248v).

21. XX-ის 40-იან წლებში წაუწერიათ. 1r-ზე: „ქადაგებანი დიდ იმამი-  
 შვილის“.

### იოვაკიმ ილულფუდიან, ნივთი მკურნალობითი. 1828

142 ფ.; 21,5×16,5; ქაღალდი; ევროპული; მუყაოს ყდა; მხედრული; შავი  
 მელანი; მთარგმნელი ტერ ანტონ თუმანოვი (2r); 1828 წ. (2r); თარგმნის ადგი-  
 ლი: ქუთაისი (2r); დაუწერელია: 1r—v.

«ითვაკიმ იღუღღღღიან», ნიეთი მკურნალობითი. — თავი ა. ნიეთათთვის აღმზრდელთა და უპირველესად ფესვეულთათვის საზოგადოდ (ა). უწინარეს ყოველთა განვიზრახამთ ამ თავშიდ, რომ რაოდენიც იფქლიც არიან, რომელთაგან საზოგადოდ პურს გავაკეთებთ. აკრეთვე იგი-ნიცა, რომელნიც შიმშილის ღროს პურათ იქმნებიან...“ 5r—131r.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის ავტორის წინასიტყვაობა: «სიტყვის მყუარებელ აღმომკითხველისა მიმართ.

საზოგადოდ და საკუთარი არს ყოველთა ცხოველთა, რომ თავიანთ სიცოცხლეს შეინახვენ და საცდურთა და სნეულობათაგან თავიანთ თავს მოარიღებენ, ხოლო მკურნალობითი მეცნიერების და კვლოვნების ნიეთი არის კაცებრივი სიმართლედ და თავისი ბოლო ოხჯანი იგი არის, რომ გაამთელოს სნეულება და სიცოცხლე კაცისა ბედნიერად და გრძელ სიცოცხლით ჰყოს. ამისთვის საჭირო და ერთი პატიოსანი მეცნიერება არის კვლოვნება ესე მკურნალობისა. აჲ ივონდნი არს პერჯიანობა, რაოდენიც არიან ჩვენი პირველ მამანი. რამეთუ ივინიცა ჯორცისა და ძვალთაგან იყენენ შემოსვილინი და შესაძლებელი იყო რომ ავათ გამხდარ იყენენ და ფერად ფერად საცურთ შემოხვეოდნენ, რომელნიც დღითი დღე ჩვენ შეგვემთხვევიან. ამისთვის დაჭირებითად თავიანთ ჰირის წამალს ეძებდნენ და მკურნალობით კვლოვნებას ხმარობდნენ, რომელი თუმცა დაყოფილი და დაბნეული იყო, მაგრამ გამოვიდნენ კაცნი, რომელთ ფერად-ფერადი მკურნალობა ერთს აღვიღს შემოჭკობებს (ა) და ერთი კვლოვნება გავაკეთეს, რომელიც ახლა საკუთარი და ყოველად საჭირო ერთი კვლოვნება არის და მისი მოქმედნი მკურნალნი იწოდნენ, მართლად რომ პირველად უსრული მეცნიერება იყო, მაგრამ მერმედ და მერმედ იქონია თავისთვის იმფერი მოძღვარი და ჭკვიანი გვაშინი, რომ გამოიღრებით და ვადიდებით თავისი თავისა, მოაწიეს ამ აღსავალსა, რომ არა ვპოვნებ რომ უმეტესად ამაღლდეს...

ესოდენნი საყოფი არს შესაძლებელად, რომ მრავალნი ჰირნი სწრაფად იძლოდნენ და მრავალნი სნეულობანი დააკლდენ, რამეთუ ექმნება მოადგილობა სარგებლობისა და ზიანისა და ესრედ მუდამ მკურნალის ნატრული არ იქმნები.

ხოლო რასაც შუამ დიად მრავალფერ არიან: ზოგნი ჭეჯილობითი, ზოგნი მოსიარულე ცხოველნი, ანუ მკურთაენი, ანუ მფრინველნი. წამალნი დიდი წილისამებრ იღეკროთაგან გაეკეთებულნი ჯორცნი არიან. (ბ) უნდა ვილაპარაკო თითო-თითოდ და ნიეთის სიმრავლე არ შეგავფოთებებს შენ, რამეთუ ყოველი გავჰყავ აღსავალით. და რადგან მთავრად პურით ეცხოვრობთ და პირველი ჩვენი საქმელი იგი არის, ვინებე პირველად ლაპარაკი პურისათვის და ესრედ თვითოდ ყოველი რაიმე საქმე აღსავლით უნდა ვილაპარაკოთ.

სამი ენით მრეხისენიე სახელნი, პირველად ლათინისა, რამეთუ ეს არის სობრძნის მოყვარეთა საერო ენა და ყოველთა ევროპის გვართა და უკეთუ დაჭირებითა წამალზედ უფრო მოადგილობა გნებაეს. საჭირო და ადვილი არს შენდა ამ

ა. პირველს დროებშიდ ავითმოფებებს განცხადებულად მოიყვანდნენ და საყდრის კარგზედ დააწვენდნენ, რათა შემსვლელ-გამსვლელნი რა მოადგილე იქმნებოდნენ იმ ჰირისა. ვამწყო წამალს აწვენებდნენ და რომელ წამლითაც სნეული გამოთლდებოდა, იმ წამლის სახელს და ხმარებას ჭეჯე მოხრით მადრიელობითურთ სალოცავის ერთს ვეერდზედ დააწყობდნენ. და აქედან იქმნა, რომ იმ დროის მსახურთა სალოცავისათა პირველად დაიწყეს მკურნალობის ხმარება. და პიპოკრატეს მკურნალთ მთავარ სალოცავის მსახურის შვილი რადგან იყო, პირველ იქმნა, რომ ამფერი წერილნი ერთად შემოჭკობდა და ყერბო წერილთ ჩვენ დაგვავედრა.

ბ) დილოსოტონი ამა ყოველთა ერთი სახელით უწოდებენ სამს უფლობას: პირველ უფლობა ჭეჯილობითისა, მეორე ცხოველთა, მესამე მადანთა.



ენით მოძებნა. მეორედ სომხურისა, რადგან ჩვენი ფიქრი სრულიად ჩვენს გვარს მიანიჭებოდა; მერმედ თათრულად, რომელი რადგან საერთო ენა არის, უფრო ადვილათ შეიტყობთ სიტყვის ძალასა, რომელზედ ვლაპარაკობთ, რამეთუ კარგათ ვიცო, რომ დიდი წილი არ არის შესატყობელი სომხური სქესი, უკეთუ არ იქმნება მსგავსად თათრულად“ (3რ—4ვ).

2. ერთვის „ზანდუკი თავთა წიგნისა ამის მკურნალობითისა“ (131ვ—142რ).

3. წინ უძღვის შთარგმნელის წინასიტყვაობა; „ნიეთი მკურნალობითი ესე არს: მოკლე ქვემო მოწერილობა ყოველთა არსა, რომელნი მონიჭებულ არიან ჩვენდა ყოვლის მპყრობელისაგან სახმარებლად მარადის თუ ვითარცა საქმელი და თუ ვითარცა წამალი და მათი ხმარების რიგი წონა და ეამი. არიან კუალადცა ზოგნი მკურნალობითნი სწავლანი, თუ რომელნი წამალნი შეიძლებიან რომ მიზიანებულ იქმნენ. უკეთუ უსიბრძნოთ იხმარებიან და ვითარი საყურბელი სარგებელი ექმნებათ, თუ რომ სიფრთხილით ველს მიჰყაფენ და რომელნი ბუნებითად მაზიანებელნი არიან, თუცა ვიქონიოთ დიდი სიფრთხილე და სიბრძნე. ბოლო წილი არის გულისხმიერობა ჰაერისა და კლიმის და მისი უფლობისა ცხოველთა და ჭევილთა ზედა. ნათლად მოსული ოვაკიმ მკურნალისა ოღულულედიანისა, რომელ არს დოქტორი მკურნალობითი და აზატობითი კელოგენებისა ვენისა, სომხურს ენაზედ: სადიდებლად ღთისა მომნიჭებელსა და სასარგებლოდ სომხითის გვართა, წელთა უფლისასა 1806-სა ენეტრკსა შინა. მერმედ სომხურის ენისაგან ქართველს მკედრულს ენასა ზედა გარდმოღებული და თარგმნილი ვინმე წირვის მოყვარისაგან ახალციხელი ტერ ანტონ თუმანოვისაგან, წელსა უფლისას 1828-სა, პოქტომბრის 5-სა, ქუთაისსა შინა კუალად სასარგებლად (!) ღთისა და სასარგებლოდა საქართველოთა“ (2რ).

4. უზის ბეჭედი „Иван Захарьевич Исарлов“ (1რ, 142რ)

5. „Это (?) книга принадлежит (!) Иосифу Асавили“ (1რ),

6. უმნიშვნელო მინაწერები: ქვედა ყდის საცავი ფურცელი.

209

ვინმე შესხის ცხოვრება, დაწერილი 1891 წ. ქ. ახალციხეს, 134 ფ. (საარქივო მასალა).

(59)

210

ოთხთავი. XIX

201 ფ.; 21,5×16,5; ქალაღი; ხის ტყავადაკრული ყდა; დაზიანებულია განსაკუთრებით ბოლო ფურცლები; ფურცლები ამოცვენილი; მხედრული; შავი მელანი; მუხლების დასაწყისი ასოები სინგურით [XIX ს.]; თავები მათეს და იოანეს მახარებლების მინიატურებით; დასათურება მთავრულად; დაუწერელია: 51რ—52ვ, 87ვ—88ვ; 146ვ—147ვ. 195რ—199ვ; 201რ—v.

„სახარება მათესი, თავი პირველი. „წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა ღვთისა, ძისა აბრაჰისა. 2. აბრამ შუა ისაკ, ისაკ შუა იაკობ, იაკობ შუა ფარესი, იუდა ძმანი მისნი...“ 1რ—124ვ.

შენიშვნები: 1. ლუკას სახარებას ერთვის „შესხმა წმიდისა მახარებლისა თქმული სოფრონის მიერ (148რ—v).

ბ. „შესხმა კუალად მახარებლისა იოანესი, დორთეოს მოწამისა სინოპესლისა (!) ეპისკოპოსისა მიერ“ (149რ).

3. ჩართულია მახარებელთა ყოველად უნიჭო მინიატურები (149ვ).

3. უმნიშვნელო მინაწერები ქვედა ყდის საცავი ფურცელი.

მინაწერები: 1. „გარდაცვალებულთა კილომ უხანთ პეტრეს დაწერილია პატრეშინათ ეკლესიაში მოღიაცნობის დროს სახარება ესე“ (200რ).

2. „პირველი. ჩემი ლუკაა დაიბადა იესოს წყალობითა ღვინობისთვის 14 ოქტომბერს 1816. მოინათლა იმავე თვის 4 დღე გასულს დაბადებიდან და აპაპი იყო თავისი ბიძა ონოთ.“

ჩემი მეორე შვილი სტეფანაი გიორგობის თვის ოთხსა და მოინათლა იმავე თვის შვიდსა და აპაპი იყო თავისი ბიძა ონოთ, უქო ქრისტეს 1618“ (200r).

3. „1841-სა წელსა კათათვის 24-სა დღესა უფლის შეწენით დაეჭორწინით შენდობილი ჩინოთ სტეფანას ასული სოფიოსთანა, რომ უფალმან კეთილათ შეგებაგბროს ერთმანერთანა, თავის მადლობადან, ამინ“ (200r).

4. „ჩემი და რისიმაი დაეჭორწინეთ 1819 წელს. იმავე წლის იანვრის 16, რომ ღმერთმან ერთმანერთ შეებეროს პუწათ ქეროფასთან მეუღლეთ გვირგვინი მიქლო შილაჯიანი ტეროვანის ხელითა“ (200v).

5. „ჩემი დისწული, რისიმას პირველი შვილი, ოვანჯანაი დაიბადა ქონ ქრისტესა 1819. იმავე წლის ღვინობისთვის 26 გასულს რომ ზემოსადარს მოინათლა და მირონი იცხო შილაჯიანთ ტეროვანისგანა და იმანვე შესწირა სურთი ნიშანი. 22 დღისა და სურთი ნიშნის მადლმა და ძალმა თავის მადლში და მფარველობაში დაიფაროს ყოველი საეკლერებისაგან და უცოდველათ გაზარდოს ამინ. და ჰაპაპი იყო ქვიათ ანტონაი“ (200v).

6. „წელსა უფლისასა 1821 დაიბადა ასული ჰოჯ ქეროფასი და მისი სჯულიერი მეუღლე რისიმასი, ამავე წლის იანვრის 9 და მოინათლა იმავე თვის 13, რომლის სვინა იყო პეტრე ქვიანთი და სახელი უწოდა ელისაბეთ“ (200v). ეს მინაწერები გამოქვეყნებულია შ. ლომსაძის მიერ, იხ. დასახელებული წიგნი.

(60)

211

### ქამნი. XVI—XVII ს.

211 ფ; 21×14,5; ქალაღი; ტყავის ყდა; დაზინებულღ; დამოღღ; დალაქაებულღ; თავბოლონაკლულღ; შავი მელანი; სათაურები სინგურით [XVI—XVII ს.]; ნუსხურღ.

[ქამნი] „...ნესტო მდინარეთ საღმრთოთა სწავლათათო მევედრებელთა შენთა გვთხოვე მოტევებაჲ, იოანე ოქროპირო, მეოზ გვეყავ წინაშე სამეღბისაო...“ 1r.

წყდება: „...და მეყავ მე მკსნელად ესე არს ღმერთი ჩემი ვადიდო ესე...“ 211r.

(61)

212

### პოღოს დავით შაჰყულღვი, ეკლესიის მოთბრობა. 1831

VII+725 გვ; 21,5×17; ქალაღი; ქალაღის ტყავგადაკრულღ ყდა; დაზინებულღ; ყდა შემოეღღღი აქეს; მხედრულღ; შავი მელანი; 1831 წ. (IIIr); დოუწერელღ: Ir—IIv; IIIv—VIIv; გვ. 552, 603.

[პოღოს დავით შაჰყულღვი]. «ეკლესიის მოთბრობა». „წ. ქრისტეს 338. იუღიო პაპ. 2. წიგნი მეათე, თავი ა. ეკლესიის მოთბრობისა. მატენი მექუსე. წიგნი მეათე ეკლესიის მოთბრობისა. თავი პირველი სამთა შვილთა დიდისა კოსტანტინესთა, განიყვეს თავისთა შორის ჰრომის სამფლობეღოღ და ექსორიით უკან მოწოდება წმიდისა ათანასისა და არა წარღვლენა

მისი ალექსანდრიად. — რამეთუ დიდი კოსტანტინეს გარდაცვლის შემდგომ ჰგიებდეს სამნი ძენი მისნი, რომელთაგანი პირველი იწოდებოდა მამისავე სახელითა კოსტანდინე, მეორე კოსტანცოგინა კოსტა და მესამე კოსტანდე... გვ. 1—692.

**შენიშვნები:** 1. თხზულება წარმოადგენს № 145, 198, 201 ხელნაწერებს გაგრძელებას. № 145 მიხედვით თხზულების ავტორია ტე რ ა ზ ო ლ ო ს დ ა ვ ი თ შ ა ჰ ყ უ ლ ო ვ ი.

2. ტექსტს ერთვის „დასასრული მეექუსე მატენისა, რომელსა შინა იზოებიან შეცმულ ოთხნი წიგნნი, ესე იგი მეთე, მეთათრმეტე, მეთათრმეტე და მეთათრმეტე“ (გვ. 69).

3. ტექსტს წინ უძღვის: „ეკლესიის მოთხრობისა მატენი მეექუსე. წიგნი მეთე, მეთათრმეტე, მეთათრმეტე და მეთათრმეტე, რომელთა შორის შეიქმის მოთხრობაი სულიერითა რამეთა, თუ ქვეყნიერთა, ორას სამეოცდართა წელთა ჟამისათა სასარგებლოდ ძეთა ეკლესიისათა წელსა ცხოვრებისა ჩვენისასა 1831-სა, ჟამსა გრიგოლ მეთათრმეტისა ჰრომის პაპისასა, ქალაქსა შინა ტფილისისასა“ (111r).

4. ტექსტს ერთვის: ა) ზანდუკი. „ზანდუკი საჩვენებელი პირველი მატენისა მეექუსისა და წიგნისა მეთათრმეტისა თავთა ეკლესიის მოთხრობისათა“ (გვ. 694—703).

ბ) „ზანდუკი ანბანგანური ეკლესიის მოთხრობის მეექუსე მატენისა, წიგნთა მეთათრმეტისა, მეთათრმეტისა, მეთათრმეტისა და მეთათრმეტისათა. — წ ჰნიშნავს წიგნსა, თ — თავსა და რ — რიცხვსა, იხ. — იხილე“ გვ. 694—723.

**შინაწერები:** 1. „ახალციხის არქიმანდრიტი პ ო ლ ო ს ვ ართაპეტ შ ა ჰ ყ უ ლ ო ვ ი გარდაიცვალა 1854 კათათვის 23“.

2. პ. პოლოს ვართაპეტის ქება როგორ წარმოვექვა ენითა, მასზედ რომ შესხმა დავიწყო, ნიეთებს ვნახამ სიმრავლითა, მელანში დაწობილს კალამს, ვერ დავასრულამ წერითა, რამდენიც მრავალი ვწერო, ვერაფრით დავლევ ლეენითა.
- ო ოთხი წლისა რა შეიქმნა ოსტატს წავიდა რბენითა, ყმაწვილობიდანვე იყო რჩეული, წმიდა ქცევითა, განშორებული ქვეყნისგან მიზიდულ იყო ხელითა, მისი სანუგეშო ლხინი სულიერი წიგნებითა.
- ღ ღეთისგან მოწოდებულ იქმნა ქაბუკობის ჰასაკითა, ჰრომის ქალაქში წავიდა, მიიწია სიმრავლითა, წმიდა კრებამ შეიწყნარა, მღვდლობას მისწია ქებითა, წმიდა მამა თვალთ ნახა, ანუგეშა სისრულითა.
- ო ოპ, რა შეიტყვეს წამოსლვა ჰრომის წმიდა ქალაქითა, ახალციხის მცხოვრებელნი მოელოდნენ მას ნატრითა, უცხორომელად ლოცულობდნენ შეწყნარებათ სიმრთელითა, მიზრძანდა რა უვნებელად ქვეშ დაეცნენ სიმრავლითა.
- ს სულ ყველასთან თავდაბლობით იქცეოდა აღსაველითა, მამობრივი სიყვარულით იწყნარებდა პატრივითა, ვინც აწყენდა, აამებდა, არ არჩევდა განრჩევითა, მხოლოდ ღვთის ბრძანების დაცვად უზრძანებდა სასტიკითა.
- ვ ვერავე უმფროსმან ეგრეთ ამრავლა რიცხვი მღვდლებისა, ორმოცდაათორმეტი მღვდელი აკურთხა ჩვენი თემისა, დიდი სიყუთე შესძინა გასანათებლად ერისა, სულ ყველას რიგები მისცა შესაფერად აღსაველისა.



- ა აგარიანების დროსაც იყო უმფროსი თემისა მღვდელთა ქაზოში სწურონიდა, კეთილ იყავით ქცევითა, არავისი დაბრკოლება არ იქმნათ არცა მზერითა ყოველთა სენაკსა ჯდომა გიყვარდესთ მუდამ მცველითა.
- ბ რაით გინდათ ჩემი გაწურონა იწურონებით წიგნებითა, წყლის ახლოს დანერგული ხართ, სავსე იყოთ ნაყოფითა, აყვავებულნი სიმართლით, გამშვენებული ფოთლითა, აწილადეთ სხვათაც კეთილი თქვენი ტბილი სწავლებითა.
- თ თქვენ ხართ მთაზედ ზედამხედველ დღე და ღამე ქადაგითა, მცირე შეცოდება თქვენი მძიმე არს მრევლზედ მრავლითა, არცა ერთი არ დაჰკოდოთ, დახსნილნი ქრისტეს სასჯელითა, თვარემ ქრისტეს სამართალში ვერ გამართლდებით მალვითა.
- ა ალაწანში რომ წავიდა, თავის შემდეგი მღვდლებითა, სულ ამას უქადაგებდა: მტკიცე ვიყოთ მხნეობითა, თავი დავდეთ ქრისტესათვის, სისხლი დავღვაროთ მხლებითა, სასუფეველს მივიწვიეთ — ექვი არა მაქვს ექვითა.
- ბ პატივი დიდი მიიღეს, არა ჰსურდა მიღებისა, თავსა უღირსად დასთვლიდა მცირედ უფროს იქ კრებისა, კურთხევითა აღავსებდა ორკეცილად წილდებისა, ყოველთა თავიანთ დავვარ პატივს აძლევდა თნებისა.
- გ ესრეთვე მიბრძანდა აქვე საყვარელის სავსებითა, დღიდგან დღეზედ აღემატა ამბავების განფენითა, სრულ იყო ყოველასი მოხუცებული ჰსაკითა, ოთმოცდათორმეტი წლისა გარდიცვალე თარეღითა.
- დ ტერ ვოლოსმისა ახსენებდა სიკვდილამდი გონებითა, სულ ყველანი მას შევენატრით სულისა ნეტარებითა, იმედი გვაქვს ღვთის წყალობით ცხონდა იგი დიდებითა, ნეტამც ჩვენც ისრე ვიცოცხლოთ ამისი წამკითხველითა.
- ე იგი მრავალჯერ დაგვიბრდა წირვაზე ქადაგებითა, თუ როდესაც ზეცას წავალ მოგახსენამ გონებითა, თქვენთვის მლოცველი ვიქნები ცოცხალთათვის და მკვდრებითა, რომ თქვენც ჩემთან ღმერთი აქოთ, დაუცხრომელი ქებითა.
- ს სიკვდილს უწინ აღაშენა მონასტერი ქვითკირისა, მოსახსენებლად დასტოვა ღვდელთა და შეგირდებისა, უფალმან ნუ დაუჯარგოს, ნიჭი მისცეს მადღებისა, ხარჯის მიმცემს და ზედამდგომს და ვინც იყოს გამრჯელისა.
- ა ამას იქით მონატრე ვართ ერთი ამფერის გვამისა, განანათლოს ჩვენი გვარი დამატებითა სწავლითა, ვევედრები მაცხოვარსა ისმინოს ჩემი ლოცვისა, ყოველთა შორის უღირსი თ ა თ ო ჯ ე ი ნ ი უ ს ო ვ ი.

მახრუზიათ უკულმა არის ეს წიგნი, რომა დაჰკვირდეთ და შენდობა შეუთვალეთ შ ა ჰ ხ უ ლ ო ვ ს“ (გვ. 725—726).

2. „ეკლესიის მოთხრობა, კნინდა სამთა საუკუნებთა, ესე იგი სამას ოცდაათვრამეტეილამ ვიღრე ექუსასადმდე ქრონიკონისა ქრისტესი, მატენი შეეჭუსე. ხოლო წიგნი მეათე, მეათერთმეტე, მეათორმეტე და მეათასამეტე“ (IIr).
3. „შაჰყულოვისა № 7“ (IIr).

(62)

213

## ყარამანიანი. XIX

143 ფ.; 33,5×21; ქალღი; ტყავადაკრული მუყაოს ყდა; ტვიფრული; უდიდან ამოვარდნილი; ორი სხვადასხვა ხელი; შავი მელანი; [XIX ს.]; დაუწერელია 143r—v.

„კარი მეორე, ყარამანიანი და ანბავი შაფალი ფერისა. შაფალი ფერისა და ოდეს შაფალი ფერიანი გაგზავნა და ფეშანგ ხელმწიფეს შემწეობა სთხოვა. იმ ჟამათ ფეშანგ ხელმწიფემან ფალეევანთა ფალეევანი უხუცესი ყარამან და ყათრან, და ბარამ ჯიბილო და გარადნქეშანი შაფალი შახ შემწევა გაგზავნა და თითონ ჰინდოეთში რა ჰინდ ჰინდოეთის ხელმწიფესთან დარჩა ან მათი ანბავი მოვახსენოთ. პირველი კარის ანგარიში. აქ ყარამანის წასვლა ბარამ ჯიბილოს მამის მისაშველებლათ...» 1r—142v.

**თავდება:** „...ასწივეს, ჰაერში აღიტაცეს და ინდოეთისაკენ გაემართნენ. ჰაერში ასე მალლა აღიწივნ რომე ქვეყანა ერთის კალოსედენი ჩნდა... და გარეშემოსულ ზღვასა მოეცვა, და წამოვიდნენ ლხინითა და შექცევითა სიხარულითა. და დასრულდა ესე მეორე კარი და აქ დაიწყობის კარი მესამე. და ანბავი ზოსროვ შირინის სამო სასმენელი ტებულ... საკითხავი და უცხო მასიამოვნებელი მსმენელთათვის (142v).

**შენიშვნა:** ტექსტი გამოცემულია, იხ. ყარამანიანი, გამოსაცემად მოამზადეს ა. გვახარია და ს. ცაიშვილმა, 1965 წ. ხელნაწერი მიეცემა გამოცემას გვ. 14—243.

**ანდერძი:** „დაეწერე ყარამანიან ესე მეორე კარი მე, არ დემ სულთა ორვის შვილმა და პატრონს სალხინოთ, სამხიარულთ და სამშვიდობოთ ვაჟების ბედნიერობაში მოხმარდეს. ამას გეხვეწებით, მე არ ტემ სულთა ორვის შვილი, მოყვარო და ანუ მტერო, ვინცა რომ ითხოვოთ, მშვიდობით მოისმინოთ და ისიამოვნოთ და პატრონს კი მშვიდობით მიაბარეთ. ვინც რომ დამალოს და აღარ გამოგვიჩინოს, გაუწყრეს რაც რომ წმინდანი ხატნი არიან, და ვინც რომ მშვიდობით მოგვაბაროს, ღმერთმა იმათა მშვიდობი და ბედნიერობა მისცესა. აცოცხლოს ღმერთმა. ვინც რომ ჩემთვის ფასი გაიღო და წიგ...“ (142v).

**შინაწერი:** „ყარამანიანი, თარგ. თურქულისგან და ვით ორ ბეღიანი ის მიერ, კარი მეორე“ (ზედა ყდის შიდა მხარე).

(63)

214

## სამართლის წიგნები. 1841

51 ფ.; 35×23; ქალღი; ხის ტყავადაკრული ყდა; მხედრული; შავი მელანი; მუხლების დასაწყისი სინგურით; 1841 წ. (43r); გადამწერი იოანე დავით მღვდელის ძე ქიქვაიაძე (50r); დაუწერელია 1r—2v; 50v—51v.

„სამართალი კათალიკოზისა.—სახელითა ღთისათა მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოველსა საქართველოსა კათალიკოსმან პატრიარხმან მალაქიამ და მთავარმან ევდემონ დავსხედით და შეგკრიბენით ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისა. და დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩვენთაგან, უწესობა და უჯერო საქმე შემოვიდა: კაცის კულა, მტყვის ყიღვა, ეკლესიის კრებვა, და უხვედრობა. დავიდევით სჯულის კანონი და ჩვენცა იმისგან გამოვი-

ლევით; და რაცა იმისგან არ გამოვიღვეით, ჩვენ ჩვენი მაგიერი არა შეგვიმატე-  
 ბია რა, სჯულის კანონიცა ასრე ბრძანებს:.... 3r—42v.

**შენიშვნები:** 1. შედგება სოთ მუხლისაგან, უკანასკნელი მუხლი „მეწყერი  
 თუ მოგლიჯეს საზღუარი წაილოს, სადაც ყოფილა იმას უნდა კაი გულის მი-  
 ცემა. და იქვე უნდა ვაჩნდეს“ (42v); მუხლების რაოდენობა კათალიკოსის სამარ-  
 თლის მუხლებს არ გულისხმობს.

2. სოთ მუხლს ერთვის „დიდებულნი თავადნი ესენი არიან: ერთი თავი  
 თავადი (!) არა გავს, ერისთავი გაუყრელია. ერთი თვითან ქსნის ერისთავი. ერთი  
 თავი. თვითან ამილახორი, როცა გაუყრელი ყოფილა ციციშვილი, ამასთან კი  
 არა სომხის მელქი ყოფილა. ამას გარდა ამოსავ სახლის კაცებს სისხლი არა  
 სდის, სხუა უმფროსი თავადი დაგვიწერია დიდებულის ქვეით, იმათ ოდენი სის-  
 ხლი ედინების“. (42v).

3. 43r—50r — არის ზანდუკი ამ წიგნისა.

4. ტექსტი გამოცემულია ი. დოლიძის მიერ. იხ. ქართული სამართლის ძეგ-  
 ლები, IV, 1963, გვ. 393—397.

**ანდერძები:** 1. „გასრულდა, დიდება ღეს, ამინ ქორანიკონს ჩემას (43r).

2. აღიწერა ქორანიკონს ჩემგა-სა წელსა თანასწორ ნამდვლსა ზედა ხელითა  
 ჩემითა მღვდლის იოანე დავით (!) იოანე დავით მღვდლის ძის  
 ქავექარამისათა“ (50r).

**მინაწერები:** 1. „ეს წიგნი, ვახტანგ მეფის კანონები, შევსწირე ახალციხის  
 წიგნთსაცავს 1900 წ. 20 დეკემბერს. მე პეტრე ივანეს ძე მეფისა-  
 შვილმა“ (1r).

2. „ამისთანა ერთი წიგნი არავის ააქვს კაცის ძესა,  
 ტკბილათ ასრე საკითხავი შვილი სწოდეს დედის რძესა,  
 ვახტანგ მეფის შეკრებული სამართალი აქა სმენსა  
 და ნუ ვინ ვაპრობ ურ შეიძლებ (!), დიახ დიდი ფასი სძენსა“ (50r).

(64)

215

### ყარამანიანი. XIX

62 ფ.; 32,5X20; ქალალი; მუყაოს ყდა; დალაქავებული; მხედრული; შავი  
 მელანი; სათაურები სინგურით; ორი განსხვავებული ხელი [XIX ს.]; აქვს ჳვირ-  
 ნიშანი, რომელზედაც ჩანს 18...; დაუწერელია: 62r—v.

„ანბავი სპარსეთი ველმწიფის შვილი ყაპრამან ფა-  
 ლავნისა, თურქთა ენისაგან ქართულსა ენასა ზედან თარგმნილი ორბელიანი  
 საქართველოს სარდლის დავითისაგან. თუმცა აარა (!) რიტორთა ენასა შეწყო-  
 ბილი არს, მაგრამ ამისთვის დავშვერ ამა ზედან, რომ ყრმათათვის საკითხავთ  
 საამური არის, და მეორე ესე, რომ ვინათგან საქართველოში წიგნი ყაპრამანიანი  
 ქართულსა ენასა ზედა დღეს აქამდინ არსად იპოებოდა და მას იქით იპოებო-  
 დეს. მე ასე შევიძელ და აწ ვისას უკეთ გაკეთება გენებოსთ და შეიძლოთ,  
 თქვენ გამართეთ. — პირველ ქამად სპარსეთს იყო კელმწიფე დიდი, რომელსა  
 ეწოდებოდა სახელად თანმურად. ესე იყო მალაი და აღმატებული ყოველსა  
 ზედა სპარსეთსა...“ 1r.

**წყდება:** „ხელმწიფემან უშანგმან ჰინდლოეთი დაიპყრა. მას ქამად ათას სა-  
 მასის წლისა იყო ამ თავის ცხოვრებასა შინა შვიდი ათასი ომი გამარჯ...“ 61v.

**შენიშვნები:** 1. 57r—60v ფურცლები ჩაყინძულია უკულმა.

2. ზედა ყდის შიდა მხარეზე არის მინაწერი: „ყარამანიანი თარგ. თურქუ-  
 ლიდან დავით ორბელიანისგან მიერ. (!) კარი პირველი, გადაწერი-



ლო არტემ ბესარიონის ძე სულთანოვისაგან. შემოწრილი იოსებ ქაჩხუაშვილისაგან. № 213 და 215 ხელნაწერები გადაწერილია ერთი კაცისაგან.

3. ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. ყარაშანი, ალ. გეხარიას და ს. ცაიშვილის რედაქტორობით, 1965, ტექსტი მიყვება გამოცემას, გვ. 1—72.

(65)

1418

## ლოცვები და ლითანია. XIX

32 ფ.; 8,5×6,5; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX]; ნაკული; ხელნაწერში ჩახატულია სინგურით და ლურჯი მელნით შესრულებული მდარე თავბოლო სამკაულები (2r, 9r, 18v, 21r, 22r, 24v, 25r, 27v, 28r, 29r).

[ლოცვები და ლითანია]. — „...დიდის სურვილით ნატრობდნენ სატანჯველსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისი...“ 1r—32v.

შენიშვნა: ხელნაწერი ლოცვანს წარმოადგენს, შეიცავს: „ლოცვა ქრისტესი“, „ლითანია ყოვლად წმიდასი“, „ლოცვა გასაწმედელი“, „ლოცვა მარიამისა“ და სხვ.

(66)

1460

## ქადაგებანი. XVIII

150 ფ.; 21×15, 20×13,5; ქალაღი (სხვადასხვა); მუყაოს ყდა; მხედრული (სხვადასხვა); [XVIII]; ნაკული ხელნაწერი აღუდგენიათ მომწვანო ქალაღით, სხვა ხელით (52—53, 74—76, 97—98, 113—118 ფფ.). დაუწერელია: 21v—22v, 33v—37v, 50r—51v, 73r—v, 126v, 143r—v.

[ქადაგებანი]. „ქადაგება ცოდვილების იმეღზედ. ურისხოობისა. — დიდი საკვირველი ამბავი არის, რამდენი არიან ცოდვილები...“ 4r—150r.

შენიშვნები: 1. შეიცავს კათოლიკურ ქადაგებებს სხვადასხვა რელიგიურ თემებზე: „ურისხოობისა“, „ცოდვილებისა ცუღს იმეღზედა“, „ნაერის დაყრისა“, „წმინდა სტეფანესი“, „აღსარების საიღუმლოზედ“, „ენებისა“, „სინანულზედ“ და ა. შ.

2. უძღვის „ზანღუცი წიგნისა ამის ქადაგებისა“ (3r—v). ზანღუცში აღწესხულია 44 ქადაგება.

მიწაწერი: „ამაში ერთი ქადაგება არის მშვენიერი, პირველს ლახუარზედ

7

თქმული. 17 — 35 (?)“ (150v).

19

(67)

1527

## დარიებანი. 1854

50 ფ.; 18×11; ქალაღი; ნაქერგადაკრული მუყაოს ყდა; თეთრი ქალაღი; მხედრული; მთარგმნელი: ტერ იოსებ ხუციანოვი (1r); 1854 წ. (49r); დაუწერელია: 1v, 3v, 49v—50v.

„წუროთნა მოქალაქობისა, თუ როგორ უნდა მოიქცეს კაცი დილაზე ლოგინიღგან ადგომის დროს და წირვის მოსმენის დროს. — არის კეთი-

7. ხელნაწერთა აღწერილობა

ლი ჩვეულობა და ვალი ქრისტიანობრივი, რომ როდისაც გაიღვიძოს კაცმან ძილიდან, ფიცხლავ აღიმაღლოს ფიქრი თვისი ღმრთის მიმართ...“ 4r—49r.

შენიშვნები: 1. ტექსტი შედგება შემდეგი დარიგებებისაგან:

ა. „მოქმედობათა და მოძრაობა ზედა, რომელნიც არ შეშვენიან“ (6v—12r).

ბ. „თუ როგორ უნდა მოიქცეს კაცი შექცევაში და წირვაში“ (12r—15r).

გ. „თუ როგორ უნდა მოიქცეს სახელის პატივისცემაში, შეტყობინებაში, მოძრაობაში და ხუმრობაში“ (15r—17r).

დ. „თუ როგორ უნდა მოიქცეს ტანისამოსის ჩაცმის დროს“ (17r—18r).

ე. „თუ როგორ უნდა მოიქცეს მარტო სიარულში და ვისმესთან ამხანაგობაში“ (18r—21r).

ვ. „თუ როგორ უნდა მოიქცეს ვისმესთან ლაპარაკში და შექცევაში“ (21r—29r).

ზ. „თუ როგორ უნდა მოიქცეს ჭამის დროს“ (29r—38r).

თ. „თუ როგორ უნდა მოიქცეს სუფრის მსახურებაში“ (38r—41r).

ი. „თუ როგორ უნდა მოიქცეს საღამოზე დაწოლის დროს“ (41r—v).

ი. „საქირო წურთნანი მოკითხვის წიგნის მიწერისათვის“ (42r—49r).

2. ტექსტს წინ უძღვის ორი წინასიტყვაობა:

ა. „წუთონა რიგინათ მოქალაქობისა, გამოღებული წერილთაგან ყოვლად ბრწყინვალე მიოვანე გაზიანისა და სხუთა რჩეულთა აქსონთა.

თარგმნობილი იტალიანური ენისაგან სომხურს ენასა ზედა მამა ნიკოლოზ მოძღვრისაგან ბუზიანისა ერთობისაგან ყოვლად პატივცემული უღესი უღსა მხითარ სიაბბი მთავრისა და ვენეტის მონასტრის უმფროსისა, დაბეჭდილი თრესტიის ქალაქში წელსა უსასა 1786.

ხლო აწ გადმოთარგმანებული სომხურიდან ქართულს ენაზედა ტერ-იოსებ ბუციანოვისაგან, წელსა 1843 მაისის 25, უღეს“ (1r).

ბ. „სიტყვა კეთილმოყვარულ წამკითხველთა მიმართ. ეს შემოკლებული, არამედ საქირო წიგნი მოქალაქობისა, მოვიწადინეთ ნათელში გამოყვანად მშვენიერ სამკულად გვარისა ჩვენისა, რომელი უქონლობისათვის ამფერი რამე წერილისა, ვიდრე აქამომდე დაბოლოებული იპოებოდა და მოქმედობანი კაცთა, რომ ჩვენს გვარში მოქალაქობით ითვლებიან უმეტრობისაგან, მაგრამ საზოგადო გაჩინჯულობისაგან (!) ბრძენთა და მოქალაქეთა არიან დასაძრახი გაუხდელი ბანი და კორტობანი (?). მაშ რათა, რომ სიტყვიერად გაიწურთონ კაცი და მოიქცეს სხვათა თანა მოქალაქურებ. რადგან არის მოქალაქე სიტყვიერი და ცხოველი და რათა განარჩიოს არსებითი მოქალაქობა გარეულთაც, ეს წიგნი არის მისთვის საქირო. ამისთვის ვაგულიანებთ კეთილგონებიან წამკითხველთა, რომ ამ წიგნის წურთნისებრ წარუმართონ თავიანთი ქცევანი და უმეტესად ვაგულიანებო ზედამხედველთა და მშობელთა და სახლის უმფროსთა, რომ შემდგომად საქირო სწავლებათა სარწმუნოების ნაწილთა და საქრისტიანო მოძღვრებათა, ასწავლონ ამ წიგნიდანაც გაწვრთნილობანი დ მოქალაქეობითი ქცევანი, რათა რომ ყმაწვილობაშიდე არა მხოლოდ კეთილმოქმედებასა, არამედცა მშვენიერსა და რიგიანს მოქალაქობას შეეჩვეოდნენ, ვითარ რომ ამით გვარი ჩვენი გაუხეხებულად და რჩეულად იყვენებოდეს ღირსეულობისებრ თვისისა. მაშ უმცირესისა ამის შრომისა ჩუენისა მოწადინებთა და სიყვარულით შემოწირულისა სიყვარულით შეწყნარებად ვითხოვთ“ (2r—3r).

ანდერძი: „დასრულდა 1854. თიბათ. 28“ (49r).

შინაწერი: „1856 აპრილის 5-სა ღღეს ეწყენეს ფერთობილი ჩვენსა, გავიდნენ თიბათის 2“ (ქვედა ყდის შიდა მხარე).

1528

აღფონსო ლიგურის ვიზიტნი. 1901. ი. ე. გვარამაძის ავტოგრაფი (სა-  
არქივო მასალა).

(68)

1551

საფიქრებელი კვირადღისათვის. XX

16 ფ.; 18×11; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული; ბოლონაყლული; შა-  
ვი მელანი; [XX]; დაუწერელია: 2v, 10v—16v.

„ს ა ფ ი ქ რ ე ბ ე ლ ი კ ვ ი რ ა დ ლ ის ა თ ვ ის. — იესო აღსდგება, მიე-  
პტრების წინაშე თვისი შეპყრობილი და შეკრული იქმნება. იცოდა იესომ ბაღ-  
ში იქ, რომ უბედური იულა მხედრებიტურთ მოსულნი იყვნენ შესაპყრობე-  
ლად“... 3r—9r.

შენიშვნები: 1. ტექსტს ერთვის „წირვის ახსნა-განმარტებიდან (გვ. 374).  
რა არის საიდუმლო ვვარისა, რომ ქვეყანა დაიხსნა...“ 9v—10r.

2. წინ უძღვის იამბიკო:

ა. „უგალობეთ, ენაო, დიდებულსა  
ზორცისა საიდუმლოსა  
და სისხლსა უსასყიდლოსა,  
რომელი ფასად ქვეყნისა  
პატიოსნისა მუცლისა ნაყოფი  
კაცთა შეფემან დასთხია...“ 1r—2r.  
(სულ 6 სტროფი).

3. 4r-ზე არის სომხური ტექსტი.

(69)

1553

კრებული. 1800

110 ფ.; 20×14,5; ქაღალდი; ხის ტყავგადაკრული ყდა; მხედრული, შავი  
მელანი; სათაურები სინგურით; თავების დასახელება მთავრულად და სინგურით;  
გადაწერილი ხეივანთ არუთინას ძე ანტონი (1r); გადაწერის ადგილი: ქუთაისი  
(1r); 1800 წ. (1r); დაუწერელია: 1v; 54v.

1. „გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა ი ო ა ნ ე მ ო ც ი ქ უ ლ ის ა გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი-  
თ უ რ თ. ა. გამოცხადება იესო ქრისტესი, რომელი მოსცა მას ღწ ჩუშნებად  
მონათა მისთა საქმეთა მათ, რომელთა ჯერ არს ადრე აღსრულებდა. განმარტება.  
გამოცხადება არს დაფარულთა საიდუმლოთა ჩუშნება, რაჟამს განათლდეს გო-  
ნება, გინა თუ საღმთოთა სიზმრითა გინა თუ განცხადებულთა... 3r—54r.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის:

„წმიდისა ჩვენისა ანდრია მთავარეპისკოპოსისა კესარია კაბადუკიელისა  
თარგმანება გამოცხადებისა წისი იოანე მახარებელისა, რომელი სთხოვა სხვამან  
იეპისკოპოსმან და მან მიუწერა ესე მას. უა ჩა და მამსა და ჩემთანა მღუღე-  
ლისა უწის მიერ განარებთ. — მრავალთა მიერ მრავალგზის ვიძიულე, რომელ-  
თა იგი აქუნდა ჩემდა მომართ ივეი უზესთავისი ძალისა ჩემისა, რათამცა ესათრ-



გმენ ლისმეტყველისა იგი გამოცხადება...“ (2r—v). თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 14.

**მთარგმნელის ანდერძი:** „არამედ, ში ძმანო, რომელი ჩემ მიერ თქმულთა ამით სიტყვათა აღმოიკითხვიდეთ, შემინდევით, რომელი რამ უძლურად თარგმნილი ჰპოოთ, რამეთუ ესე საქმენი დიდთა კაცთანი არიან, ხოლო მე ვარ უძლურ და უმეცარ. არამედ მორჩილებისათვის ვიპქმენ ძალისაებრ ჩემისა, ვითარცა ღმერთმან სიტყუა და გულისკმისყოფა მომცა.“

ქეშმარიტი რომელი ამის ყოვლისამან უწყის, რომლის მიერ არს ყოველი სიბრძნე, რომელსა ჰნებავს ყოველთა კაცთა ცხოვრება და მეცნიერებასა ქეშმარიტებისასა მოსულა და ყოველთა თვისსა მადლისა ბრწყინვალეობასა მიჰფენს, ხოლო ნათელსა მისსა თუთოვული ძალისაებრ თვისსა ყოველთა ზედა მიიღებს, რომელსაცა ღირს მყუნეს კეთილად და სრულად მოღებად ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან, რომელმან ჩვენთვის კორციითა ივნო, რომელსა შექმნის ყოველივე დიდების მეტყუშლება, პატივი და თაყვანისცემა თანა მამით და ცხოველს მყოფელთ სულთითურთ აწ და მარადის და უკუნიით უკუნისამდე, ამინ“, (53v—54r).

2. [ეპიფანე კვიპრელი, ათორმეტთა თუალთათვის]. --- „...ა. თვალი სარდიონი. — სარდიონ ამის გამო ერქმის, რომელ ბაბილონს, რომლისა არს ხილვა მისი მეწამულ, რამეთუ ფერსა და სახელსა თევზისასა სედელ (!) ედვა, რომლისა არს ფერი მისი. სარდიონ თევზისაა ფერი სისხლისა...“ 56v—98v.

**შენიშვნები:** 1. ტექსტს წინ უძღვის: „უფალსა ჩემსა პატიოსან ძმასა და საქმისა თანა ზიარსა თევდორეს კეთილად მსახურსა იეპისკოპოსსა იეპიფანე იეპისკოპოზი უფლისა მიერ მოვიკითხავ! დიდსა ნიქსა მადლსა მისცემდა და არა თუ მოიღებდა... 55r—56v.“

ტექსტი გამოცემულია. იხ. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაქმად მოამზადეს ბ. ვიგინიევილი და ე. გუნაშვილი, 1979, გვ. 129—175.

2. კიდევბზე 56v, 57v; 59r—v; 60r—v; 61r—v და ა. შ. არის ლექსიკოლოგიური მინაწერები, ტერმინების თარგმანი, შესრულებული მოგვიანო პერიოდში. თხზულებასთან დაკავშირებით იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 46. ავტორი აღდგენილია ამ წიგნის მიხედვით.

3. „მკვეთათვის სახესა სიტყუა წიგნთაგან, თქმული წმიდისა ვასილი იეპისკოპოსისა კესარიელისა. — არს მხეცი, რომელი იწოდების მსუჭნი მზარისა, ვითარცა სახის მეტყუშლმან თქვა რაჟამს დამდენის და მოაკლდის ორთავე თვალთა მისთა და დაბრმის და ვერ იხილის ნათელი მზის თუალისა რამე ზაკვა რაზომცა შეუნიერ იქმნა თავი თვისი...“ 98r—110r.

**შენიშვნა:** ამ მონაკვეთის კიდევბიც აქრელებულია იმავე პირის მინაწერებით. ალაგ-ალაგ ტექსტიც ჩაუსწორებია. 2. ტექსტი გამოცემულია. იხ. Н. Марр, Физиолог, Тексты и разыскания, кн. VI; შატბერდის კრებული, დასახელებული გამოცემა, გვ. 175—190. შირ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 22.

**ანდერძი:** „მონამან ღთისამან და მოსაემან ჯისა ცხოველისამან, მე, ხიზაბერელმან ხუციანთ არუთენას ძე ანტონამ, ოდესაც ვიხილე ეს წმიდა წიგნი ლისმეტყველებამ... აღმძრა სიყუარულმან, რათამცა აღვეწერო და კუალადცა აღვასრულე ნატვრა და წადილი ჩემი. ამ სამლოო წიგნისა ღთისამეტყველებასა მთავრობასა პიოს მეშვიდისასა პრომის პაპისასა და სისწაველოსა შინა სოლომონ არჩილიანისა, წელსა მაცხოვრისასა 1800 ენენისთვის 15, ქუთაისსა შინა“ (1r).

**მინაწერები:** 1. წელსა უფლისა აღიწერა 1821-სა, რომელ გამოცხადება ესე არს იოვანესი“ (110v).

2. „თვალის სახელები მეორე წიგნისა 4 და 12 მამათმთავართა სახელნი დამსგავსებით განმარტებანი 19“ (110v).

3. „1885-სა თებერვალს 25 ვწერ ივანე ტალიევი“ (ქვედა ყლის საცავი ფურცელი).

## ბრევიარი (საცეცხური). XIX

588 გვ.; 20,5×16,5; ქაღალდი, სხვადასხვა; მუყაოს ყდა; მხედრული, სათურები და დასაწყისები სინგურით; [XIX]; გადამწერი: პეტრე სტეფანეს ძე ნებერიოვი (2 გვ.); ზოგი დღესასწაული გამოყოფილია მხატვრულად გაფორმებული სათურით ან ორნამენტით (გვ. 91, 170, 178, 194, 218, 239, 255 და ა. შ.).

[ბ რ ე ვ ა რ ი]. „სიტყვანი პირველი სახუმილავისანი, ახსნა. — შეისმინე, უფალო იესო ქრისტეო, ვედრებათა მონათა შენთათა, რომელი მამისა თანა და სულიწმიდისა თანა ცხოველ ხარ და სუფევ უკუნითი უკუნისამდე...“ 1—586 გვ.

წყდება: „...სალვა მე გინს პიეთათის რექიდარე — იძიე მეოთხე ფურცლის უკან...“

შენიშვნა: შედგენილობა: 1. „ფსალმუნი კვირიაკესა“ (3—12 გვ.).

„1. მოძრავე დღესასწაულნი“:

2. „8 დემკებრისა (!), უმანკო ჩასახება ქალწულ მარიამისი“ (13—23 გვ.).

3. „შობა უფლისა“ (23—45 გვ.). ჩართულია: „სიტყვანი წმიდა ლევან პაპისა“ (32—33 გვ.), „განმართება წმიდა გრიგორ პაპისა“ (39 გვ.), „განმართება წმიდა ამბროსი ეფესკობოზისა“ (39 გვ.).

4. „დღესასწაული წმიდა სტეფანისა მთავარმოწამისა“ (46—59 გვ.).

ჩართულია „განმართება წმიდა პიერონიმე მღვდელისა“ (54 გვ.).

5. „დღესასწაულსა შინა იოვანე მოციქულისა“ (60—70 გვ.).

6. „წამება უმანკო ყრმათა, პეროდეს მიერ მომწყდართა“ (71—74 გვ.).

7. „კვირიაკე შემდგომად შობისა“ (74—86 გვ.).

8. „წმიდა სილივისტრესი“ (87—91 გვ.).

9. „წინა[და]ცევითა უფლისა“ (91—102 გვ.).

10. „სწორი წმიდა სტეფანესი“ (103—105 გვ.).

11. „სწორი წმიდა იოვანესი“ (106—108 გვ.).

12. „სწორი უმანკო ყრმათა“ (108—110 გვ.).

13. „წინა დღე წყალკურთხევისა“ (110—112 გვ.).

14. „გამოცხადება უფლისა“ (113—131 გვ.). ჩართულია „განმართება წმიდა გრიგოლ პაპისა“ (127—128 გვ.).

15. „კვირიაკე შემდგომად წყალკურთხევისა“ (131—135 გვ.).

16. „მეორე კვირიაკესა შემდგომად წყალკურთხევისა იესოს სახელისა“ (135—141 გვ.).

17. „მირქმა“ (142—150 გვ.). ჩართულია „განმართება წმიდა ამბროსი ეფესკობოზისა“ (147 გვ.).

18. „დღესასწაული წმიდა მამა იოსებისა“ (150—162 გვ.).

19. „ხარება“ (162—170 გვ.).

20. „ჭვარის პოვნა“ (170—178 გვ.).

21. „24 ივნისსა, შობა იოანე ნათლისმცემლისა“ (178—193 გვ.).

178 გვ-ის დასაწყისში დასმულია ბეჭედი.

22. „პეტრე-პავლობა“ (194—211 გვ.).

23. „კვირიაკესა შემდგომად პეტრე-პავლობისა“ (212—217 გვ.).

24. „მოკითხვა ელისაბეთისა“ (218—226 გვ.).

25. „დღესასწაულსა შინა ნეტარ ქალწული მარიამისა, ქარამელოს მთისა“ (226—230 გვ.).

26. „მესამე კვირიაკესა იულისი არს დღესასწაული უწმიდის მიცხოვრისა“ (231—239 გვ.).

27. „კურთხევა საღარისა წმიდა მარიამ დედუფლისა ანგელოზთა, 2 აგვისტოს“ (239—248 გვ.).

28. „ფერისცვალობა 6 აგვისტოსი“ (248—253 გვ.).
29. „ყოელადწმიდის მიცვლება“ (254—263 გვ.).
30. „დღესასწაული შობისა მამისა მისისა წმიდა იოაკიმ აღმსარებელისა“ (263—270 გვ.). ჩართულია „სიტყვანი წმიდა ეფივიანი ეფისკოპოსისა“ (266—270 გვ.).
31. „სწორი მიცვლებისა ღთისმშობლისა“ (271—272 გვ.).
32. „თავის კვეთა იოანე ნათლისმცემელისა“ (273—280 გვ.).
33. „შობა ღთისმშობლისა“ (281—286 გვ.).
34. „მარიამ სახელის დღესასწაული“ (286—289 გვ.).
35. „ჯვარის ამალემა 14 ენკენისთვის“ (290—296 გვ.).
36. „წმიდა სავარდის დღეობა პირველ კვირიაქესა ოქტობრისა“ (297—306 გვ.).
37. „ტაძრად მიყვანება ღთისმშობლისა“ (307—313 გვ.). ტექსტის დასასრულს დაკრულია ოქროსფერი გამყოფი.  
„II მოუძრავნი დღესასწაულნი“:
38. „პარასკევს, უწინარეს ბზობისა, არს დღესასწაული შვიდი ლახვისა ყოელად ნეტარი ქალწულისა“ (313—322 გვ.).
39. „აღდგომა უფლისა“ (323—328 გვ.).
40. „2 დღე აღდგომისა“ (329—330 გვ.).
41. „3 დღე აღდგომისა“ (331—334 გვ.). ჩართულია „განმართება წმიდა აგვისტონე ეფისკოპოსისა“ (332 გვ.).
42. „ბ კვირიაქესა შემდგომად აღდგომისა მფარველობა წმიდა მამა იოსებისა“ (334—337 გვ.).
43. „კურთხევა ტაძრისა“ (337—339 გვ.).
44. „ამალემა უფლისა“ (339—356 გვ.).
45. „კვირიაქესა შემდგომად ამალეებისა“ (356—360 გვ.).
46. „მოფენა სულიწმიდისა“ (361—375 გვ.).
47. „2 დღეს სულიწმიდის მოსვლისა“ (375—378 გვ.).
48. „3 დღეს სულიწმიდის მოსვლისა“ (378—382 გვ.).
49. „დღესასწაული წმიდა სამება“ (382—395 გვ.).
50. „დღესასწაული წმიდა ზიარებისა“ (396—418 გვ.).
51. „კვირიაქესა შემდგომად წმიდა ზიარებისა“ (418—421 გვ.).
52. „დღესასწაული წმიდა იოსებ ლეონისელისა“ (422—425 გვ.).
53. „დღესასწაულსა წმიდა მოციქულთა ფილიპე და იაკობისა“ (425—431 გვ.).
54. „მაისის 17, დღესასწაული წმიდა პასკალისა“ (432—439 გვ.).
55. „დღესასწაული წმიდა ბერნარდინესი“ (439—445 გვ.).
56. „14 იულისი, დღესასწაული წმიდა ბონევენტურა ეფისკოპოსისა“ (445—447 გვ.).
57. „სწორი წმიდა ბონავენტურასი“ (447—449 გვ.).
58. „25 იულისი, დღესასწაული წმიდა იაკობ მოციქულისა“ (449—456 გვ.).
59. „26 იულისი, დღესასწაული წმიდა ანნისა“ (456—460 გვ.). მიითებებლია სიტყვანი იოანე დამასკელისა (457 გვ.).
60. „ა აგვისტოსი, წმიდა პეტრეს ჯინჯილოა“ (460—465 გვ.).
61. „10 აგვისტოსი, დღესასწაულსა წმიდა ლაერენტისა“ (465—470 გვ.). მიითებებლია სიტყვანი ლევან პაპისა (466 გვ.).
62. „24 აგვისტოსი, დღესასწაული წმიდა ბართლომეოზ მოციქულისა“ (470—471 გვ.).
63. „დღესასწაულსა დაკოდილებათა წმიდა მამა ვრანისკესი“ (471—477 გვ.).
64. „21 ენკენისთვისა, დღესასწაულსა შინა წმიდა მათე მოციქულისა“ (477—478 გვ.).
65. „29 სექტემბრის (!), დღესასწაულსა წმიდა მიქაელ მთავარანგელოზისა“ (478—484 გვ.).
66. „სწორი წმიდა მამა ვრანისკესი“ (485—499 გვ.). მოსდევს:



ა. „საძიებელი უძრავთა დღესასწაულთა“ (500—501 გვ.).

ბ. [საგალობელი]. — „უგალობდეთ, ენაო, დიდებულსა ზორცისა საიდუმლოსა...“ (502 გვ.).

გ. „ნანი ი ე ს ო ს ი. — მოისვენე, მოისვენე, შეილო ჩემო, ტკბილის ძილით დაიძინე...“ (503—504 გვ.).

მომდევნო ორი ფურცელი ნაწერია ორ სვეტად, სხვა ხელით, განსხვავებულ ქაღალდზე, ტექსტი ოთხთავიდანაა, ლ უ კ ა ს III თავიდან (506—509 გვ.), შემდგომ კვლავ გრძელდება დღესასწაულთა „სახუმოლაგები“.

67. „ყოველთა წმიდათა“ (510—534 გვ.).

68. „წყალკურთხევისა“ (535—541 გვ.).

69. „მირქმის“ (541—543 გვ.).

70. „წმინდა ჯვარის ძელის ამბორებასზე“ (543—546 გვ.), ლათინური (ქართული ტრანსკრიპციით) და ქართული ტექსტები.

71. „გზობის (!) კვირიაკისა“ (546—548 გვ.).

72. „დიდ ხუთშაფათს“ (548—554 გვ.).

73. „წითელ პარასკევე“ (!) (554—561 გვ.).

74. „დიდს შაფათს“ (561—562 გვ.).

75. „სულიწმიდის მოსვლის შაფათს“ (562—564 გვ.).

76. „გვირგვინის კურთხევა“ (564 გვ.).

77. „ლორეთის ლიტანია“ (565—567 გვ.), ლათინური ტექსტი ქართული ტრანსკრიპციით.

78. „ლათინური გალობა აღმსარებელისა“ (567—568 გვ.), ლათინური ტექსტი ქართული ტრანსკრიპციით.

79. „ლეთისმშობლისა“ (568—572 გვ.).

80. „ქართული რიგი ხმოვანი წირვისა“ (574—579 გვ.). მოსდევს აღდგომის საგალობლები (579—582 გვ.).

81. „ლათინური წირვის ნოველა“ (583—587 გვ.), ლათინური ტექსტი ქართული ტრანსკრიპციით.

მინაწერი: „ეს ბ რ ე ვ ა რ ი არის დაწერილი პ ე ტ რ ე ს ტ ე ფ ა ნ ე ს ძ ე ნ ე ბ ი ე რ ო ვ ი ს ა გ ა ნ და ეკუთვნის ა ხ ა ლ ც ი ხ ი ს ჰ. კ ა თ ო. დ უ თ ი ს - მ შ ო ბ ლ ი ს ეკკლესიასა“ (2 გვ.).

(71)

2171

### კარაბადინი. 1844

18 ფ.; 17×11; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; დაზიანებული; კიდევბი შემოციკნილი; დალაკვებული; მხედრული; 1844 წ. (საცავი ფურცელი); შავი მენაღი; უგემურად არის გაფორმებული ზედა ყდის შიდა მხარე.

„კარაბადინის წიგნი. — მასილის წამალი. ქათმის კუჭის შიგნითა ქერქი თუ ტყავი გააძრე, ერთ რამეში წმიდათ დაფხვენ, ერთ ფარისა სავახე ნახევარ ფინჯან წყალში ჩაყარე და დაწოლის წინ დალიე“... 1r—18v.

შენიშვნა: ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია და სამკურნალო.

ანდერძი: „ეს კარაბადინი აღწერილი წელსა შინა 1844-სა მარიამობის თვის 16-ს, თემსა შინა ახალციხისასა, ვითამცა ვალეს აღწერილი ნეტარელი ქალწული მარიამის შეწევნითა შენდობილი მესარკოვიანთ პოლოსას ძე ტირაკოიოვ“ (ზედა საცავი ფურცელი).

(72)

2923

## კარაბადინი. XVI—XVII

52 ფ.; 20×14,5; ქალღი, დალაქავებული; უყლო, დაშლილი; მხედრული, სათურები სინგურით; [XVI—XVII]; თავ-ბოლონაკული; აქვს ჰეირნიშანი: ღუ-ზა (7 ფ.).

[კარაბადინი]. — „...დასნეულდეს. თუ მალე არა მოკუდეს, დარჩეს, დღე მრავალ ცოცხალ იყოს...“ 1r—51v.

წყდება: „...ატმის გურკისა ზეთი ჩაწურე, ხალისა ფქვილი კარაქითა შე-ზილე და ზედან დასდევ...“

შენიშვნები: 1. 33v-ზე, თავისუფლად დარჩენილ ადგილზე, დედაბრული ხელით ჩაწერილია რეცეპტები.

2. 2v-ზე კარაბადინის ტექსტში ჩართულია: „ფრანგეთის ქალაქი, ოდეს აღიწერა, იმას... ესე არის ფრანგეთის ქალაქისა ქება, გაეგონა კელმწიფის ხეან-თქრისა მოქალაქისა...“

3. ხელნაწერში ჩადებული ამავე ხელნაწერის ერთი ფურცლის ფრაგმენტი დაეურთეთ 52-ე ფურცლად.

(73)

2924

## კარაბადინი. XVIII—XIX

61 ფ.; 17×12; 15,5×10,5; 15×10,5; ქალღი, სხვადასხვა; ქალღის ყდა; მხედრული, სხვადასხვა; [XVIII—XIX]; დაუწერელია: 21v, 52v, 59r—61v.

„ძველი კარაბადინი წამლებისა. ყურის ტკივილისთვის. --- დევის ყურით წყალი ჩაასხი, კარგია ღვთით...“ 1r—58v.

შენიშვნები: 1. ტექსტში შიგადაშიგ ჩართულია: ა. ქართული ტრანსკრიპციით დაწერილი რეცეპტები (თურქული და სომხური ტექსტები).

ბ. დანარის, ვარდის წყლის, მაკარონის და „კაი ფლავი ბრინჯისას“ შემზადების წესი (54r—55r).

2. ცალკე თავადა გატანილი „ფერად-ფერადი წამლები“ (57r—v).

3172

რუსული ორთოგრაფიული ლექსიკონი (რა შემთხვევებში იწერება უ) და საისტორიო ხასიათის ჩანაწერები. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

3174

ძველი მესხური კარაბადინი. ივ. გვარამაძის ავტოგრაფი (საარქივო მასალა).

(74)

3223

### წერთილებების წიგნი (ქადაგებანი). XIX

708 გვ.; 22,5×18; 21,5×18; ქაღალდი, სხვადასხვა; მუყაოს ყდა; ტექსტი ნაწერია ქართულად და სომხურად, ქართული ნაწერი — მხედრული, სომხური — ნუსხური, ორი ხელი; [XIX]; დაუწერელია: 294—296, 369—372, 400—404 გვ.

„წერთილების წიგნი. — (უძღვის სომხური ციტატა სოფონიას წინასწარმეტყველებიდან, I თავის 12 მუხლი). იგოდენი ზრუნვაობა ჰქონია ღმერთსა თავის გაჩენილებსა ზედა...“ 1—708 გვ.

**შენიშვნები:** 1. სათური სომხურადაა. ხელნაწერის I ნაწილი ქართული ტექსტია (1—369 გვ.), II ნაწილი — სომხური (373 გვ.-დან). ქართულ ტექსტშიც ციტატები ძველი და ახალი აღთქმიდან სომხურადაა დამოწმებული.

2. შედგენილობა: ა. ქადაგებები (1—399 გვ.).

ბ. სომხურ-ქართული ლექსიკონი ორ სვეტად (405—410 გვ.).

გ. ქადაგებანი, სომხური ტექსტი (411—708 გვ.). იწყება წმინდა ანდრია სლესასწაულზე ქადაგებით.

(75)

3231

### ღვთისმშობლის სასწაულნი. XIX

1032 გვ.; 22×17; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, დაზიანებული; ყდაში დატანებულია ლათინური ნაბეჭდი წიგნის ფურცლები; მხედრული; [XIX]; ნაკლული; დაუწერელია: 505, 1032 გვ.

„ქმნულნი სასწაულნი ყოვლად წმინდისა ქალწულისა მარიამ ღუთისმშობლის მიერ. მხურვალეობა იგი წმინდისა სახელისა მიმართ ყოვლად კურთხეულისა ღვთისმშობლისა პატივცემულ იქმნა ხუთი საკვირველი ვარდითა. სასწაული პირველი. — ქვეყანასა ფლანდრიისასა, მონასტერსა შინა ბერდინოსისასა, რომელ ახლოს არის ოვმენ ქალაქისა, იპოებოდა მთავარეპისკოპოსი კანტუარიისა...“ 4—1006 გვ.

**წყდება:** „...მსგავსად ღელეებულთა ამათ ვართ ჩვენც მუდამ...“

**შენიშვნები:** 1. უძღვის წინასიტყვაობა „[უთხ]რობდნენ შვილთა თვისთა ზღაპრებსა, ამხანაჟი ამხანაჟსა, არამედ ნაცვლად ზღაპრებისა, უამბონ /სასწაულნი ღვთისანი და ღედისა მისისანი. უფროსი ერთი ყრმაწულეებანი უამბონ თავიანთ ტოლებსა, რათა რომ ყოველი ვინმე ყრმაწულიობითგან თვისი მათი დასტამბითა გონებასა შინა თვისსა, იქმნეს მერმედვა უმეტესად ღვთის მსახური და მკურვალე უფლის ღედისა მიმართ, წმინდისა ქალწულისა, რომელ ღედა არის მადლებისა და ყოველთა კეთილთა. და რომ წიგნი ესე შევთხოზეთ უფროსი ერთი უმეცარათათვის შესაგონებლად მათი მკურვალეობასა ზედა ღვთის ღედისა, წმინდისა ქალწულისა, მის გამო ვეცადეთ ადვილად შესატყობელი თხზულებითა დაბიურად დაწერა ამისა, რომლითაცა ისარგებლონ ნაყოფების გამოღებითა და კეთილი სიცოცხლითა ამას სოფელსა ზედა. ბოლოს მიეწიონ საუკუნოსა ნეტარებასა შინა სუფევისა კათასა, ამინ“ (1—2 გვ.).

2. ერთვის: ა. „საძიებელი სასწაულთა უფლის ღედისა, წმინდისა ღვთისმშობლისა“ (1009—1027 გვ.).



ბ. „თქმული წიგნაკისა ამის მოთარგმნისა. —

ვინც თუ ღმერთს ჰმონებს, ღვთისაც ღვდასა,  
 იგი გადურჩეს სულის წყმედსა...“

(1027—1031 გვ.).

3. შეიცავს 120 სასწაულს.

4. ამ ხელნაწერთან დაკავშირებით იხ. შ. ლომსაძის ახალციხური ქრონიკები, გვ. 237—238.

(76)

3242

### ლოცვანი. 1851

430 გვ.; 17×11; ქაღალდი; ყდა მუყაოსი; მხედრული; გადამწერი: მღვდელი იოსებ ხუციანოვი; 1851 წ.; ადგილი: ახალციხე (თავფურცელი); 1 გვ-ზე ფერადი თავსაქაულია; ლოცვები გამოყოფილია მხატვრული ხაზით (15, 41, 67, 85, 93, 105, 115, 126, 133; 147 გვ-გვ. და ა. შ.) დაუწერელია: 83, 132, 154, 332, 404, 426, 428, 429 გვ-გვ.

[ლოცვანი]. „ლოცვა თვითეთლი მორწმუნე სულისა, რომელი თქმული არს წმინდა ნერსესაგან. — სარწმუნოებით აღვიარებ და თაყვანსა გცემ შენ, მამაო, ძეო და სულო წმინდაო...“ 1—422 გვ.

შენიშვნები: 1. უძღვის თავფურცელი: „პარტეზი სულიერი, რომელსა შინა შემოიკრიფებიან მრავალნი სულიერი ლოცვანი, აღწერილი ხელთა უღირსი მღვდელი ტერი იოსებ ხუციანოვისათა წელსა უფლისასა 1851, მაისის 28, ახალციხესა შინა“.

2. შედგენილობა: 1. „წმ. ნერსეს ლოცვა“ (1—15 გვ.).

2. „დილის ლოცვა“ (15—21 გვ.).

3. „ლიტანია წმინდანებისა“ (21—40 გვ.).

4. „წირვის მოსმენა“ (41—66 გვ.).

5. „აღსარების რიგი“ (67—73 გვ.).

6. „ლოცვა სინანულისა, ჩხრეის უკან სათქმელი“ (73—84 გვ.).

7. „აღსარების უკან სათქმელი“ (85—87 გვ.).

8. „ლოცვა წმინდა ზიარების მიღების უწინ სათქმელი“ (87—92 გვ.).

9. „ლოცვები ზიარების მიღების უკან სათქმელი“ (93—104 გვ.).

10. „ლოცვა ყოვლად წმინდა მარიამის მიმართ ყოველდღე სათქმელი“ (105—108 გვ.).

11. „ლოცვა წმინდა მიქაელ მთავარანგელოზისა მიმართ“ (108—109 გვ.).

12. „ლოცვა მფარველი ანგელოზისა მიმართ“ (109—110 გვ.).

13. „ლოცვა წმინდა თანამოსახელოსა წმინდისა მიმართ“ (110—112 გვ.).

14. „ლოცვა წმინდა მამა იოსების მიმართ“ (112—114 გვ.).

15. „ლოცვა ოცდაოთხი საპატიის საფიქრებელი იესო ქრისტეს სატანჯველობისა“ (115—126 გვ.).

16. „გალობა მწუხარე მარიამისა“ (126—131 გვ.).

17. „ლოცვა იესო ქრისტეს ხუთი დაკოდილობისა“ (133—138 გვ.).

18. „ლოცვა შვიდი ლაზრისა“ (139—146 გვ.).

19. „იოვანეს ტირილი“ (147—153 გვ.).

20. „იესოს ლითანია“ (155—160 გვ.).

21. „ოცდაამეტაინის დარიგება, რომელ არს გვირგვინი იესო ქრისტესისა“ (161—165 გვ.).

22. „გვირგვინი უწმიდესისა ცხოვრებისა, ვნებისა და სიკუდილისა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა“ (165—172 გვ.).

23. „სიხარულის სავარდე“ (173—178 გვ.).

24. „მწუხარების სავარდე“ (179—185 გვ.).

25. „დიდების სავარდ“ (186—191 გვ.).  
 26. „ლითანია ყოვლად წმინდა მარიაჲსა“ (191—196 გვ.).  
 27. „ფიქრის ლოცვები“ (197—318 გვ.). თავმოყრილია ლოცვები კვირის დღეების მიხედვით.  
 28. „წლის ლოცვა“ (319—332 გვ.).  
 29. „კურთხევანი“ (333—337 გვ.).  
 30. „ნანი იესოსი“ (338—342 გვ.).  
 31. „შობა დღეს სათქმელი“ (342—344 გვ.).  
 32. „მხურვალე ლოცვანი მრთელი კვირისა“ (345—372 გვ.).  
 33. „ლოცვა მანასე მეფისა“ (373—381 გვ.).  
 34. „შვიდი საკანუნოს ფსალმუნნი“ (383—403 გვ.).  
 35. „მხურვალე შვიდთა სიხიარულეთა მიმართ“ (405—409 გვ.).  
 36. „შენდობიანი ლოცვა იესოს გულის მიმართ“ (410—412 გვ.). დასაწყისში ფერებთ ჩახატულია იესოს გული, რომელსაც ხუთი დაშნა აქვს გაყრილი.  
 37. „სალამოს ლოცვა“ (413—422 გვ.).  
 3. ერთვის „საძიებელი ამ წიგნისა“ (423—425 გვ.).  
**მინაწერები:** 1. გულო იესოსი, დამიფარე ყოველთა საცდურთაგან. გულო ტბილო იესოსი, ინებე, რათა გიყვარდე მარად ჟამს, ამენ“ (427 გვ.).  
 2. ფანქრით ნავარჯიშებია 430 გვ-ზე.

(77)

3243/1

### ჟამის ლოცვა. XIX

85 ფ.; 20×16,5; ქალალი; უყდო; მხედრული, სახედაო ასოები სინგურით: [XIX]; თავ-ბოლო ნაკლული; აქვს ჰვირნიშანი.

[ჟამის ლოცვა. ჟამის ლოცვა დიდი ხუთშაბათისა]. — „...უცხო ვექმენ მე ძმათა ჩემთა და სტუმარ-ძეთა დედისა ჩემისათა...“ 1r—85v.

**წყდება:** „...შეგიყვანე ქვეყნად ისრაილისა და ჰსცნათ...“

- შენიშვნა:** შედგენილობა: 1. [ჟამის ლოცვა დიდი ხუთშაბათისა] (1r—26v).  
 2. „ჟამის ლოცვა ენების კვირის დიდ პარასკევს განთიადისა“ (27r—50v).  
 3. „ჟამის ლოცვა ენების კვირის წმინდის შაბათის განთიადისა“ (51r—69v).  
 4. „დიდ პარასკევს წირვაზე სათქმელი“ (70r—71v).  
 5. „იბ საკითხავნი“ (72r—85v). ტექსტი წყდება მეშვიდე საკითხავზე.

(78)

3482

### ქადაგებანი. 1823

171 გვ.; 17×12; ქალალი; ტყავადაკრული ხის ყდა; მხედრული; 1823 წ. (გვ. 170); ადგილი: ახალციხე (თავფურცელი).

[ქადაგებანი]. „ქადაგება სამოციქულო ყოვლად წმინდის მარიაჲს განწმენდასა ზედა თქმული. — ...ესავ გაუქრობელი ცეცხლით იყო ანთებული თავის ძმა იაკობზედა...“ 1—170 გვ.

**შენიშვნები:** 1. უძღვის თავფურცელი: „წიგნი ქადაგებათა მშვენიერთა, საღ შეიციან ოცდარო მშვენიერი ქადაგებანი სადიდებლათ ღვთისა და სასარგებლოთ სულიერით ძმათა და დათა, მორწმუნეთა ჩემთა. წელსა უფლოსასა აღიწერა 1823, ოქტომბერს 23, ვისზე ცოდვლი ღვდლის ხელითა ახალციხეს“.

2. შედგენილობა: ა. „ქადაგება სამოციქულო ყოვლად წმიდის მარიამის განწმენდასა ზედა თქმული“ (1—7 გვ.).  
 ბ. „ქადაგება სამოციქულო ხარების დღესასწაულს სათქმელი“ (7—14 გვ.).  
 გ. „ქადაგება სამოციქულო ყოვლად წმიდა მარიამის ელისაბეთის ნახვის დღესასწაულს სათქმელი“ (14—22 გვ.).  
 დ. „ქადაგება ყოვლად წმიდის მიცვალების დღეს სათქმელი“ (22—28 გვ.).  
 ე. „ქადაგება სამოციქულო ყოვლად წმიდის ღვთისმშობლის შობასა ზედა სათქმელი“ (28—34 გვ.).  
 ვ. „ქადაგება სამოციქულო წმიდა მამა იოსების დღესასწაულსა სათქმელი“ (35—43 გვ.).  
 ზ. „ქადაგება ჭუარის პოენის დღესასწაულს სათქმელი“ (44—52 გვ.).  
 მ. „ქადაგება ჩვენს ჭუარსა და შეწუხებასა ზედა“ (53—60 გვ.). სათაურით აღდგენილია ზანდუკის მიხედვით.  
 თ. „ქადაგება წმიდა ჭუარის ამალღების დღეს სათქმელი“ (61—67 გვ.).  
 ი. „ქადაგება ჭუარის ამალღებისა, კულად ჭუარის ამალღების დღეობასა სათქმელი“ (68—74 გვ.).  
 ია. „ქადაგება ამბარტავნობასა სათქმელი“ (74—82 გვ.).  
 იბ. „ქადაგება ანგაპრებასა გინა ხარბობასა ზედა თქმული“ (82—89 გვ.).  
 იგ. „ქადაგება მესამე საჯაო მომაკუდინებელს ცოდვაზედ, ვითამც ბოზობის ცოდვაზედ სათქმელი“ (89—97 გვ.).  
 იდ. „ქადაგება მეოთხე მომაკუდინებელს ცოდვაზედან თქმული, რომელ არს ჭაერიანობა“ (97—104 გვ.).  
 იე. „ქადაგება სამოციქულო მეხუთე მომაკუდინებელს ცოდვასა ზედა სათქმელი, რომელ არს ნაყროვნება გინა ლოთობა“ (104—113 გვ.).  
 ივ. „ქადაგება სამოციქულო მეშვიდე მომაკუდინებელს ცოდვასა ზედა სათქმელი, რომელ არს დაზარება გინა ზანტობა“ (113—120 გვ.).  
 იზ. „ქადაგება სამოციქულო დასაჭირო დროსა ზედა სათქმელი, თუ რისათვის უფალი ზანდისხან თავის საყვარელსა სულს თავის მიშეებით შეაწუხებს“ (121—130 გვ.).  
 იძ. „ქადაგება სამოციქულო დასაჭიროს დროს სათქმელი, თუ რისათვის უფალი ღმერთი ავს კაცს ამ ქვეყანას გაახარებს და სიყეთეს მისცემს“ (130—137 გვ.).  
 ით. „ქადაგება სამოციქულო წმიდა გიორგის დღესასწაულთა ზედა თქმული“ (137—148 გვ.).  
 იკ. „ქადაგება სამოციქულო განსუენებულთა სულთა ზედა“ (148—153 გვ.).  
 იკა. „ქადაგება სამოციქულო ცოდვასა ზედა თქმული“ (153—163 გვ.).  
 იკბ. „ქადაგება სამოციქულო ძალსა ზედა ღვთის სიტყვისასა და მის გამკვეთილობაზედ“ (163—170 გვ.).  
 ვ. ერთვის „საძიებელი წიგნაკისა ამის ქადაგებისა მშეენიქრთა“ (171 გვ.).

ანდერძი: „დასრულდა მეოთხე წიგნი სადიდებულთ ღვთისა 18—23“  
 (170 გვ.) 18(1)

(79)

3483

### წმინდანების ცხოვრებანი. 1838

278 გვ.; 22×17; ქალღლი; ტყავ და ქალღღადაკრული ფიცრის ყდა; მხედრული; 1838 წ. (275 გვ.); თარგმნილი სომხურიდან სტეფან აღმოშოვის მიერ (275 გვ.).

„წმინდანების ცხოვრება თვითოეულად აღმორჩეული წმინდანებთაგან, [1.] პირველად წმინდა ევსტაქიესი: — ევსტაქიე გინა ევსტაქიე ქრისტეს მადვიარებელი რომ ჯერეთ არ იყო, პლაკიდოს ეწოდებოდა...“  
 1—11 გვ.



2. „შვიდი იეფესელთ ყრმათათვის. — ეფესო ქალაქს ეწოდების აიასლუქ, გინა... ეწოდების, რომელიც ახლორეს არს იზმირზედ...“ 11—19 გვ.
3. „იევეგინეა ქალწული. — ეს იყო ფილიპეს ასული რომ ჰრომელთ მთავართაგანი ერთი იყო...“ 20—30 გვ.
4. „წმინდა ადრიანოს და ანატოლას მოთხრობა. — ადრიანოს კერპმსახურის შვილი იყო, მაგრამ მისი ცოლი ანატოლა ქრისტიანი იყო...“ 31—42 გვ.
5. „წმინდა სანდუხტა ქალწულის ცხოვრება. — ეს თქმული სანდუხტა ქალწული სომხის მეფის ქალი იყო...“ 43—52 გვ.
6. „წმინდა შუშანის მოთხრობა. — ამის სახელი იყო ეართანის ქალი, გინა ვარდი იყო, ხოლო დიდი მშვენიერი იყო...“ 52—53 გვ.
7. წმინდა ფებრონე ქალწულის ცხოვრება და წამებულობა. — ეს ფებრონე ორის წლისა იყო, რომ მონასტერშიდ შეიყვანა...“ 54—66 გვ.
8. წმინდა გეორგის ცხოვრება. — ყაისარის კერძოდ იშობა, ბარაშამ თქმულ ქვეყანას გაიზარდა, რომელ არს პალესტინი...“ 67—75 გვ.
9. წმინდა კლემეს, ჰრომის მამამთავარი. — ეს ჰრომელი იყო, კერპმსახურის შვილი სამეფო სახლიდამ, ვითარ იეჭვების და ეგონებისთ...“ 76—78 გვ.
10. წმინდა იოვანე ოქროპირის ცხოვრება. — მამას ეწოდებოდა სეკუნდოს, რომელსაც სარდლობის პატივი ჰქონდა...“ 79—86 გვ.
11. წმინდა ვარვარა ქალწულის ცხოვრება. — ეს დიდებული ქალწული შელითუბოლის ქალაქიდამ იყო...“ 86—91 გვ.
12. წმინდა იოვანე ნებიერ გლახაკის ცხოვრება. — ამის მამას იეეტრობიე ეწოდებოდა, რომ სტამბოლშიდ არკადეოს კეისრის სარაკარი იყო...“ 92—101 გვ.
13. წმინდა ნიკოლა მამამთავრის ცხოვრება. — ამ წმინდა და ღირსეული მამამთავრის ცხოვრება მრთლად სასწაული არს...“ 101—105 გვ.
14. წმინდა თეკლი გინა თეკლე ქალწულის ცხოვრება. — ეს ქალწული ყონიის ქალაქიდამ იყო, რომელ ითქმის იკონიონ ქალაქი...“ 106—113 გვ.
15. წმინდა მაკობ მწბნის მამამთავრის ცხოვრება. — მისი მამა იწოდებოდა სახელად ტირან...“ 113—121 გვ.
16. წმინდა მრიფსიმე და გაიანე ქალწულის ცხოვრება. — დეოკლათიანე (!) კეისრის დროს ერთ ალაგს შეკრებულ იჯდენ...“ 122—129 გვ.
17. წმინდა თეოდოროს გინა დოროს წოდებულ ტიეროსის ცხოვრება. — ამასია ქალაქის ახლორეს იშობა, რომ ახლოს არს მეორე სასომხეთის ვერის ქალაქისა...“ 129—134 გვ.
18. წმინდა თეოდოროს სტრატელადის ცხოვრება. — ესეც, მეორე თეოდოროსის მსგავსად, იეჭვაიტას სოფლიდამ იყო...“ 135—138 გვ.
19. წმინდა იევბრაქსე ქალწულის ცხოვრება. — ეს იშობა სტამბოლშიდ წელსა უფლისასა 380...“ 139—148 გვ.

20. „წმინდა ბარსელის ცხოვრება. — იშობა ყარაისარს და მისი უბირველეს ჩამომავალნი სებასტიელნი იყუნენ...“ 149—152 გვ.
21. „წმინდა მამა ანტონის, გინა აბბა ჰაირ, გინა მეუღაბნოელის ცხოვრება. — ანტონ მეუღაბნოელი ყვეთი იყო იეგვიპტელი კეთილმსახური...“ 152—160 გვ.
22. „წმინდა იეფიმე ქალწულის ცხოვრება. — ხტიველ რომ არის სოფლის სახელი, იჭაური იყო...“ 161—164 გვ.
23. „წმინდა ათანასის ცხოვრება. — იშვა სქანდარიას, რომელი წერილებში ალექსანდრელ ეწოდების...“ 165—173 გვ.
24. „წმინდა სარქისის ცხოვრება. — კაპადოკელი იყო გინა ყარაიელი, ჰკვიანი და ჭაბუჯი კაცი...“ 174—180 გვ.
25. „წმინდა სვიმონ მესვეტის ცხოვრება. — სიმეონ სახელად ანტიოქის ქვეყანას გინა ანთაფს არის შობილი...“ 181—189 გვ.
26. „წმინდა კატარინი გინა ნექტარინეს ცხოვრება. — ისქანდრელი იყო ქალაქიდამ, რომელიც ძველათ ეწოდებოდა ალექსანდრეა...“ 190—192 გვ.
27. „წმინდა კივრდი იერუსალემელის ცხოვრება. — პალესტინის ქვეყნიდამ იყო, რომ არის ბარაშამი გინა ბითლიზი, და იერუსალემს არს აღზრდილი...“ 193—197 გვ.
28. „წმინდა პანდალეონ და იერმოლეს ცხოვრება. — იზნითის ქვეყნიდამ იყო პანდალეონი მაქსიმინოს კეისრის დროს...“ 197—202 გვ.
29. „წმინდა ონოფრიოს მეუღაბნოეს ცხოვრება. — ეს ონოფრიოსი იყო იეგვიპტელი, ყრმობითვე მეუღაბნოელი...“ 203—207 გვ.
30. „წმინდა მარინე გინა მარგალიტას ცხოვრება. — წმინდა მარინე რომ იყო ანტიოქის ქალაქიდამ, პისდია დაბიდამ, ერთი მდიდარი კაცის შვილი...“ 207—212 გვ.
31. „წმინდა იგნატე დმერთ თემოსვილ მამამთავრის ცხოვრება. — ეს ის ყრმა არის, რომელიც იესო მიირქუა მკლავთა თვისთა...“ 213—215 გვ.
32. „გრიგოლ დვთისმეტყველი ნაზიანენენელის ცხოვრება. — ეს გრიგოლ იშვა ქალაქსა ნაზიანზანისასა. მისი დედა იყო ქრისტიანე...“ 216—220 გვ.
33. „წმინდა გრიგოლ ნივსელის ცხოვრება. — გრიგოლ ნივსელი ძმა იყო წმინდა ბარსელისა...“ 221—222 გვ.
34. „გრიგოლ საკურველ მოქმედის ცხოვრება. — გრიგოლ იყო ნეოკესარელის ქალაქიდამ, რომლის დაბას პონტოს ეწოდების...“ 222—228 გვ.
35. „წმინდა ქრისტინეს ცხოვრება. — ტიჭოს ქალაქიდამ იყო ტრაიანოს კეისრის დროს...“ 228—233 გვ.
36. „წმინდა იეპიფანის ცხოვრება. — კიპრელისა გლაზაკი ურის შვილი იყო ერთს სოფელში...“ 233—238 გვ.
37. „დიომიდეს მკურნალის ცხოვრება. — ტარსონ ქალაქშიდ შობილი იყო...“ 239—242 გვ.
38. „მულიანე ქალწულის ცხოვრება. — მულიანე ქალწული დიდმთავარი კაცის შვილი იყო...“ 243—249 გვ.

39. „კივრი ალექსანდრელის ცხოვრება. — იშვა კივრი ალექსანდრისა გინა ისქარდარისა შინა...“ 249—251 გვ.

40. „წმინდა აბბა მარკეს ცხოვრება. — ერთს დღეს, ოდესაც წმინდა სრაბიონი ოპანნეს მეუღაბნოელთან იყო, ხილვა იხილა...“ 252—261 გვ.

41. „პედეგეა ქალწულის ცხოვრება, ტარსონელისა. — პედეგეა ქალწული იყო ერთი ბრძენი და ჭკვიანი, მშვენიერი ქალი...“ 261—263 გვ.

42. „წმინდა გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრება. — გრიგოლ განმანათლებელი[ს] მამას ეწოდებოდა ანაკ და დედას — ოგოცე...“ 264—275 გვ.

შენიშვნა: ერთვის „ზანდუკი ამავე წმინდანებისა თვითოეულად“ (277—278 გვ.).

ანდერძი: „დასრულდა წერილი ესე კელ-დაფარული უღირსი მღვდლისაგან ტერსტეფან ალშოვისა ხერტულის სომხურის ენისაჲან ქართულს ენაზედ წელსა უფლისა 1838, აპრილის 15“ (275 გვ.).

შინაწერები: (სხვა ხელით) 1. „ეს წიგნი გრიგოლ აღნიაშვილისა არის“ (1 გვ.).

2. «Сия книга принадлежит Григору Агниову. Написал эту книгу священник тер Степан Агниову 1838 года, Апреля 15 дня.

Господину Кутаискому градскому...» (გვ. 275).

(80)

3484

### საგალობლის ფრაგმენტი (პარაკლიტონის). XII—XIII

2 ფ.; 25×20,5; ეტრატი; ნუსხური; სათაურები სინგურით. [XII—XIII]; შავი მელანი.

[პარაკლიტონის ფრაგმენტი]. — „...ძუჭლი იგი დღეთად, რომელმანცა გუჩუშნა ახალნი გზანი ცხოვრებისანი და დაძუჭლებულნი ბუნება ჩუენი, გინა ახლა წყალობით ამისთვის გიგალობთ შენ...“ 1რ.

„სამშაბათსავე გალობანი წმიდისა იოანე ნათლისმცემლისანი. ოგბსა, რომელმან ზღუასა. — ანგელოზთა მთავარმან ახარა შობად შენი, ქადაგო უფლისაო, ღირსსა მშობელსა შენსა... 1რ.

„ადვიესენითსა სტიქარონნი წისა ღთისმშობლისანი. უო სსბმ. — შენთვის მოასწავებდა ქებასა შინა ქებითსა სოლომონ და იტყოდა...“

წყდება: „ბოროტთა ეშმაკთა მიერ უქმ ქემნ...“ 2ვ.

(81)

3901

### ფრანჩისკე საღეზელი, მხურვალეზანი (სწავლა-ღარიგება კათოლიკისა). 1843

280 ფ.; 21,5×17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1843 წ. (280v); თარგმნილია სომხურიდან (280v).

„ფრანჩისკე საღეზელი, მხურვალეზანი. თავი ა. წინადაზნადება. — დასდევ თავი შენი წინაშე აწყოობისა ღმრთისა. ევედრე მას, რათა შინაქროლვა თვისი ჩასახოს შენ შორის...“ 1რ—275გ.



**შენიშვნები:** 1. შედგება ხუთი წილისაგან: [წილი პირველი] (1r—25r), შეიცავს 24 თავს.

წილი მეორე (25r—67v), შეიცავს 21 თავს.

წილი მესამე (67v—208v), შეიცავს 41 თავს.

წილი მეოთხე (208v—252r), შეიცავს 15 თავს.

წილი მეხუთე (252r—275r), შეიცავს 18 თავს.

2. ერთვის ზანდუკი (275r—280r).

**ანდერძი:** „აწ უწყებად თანა-მღებ გახდების იგი, რომელიც წაიკითხამს წიგნსა ამას, რამეთუ ოდეს წაიკითხამთ თავთა მათ, რომელნიც არიან თამაშობისათვის და სიყვარულშიდ შთავარდნისათვის, შემოვიგისათვის და დროს გატარებისათვის, ნუ განიძრახებით, რაჭეთუ ესე გამოღებულთა ფრანჩისკე სალეზელი, რომელი ყოფილა ჭენვის ქალაქის იეპსკოპოზი, იტალიანური ენითა და მერმელ უთარგმნია სომხურის ენითა ღუკა ვართაპეტს ხარბერთელსა, ხოლო შემდგომ სარქის ვართაპეტს, არქიეპისკოპოსს კოსტანდინეპოლისასა, გაუწმენდია და დაუბეჭდვინებია. და ესევე იეპსკოპოზი გვასწავებს ჩვენ, რომ ის თამაშობანი, დროს გატარებანი და სხუეც არ უნდა მოიხმარებოდნენ ყოველს ადგილთა შორის მკვიდრთა მორწმუნეთა ქრისტიანეთა შორის, არამედ უნდა მოიქცნენ თავიანთი ჩვეულობისაგერ და რიგისა, და გვიცხადებს კიდევცა, რომ სდომია იეპსკოპოზსა ამას, რათა აღარ დაებუჭა ის თავნი, მაგრამ ვერ უკანდირებია, რამეთუ ამ წიგნის აქსონს დაუწერია კალლეთათვის, რამეთუ იმ ქვეყნის მემკვიდრეთა შორის ყოფილა ამნარი რაიმენი. ესენი ესენი (I) აღუწერია და თან გაუღრთილებია რაიმე წურთნითა, რათა აღმოფხვრას შეცდომილობანი და ამიტომ ამ იეპსკოპოსსაი ვერ უკანდირებია ამათი აღმოღება შუისაგან, რათა რომ სადმე იყოს მიდრეკილობა და ჩვეულობა მათი თუ სრულობითად არა, მაინც წილებრივად ჩაისახონ წურთნანი იგი, რომელიც არს წურთნა კეთილი თავიანთ განსაზღვრისლ დაწერილშიდ.

დასრულდა წიგნი ესე და გადმოითარგმნა სომხურის ენისაგან ქართულსა მეტყველობასა ზედა წელსა 1843, ოგოსტის 8-სა, სადიდებლად ღვთისა — მამისა, ძისა და სულიწმიდისა, ამინ“ (280r—v). ანდერძის მომდევნო სტრიქონზე ყოფილა მინაწერი, რომელიც მელნითაა დაფარული.

(82)

3950

### წმ. მარინეს ეკლესიის დავთარი. XIX

80 ფ.; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; ღია ფერის მელანი. [XIX ს.].

„წიგნი მიცემული კანცელარიიდგან საქართველოს ექსარქოსისა ახალციხის წმიდის მარინას ეკლესიასა შინა ჩასაწერად, ობისკთა, ჩამოსართმეველთა წინათ ქორწინებათა აღსრულებითა სჯულდებითისა ფორმითა. ჩუნა წელსა დეკემბრის ლა. — ჩუნა-სა იანვარსა ა-სა დღესა უქაზისამებრ მისის იმპერატორებითის დიდებულებისა თუთმპყრობელისა ყოვლისა როსისსა, ახალციხის წმიდის დიდის მოწამის მარინას ეკლესიის სამლულდლო და საეკლესიო მსახურთა მოვანდინეთ გამოიკითხვა მოსურნეთა ზედა შეულდვად და აღმოსჩნდა შემდგომი...“ 2r—80r.

**შენიშვნები:** 1. ჟურნალს პირველ გვერდზე ამოწმებს: «Исидор Экзарх Грузии»

2. ბოლო ჩანაწერი შესრულებულია რუსულად. ბოლო ჩანაწერი 1866 წლის 11 სექტემბრით თარიღდება.

3. «В сей книге перенумерованных, скрепленных и шуропрпечатанных восемьдесят листов».

(83)

3954

## კარაბადინი. XIX

89 ფ.; 33,5×21,5; ქალაღი; უყდო; თენაკლეი; დანიანბული; ბოლო ფურცლები ამოცვენილი; [XIX ს.]; ხელნაწერს აკლია ძველი პაგინაციის მიხედვით გვ. 118—123 შორის ახლით 58—59 ფურც. შორის.

„მოკლე კარაბადინი და დარიგება სიფხილით მოქცევისათვის. პირველი ნაწილი. — მისთვის თუ ვითარ გამოიძიონ ნამდვილი მიზენნი და ნიშანნი სხეულებისანი და რაგვარ უწამლონ და მოუარონ დასაბამსავე სხეულობისასა, ეგრეთვე რა რიგი უნდა ფარეზი და სიტრთხილე ჰქონდეს კაცსა დაცვისათვის სიმრთელისა...“ 2v—58v.

შენიშვნები: 1. ტექსტის მეორე ნაწილს წარმოადგენს „მოკლე სწავლა ყოველთა ამ კარაბადინში სხენებულთა წამლებთა შეგავებისა დახმარებისათვის, რომელიცა აღიწერების ცალ-ცალკე რეცეპტათ, ესე იგი სიად მეორე ნაწილი“ (59r—89v).

2. ტექსტი თარგმნილია რუსულიდან. წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ თარგმნილია 1823 წლის მეშვიდე გამოცემიდან. რუსულ გამოცემას ჰქონია „შტამლეკარი პეტრე კლაპიტონოვის შესავალი“ (1r—2v).

(84)

3955

## საკითხავი დანიელ წინასწარმეტყველისა. XX

7 ფ.; 36,5×22; ქალაღი; უყდო; მხედრული; შავი მელანი; აზხაკის დასაწყისები წითურად; [XX ს.]; დაუწერელია: 1r—v; 6v—7v).

„საკითხავი დანიელ წინასწარმეტყველისა. — წელთა რვათა და ათთა ნაბუგდონოსისორ მეფემან ჰქმნა ხატი ოქროისა, სიმაღლე მისი წყრთათა სამეოცთა და სივრცე მისი წყრთათა ექვსთა, და აღადგა იგი ველსა შორის დეირასა, სოფელსა შინა ბაბილონსა...“ 2r—6r.

თავდება: „აკურთხევდით მსახურებულნი უფალსა ღმერთსა ღმერთთასა, უგალობდით და აღვიარებდით, რამეთუ ყოველთა საუკუნოეთამდი წყალობა მისი“.

(85)

3956

## საკითხავები ბიბლიური წიგნებიდან. XIX

21 ფ.; 32×20; ქალაღი; დაზიანებული; უყდო; დალაქვებული; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 21r—v.

[საკითხავები ბიბლიური წიგნებიდან]. — დაბადება. წიგნი ა. მოსესი. თავი ა. — დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა. ხოლო ქუცყანა იყო უხილაგ...“ 2r—20v.

შენიშვნა: ხელნაწერი ლიტურგიკული ხასიათისაა, მასში წარმოდგენილია საკითხავები: ისაია, ზაქარია, იოანა, დანიელ, იობი, ისუ ნავესი და სხვა წინასწარმეტყველთა წიგნთაგან. ხელნაწერი შეიცავს საკითხავებს წინასწარმეტყველთა წიგნებიდან. საკითხავები ერთი მეორისაგან გამოყოფილია ხაზებით. ტექსტები დამუხლულია.

8. ხელნაწერთა აღწერილობა



- მინაწერები: 1. „ახალციხის წმიდა იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიისა არს-  
1892 წ.“ (1r).  
2. გაბრიელ სალაღვი. 1911 წელსა“ (1r).  
3. „Мурадов“ (1r).

(86)

3957

### ახლარების მთქმელთ სია. XIX

109 ფ.; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული; შავი მელანი; [XIX ს.]; და-  
უწერელია: 109r—v.

„ახლარების მთქმელთ სია სამრევლოთა საქართველოს ეპარ-  
ხიის ახალციხის წმიდის დიდის მოწამის მარინას ეკლესიისა,  
ჩვენებითა ჩინთა, წოდებათა, სახელთა, მამისა სახელთა, გვართა, სახელობათა  
მათთა და წელთა შობითვან. ჩუნდ-ის წლისათვის.“

შენიშვნა: ახალციხის მოსახლეობის დასადგენად ძალიან საინტერესო ცნო-  
ბებია. წმ. მარინას ეკლესიას 90 კომლი ექვემდებარებოდა (107v).

2. წარმოდგენილია 1852, 1853, 1854, 1855, 1856, 1857, 1858, 1859 წლე-  
ბის სია.

(87)

3960

### კონდაკი

#### წმ. ივლიტას სახ. ეკლესიის დავთარი. XIX—XX

33 ფ.; 22×34,5; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული, შავი მელანი; XIX ს.;  
დაუწერელია: 17r—33r.

„სია 1852 წლიდგან შედგენილი. სია ივლიტას სომეხთ კათოლიკეთა წმი-  
და ჭვარის ეკლესიის ნივთეულებათა, რომელნიც ჩვენ ამა ეკლესიის მრევლთა  
შეუწირავს. — უფალო, შენ შეიწყალე ივლიტის საყდრის ერისაგან მიცვალე-  
ბულნი და საუკუნო განსვენება მიანიჭე მათ. ხოლო გაძლიერე ივინი, რომ-  
ელნიც აწმყოდ იპობიან ცოცხალნი ამ ეკლესიის აჩრდილს ქვეშე, რათა და-  
უცხრომელად გაქონ და გადიდონ შენ უკუნისამდე, ამინ...“ 1r—16v.

შენიშვნა: ჩანაწერები იწყება 1857 წლიდან და გრძელდება 1907 წლამდე.

„და განახლდა ეს კონდაკი, ამავე ეკლესიის ბაროზი მღვდელისაგან წელსა  
1857“ (1r).

(88)

3961

#### წმ. მარინას ეკლესიის ქონების სია. XIX

37 ფ.; 34×21,5; ქალაღი; მუყაოს ყდა, მხედრული; შავი მელანი; [XIX ს.];  
დაუწერელია: 1v, 37r—v.

„სია ახალციხის წმიდის ქალწულ მოწამისა მარინას  
სი ეკლესიის ქონებისა, ქმნილი ჩულო წელსა. — ხუთი ძველი ვე-



ცხლის კანდლები, შემოწირული კონსტანტინოპოლის საზოგადოებისაგან, რომელნი შეეცავენ თჳს შორის ხუთას ორმოცდაათს მისხალსა...“ 2r—36v.

**შენიშვნები:** 1. ბოლო ჩანაწერი გაკეთებულია 1884 წელს.

2. ვანსაკუთრებით საინტერესოა 1872 წ. ჩანაწერი: „41. ქართული წიგნები: სამი სახარება. ერთი ხელნაწერი პატარა, ვეცხლით მოჭედილი, ოქროში დაფერილი უბალთით; მეორე წითელი ხავერდით გადაკრული ვეცხლის მახარებლებით ოქროში დაფერილით; მესამე ძველი წითელი ხავერდით გადაკრული თეთრი თუნუქის მახარებლებით. ორი წერილი ხელნაწერი სამოციქულოები, ვეცხლით შეჭედილი, ოქროში დაფერილი; ორი კონდაცი, ერთი ძველი და მეორე ახალი; ერთი სამოციქულო, ერთი სადღესასწაულო, ერთი პარაკლიტონი, ორი ზატიკი, ერთი დიდი და მეორე პატარა ბრწყინვალე კვირიაკისა; ორი მარხვანი; ორი კურთხევანი, ერთი დიდი ტანისა და მეორე პატარა ორ ნაწილათ გაყოფილი. ორი ჟამნი, ერთი დავითნი, ერთი ლოცვანი, ერთი პარაკლისის წიგნი“. (32r—v). მსგავსი ჩანაწერი გაკეთებულია 24r—v-ზე. ჩანაწერები ყოველთვის არ ემთხვევა რაოდენობის მიხედვით. ასევე საინტერესოა ჩანაწერები ხატების შესახებ.

3. 1844 წ. აღწერები რუსულადაა შედგენილი. ვილაცას შემდეგ ფანქროთ უსწორებია ჩანაწერები.

4. „წინ უძღვის: „წიგნი მიცემულ არს საქართველოს საეპისკოპოსოს კანცელარიიდან ახალციხის წმიდა მარინას ეკლესიისა შინა შთასაწერად მას შინა სიხსა საეკლესიო ქონებისასა ამა ეკლესიისასა. ნომბრის კე დღესა, ჩუღმ-სა წელსა“ (1r), აქვე რუსულად ეგვევ წარწერა.

(89)

3964/1

### ვეფხისტყაოსნის ფრაგმენტი. XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედი

1 ფ.: ქალაღი, დაზიანებული, ახალი რესტავირებული; [XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედი]; 867—878 სტროფები.

[ვეფხისტყაოსანი]. —

„[ვარ]დმან ფერი განათლა, ბროლი ბროლად, სათი სათად

[დავით გიორგალმან ჩაიბრინა, არ მოსცილდა ჭურეტად მათად...“ 1r—v.

**წყდება:** „[ვარ]დსა ჰკითხეს: ეზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად? მიუთირს, რად ხარ ეკლიანი? შენი პოვნა რად აკირ[ად]?“

**შენიშვნა:** ვეფხისტყაოსნის ორი დაზიანებული ფურცელი ჩართული იყო № 197 ხელნაწერის ყდაში, რომელიც სხვადასხვა ხელნაწერის ფურცლებისაგან იყო შეწყობებული. ტექსტოლოგიური და პალეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე ილია აბულაძემ გაარკვია, რომ ფრაგმენტი მოიცავს ვეფხისტყაოსნის 867—878 და 1060—1080 სტროფებს, და შემორჩენილია XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედის ხელნაწერიდან. ეს ფრაგმენტი ვეფხისტყაოსნის თარიღიან ხელნაწერთა შორის უძველესად მიჩნეულ 1646 წლის მამუკათა ვარაშვილის ხელნაწერს (იხ. ილ. აბულაძე, ვეფხისტყაოსნის ახლად მიკვლეული უძველესი (XVI ს.) ხელნაწერის ფრაგმენტი, მაცნე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, 3, თბ., 1964, გვ. 142—150; ან ილია აბულაძე, შრომები, II, თბ., 1976, გვ. 206—219; რ. პატარიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა კვირანშნები, გრავილაკვი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 56—57. ამ ფრაგმენტის მეორე ფურცელი დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (Fr. 114).

(90)

4303

## ლოცვანი. 1855

174 ფ.; 11,5×8; ქალაღი; დაზიანებული; შემორჩენილია მხოლოდ ყდის ქვედა ფრთა, ყოფილა ფიცრის ტყავადაყრული; თანაკულუი (საკუთარი პანაგინაციით უნდა აკლდეს 40 გვერდი) მხედრული; შავი მელანი, სათურებისათვის სინგური. 1855 წ. (173v). გაღამწერი ლუკა ხითაროვი (173r).

[ლოცვანი]. — „...არამედ მივსენ ჩვენ ბოროტისაგან. ღმერთო შეწვევნესა (!) ჩვენსა მოხედვ, უფალო შეწვევნად ჩვენდა ისწრაფე, ჰრცხვენონდენ და კრდემებოდნენ, რომელიც ეძიებდენ სულსა ჩემსა...“ 1r—170r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს ერთვის „ზანღუკი გინა საქიბელი ლოცვებისა რაიც გინდოდეს სათქმელათ, რიცხვით ამოირჩიე:

ცისკრის ლოცვა	1	გიხარუდენ დღუფუალო	207
დიღის ლოცვა	7	ლითანია ყოვლად წმიდის	211
წითანია (!) წმიდა ნებისა	20	ლოცვა შუა ღამისა	226
უბრწყინეაღესმან	62	ქართული ტერ ამენაკალი	250
როჰვე წმიდავ	68	შობის დამზადება	267
წირვის რიგი	73	ადიდებს სული ჩემი	279
აღსარების უწინ	122	ნანი იესოსი	284
ზიარების უწინ	137	ლითანია იესოსი	293
ზიარების შემდგომ	152	ლოცვა ხუთდაყოფილობისა	304
მიწყალე ღვთისა	163	ლოცვა წმიდისა პირიუიტისა	315
საღამოს ლოცვა	172	ჯვარის გზა	320
სიხარულის სავარდე	188	სდგა ჯვართანა	389
მწუხარების სავარდე	195	დიდი მრწამსი	399
დღდების სავარდე	202	მი, ძეო სიონისა	404“

(171r—173r).

2. 174 ფურცლად არის ამ ხელნაწერის ფურცელი, რომელიც შუაზე გახეული და ადგილი ვერ მოეძებნა.

ანღერძი: „წიგნი ესე მადლითა ღმერთისადა და მეოხებითა წმიდისა ღვთისმშობელისა დავსწერე ლუკა ხითაროვმა, კოსტანტინეპოლისა შინა, სასარგებლოდ წამირხველათვის, წელსა უფლისა 1855-სა, თებერვლის 25-სა. დასრულდა. თუ ნაკულება არის მომიტევეთ ყოველნი, ამინ“ (173r—v).

(91)

4331

## პოღოს შაჰყულღიანი, ეკლესიის მოთხრობა. 1826

II+9+350 ფ.; 21×16; ქალაღი; ტყავადაყრული მუყაოს ყდა; ბოლონაკულუი; მხედრული; შავი მელანი; მთარგმნელი; პოღოს ვართაპეტი შაჰყულღიანი (გვ. 01); 1826 წ.; დაუწერელია: Iv, Iiv, ღვ, თვ, 334v.

„პოღოს შაჰყულღიანი, ეკლესიის მოთხრობა მესამე საუკუნობის დანაშუენი. მატენი მეოთხე. წიგნი მეშვიდე. ეკლესიის მოთხრობისა მეოთხე მატენი. წიგნი მეშვიდე, რომელსა ამას შინა შეცმულ არს მოთხრობაი ჟამისა ერგასისა, გინა ორმოცდა ათთა წელთა, ესე იგი ორას ორმოცდაათერთმეტადამ სამას წელადმდე უფლის სასარგებლოდ ძეთა ეკლესიისათა ჟამსა უუმწვერვალესი მამათმთავრისა და წმიდისა მამისა ჩვენისა ლეონისა მეათორ-

მეტესი, ჰრომის პაპისასა, წელსა მაცხოვრისა ჩვენისასა 1826 წელსა, ქალაქსა შინა ახალციხისასა. II.

თავი ა. მეშვიდე წიგნისა ეკლესიის მოთხრობისა. მეოთხე მატენი ეკლესიის მოთხრობისა. თავი პირველი მეშვიდე წიგნისა. ცხოვრებაი ვალო და ვოლუზიანო კეისართა და მათგან აღძრულს დევნულებასა ზედა პირდაპირ ქრისტიანეთა. — ზემორედ განვილილს მატენსა შინა საკმაოდ აღვიწერეთ უბედური გარდასავალი დეკოს კეისრისა მოლაღატებითა და გამოცემითა სარდრისა მის ვალო ტრეზონიანე წოდებულისაგან...“ გვ. 1—326.

**შენიშვნები:** 1. წიგნს ერთვის „ზანდუკი მეშვიდე წიგნისა და მეოთხე პასტორისა, გინა მატენისა თავთა“ (გვ. 327—333).

2. თხზულება შედგება ოთ თავისაგან.

3. ერთვის საძიებელი: „ზანდუკი ანბანგანური მეშვიდე წიგნისა ამის. ზანდუკი ანბანგანური, რომელსა შინა იჩვენებთან ადვილად პოვნად ის რაიმენი, რომელიც შეცმულ არიან მეშვიდე წიგნსა ამის შინა. ხოლო საუწყებელ იყოს მრჩობლ აღმაშობებელთათვის, ვითარმედ: წ — აღპნიშნავს წიგნსა; თ — თავსა და ქარავამიანი რიცხვი ქართული ჰნიშნავს თავთა რავედნობასა და რ — რიცხუსა, თუ რომელსა რიცხუსა შინა იმ თავისასა იპოვბის. იხ. იხილუ“ (გვ. 335—350). წყდება ქ ასოზე.

4. წინ უძღვის: „შეწირვა მეოთხე მატენისა ამის ეკლესიის მოთხრობისა დიდებულისა წმიდა ფრანჩისკე სალგზიანის მიმართ გენევის ეპისკოპოსისა“ (გვ. ა—ბ).

5. მთარგმნელის წინასიტყვაობა: „წინათქმულეზანი აღმოშობებელთა მიმართ იმ რაიმეთა ზედა, რომელნიც უმზერენ მატენსა ამის. — ბედნიერო აღმოშობებელნო, გიწვევ მე თქვენ წიგნისა ამის საშუალითა ხილვად და გასიხვად სულიერი ვენაჟისა ეკლესიისა, კუალად მისივე ყანობირისა, თუ ვითარ მყოფობასა შინა იპოვბოდნენ ივინი მესამესა საუკუნოებასა შინა, და თუ ვითარნი ზედამხედველნი იყუნენ მათდა, და თან კუალად, თუ რაოდენნი მტერნი გამოვიდნენ, რომელთა მოიწადინეს მათი გაოხრება. იხილავთ ამის შინა კუალად აღუკვებასა და განპოხიერებასა მათსა და მტერთა მათგან მათს შემოზღუდებასა და თან მათს განდევნილებასა მხნეთა და მზრუნავთა მცველთაგან. ამავესა შინა დასჯერეტს პატიოსნად, თუ ვითარ წმიდა პაპთა სხუდასხუსა ადგილთა შორის წარუვლენით რჩეულნი ეკლესიერნი, რომელთაც დაუწერგიათ ეაზნი და იქელი დაუთესიით ღთის სიტყვისა და მოურწყიათ ივინი წმიდა ნიანდუმოლებითა, მოუღლით და მოუჭკით ყოვლად უხვი ნაყოფი. და უკეთუ დაცარიელებულა საყდარი იგი ჰრომისა, კუარი მისი ყოფილა მზრუნველი დამწყსობად და შევლად კუალად სხუთა საცაღკოთა ეკლესიათა და ყოველთა მისდა დამკითხველთათვის ყოფილა პასუხის მიგებელი ყოვლითა მეცნიერებითა და სიბრძნითა, ვითარცა სარწმუნო მცველი და ვედრებათა ღთელთთა და სამოციქულოთა იცნობების საყდარი იგი წმიდისა პეტრესი. ხოლო უკეთუ დაპკვირდებით ეკლესიასა კართაგენისასა, მუნ იხილავთ წმიდასა კვირიან, ეპისკოპოსსა, რომელმან კეთილი შურისძიებითა და ბრწყინვალე მოქმედებებითა თვისითა განაკვირვა თითქმის მთელი ქვეყანა. აბა დაპრიდა ყოველი შრომაი თვისით თუ ქადაგებითა და მწერებითა არა მხოლოდ მორწმუნეთა კათოლიკეთა მიმართ, არამედ კუალად მათთა, რომელნიც შეტოვილ იპოვბოდნენ და ჰნებვიდათ დაძარღვა და უძლურება კანონთა და დარიგებათა ეკლესიისათა. ამისთვის ჰყო რავედნიმე კრება მამათა აფრიკისათა, სადაც განისაზღურნენ კეთილნი დარიგებანი თუ პირდაპირ განწვალებულთა და თუ დასამტკიცებლად ქეშმარიტებათა. იხილავთ კუალად ამავე წიგნსა შინა მის დაუცხრომელს და მოუღლავს სიყვარულსა თუ ახლოგუარათა და თუ შორიგუარათა მორწმუნეთა მიმართ დაპკირებულთა, რომელთა ზედამ მოიღებდა არა თუ მცირესა, არამედ ყოვლად უხვს შეწყენასა. და ბოლოს ყოველნი კეთილ მოღვაწეზანი იგი თვისნი აღბეჭდა და დაავიარგვინა ერთი დიდებული წამებულეებითა, რომლის საკვირველნი გარემოებანიც (ვითარცა კუალად სხუთა მოწამეთა მრავალთა სხუა და სხუა კერვოთა ქვეყნისათა) წულილწულილად და გამოხატვის სახით სრბასა შინა ამ წიგნისასა აღვიწერთ...“ მ.შ. დიამშვენეთ აღ-



მომიჯნებულნი, კუალად მატენი ესე, რომელსა შინა ვითარცა სასუნჯესა გან-  
 ლეხულსა, იხილავთ იგოდენთა პატიოსანთა რაიმეთა, რაოდენიც შემოკლებით  
 აქ გიჩვენე და აღგილსა თვისსა წიგნსა ამას შინა ფართოდ და ვრცელად ძალ  
 ვიცს გულისკმის-ყოფვა. და კუალად სხუთა რაიმეთა ფრიად სათნოთა და სა-  
 სარგებლოთა თქვენდა, უკეთუ გულკმეირებით და დაკშირებით აღმოიკითხავთ  
 მატენსა ამასაც. და ვსასოებთ, ვითარმედ არამედ მზად სულიერალ ირგებთ კუ-  
 ალად ამისგან, არამედცა კორციელად და ლოცვასა შინა თქვენსა მომიხსენიეთ  
 მე, რომელი ვარ თქვენი პატიოსნებისა ყოვლად უხმარი და კინი მონა პო-  
 ლოს ვართ აპეტე შაპყულიანთი, წინამძღუარი ახალციხის თემის  
 კათოლიკეთა“.

6. შდრ. აქვე ხელნაწერების № 145, 212-ის აღწერილობა.

(92)

4338

## ლოცვა (ფრაგმენტი). XIX

2 ფ.; 18×11; ქალაღი; უყდო, ფრაგმენტი, დაზიანებული, დალაქავებული  
 [XIX ს.].

„ლოცვა ღირსეულ სიკვდილით აღსრულებისათვის. — მონანულის გუ-  
 ლით იმ თავიანთ წამს შეწვენის თხოვნისათვის ღუთისაგან...“ 1r—v.

შენიშვნა: მე-2 ფურცელზე არის უმნიშვნელო მინაწერები. „უფალო, პო-  
 ლოს მერაბოვი“ (2v).

(93)

4535/5

## ქადაგებათა კრებული. XIX

113 ფ.; 22,5×19; ქალაღი; უყდო; დაშლილი; მხედრული; შავი მელანი;  
 [XIX ს.]; დაუწერელია 26r—v, 33r—34v, 40v, 50v, 58r—v, 67r—v, 94r—v,  
 111r—113v.

[ქადაგებანი]. — „ნუ დაადგინებ მოქცევასა შენსა უფლისადმი და  
 ნურც გადასდებ ღიდ მარხვის წმიდათ გატარების ნაირობას) დღითი-ღდე  
 (Ecls. V, 8) „ყოველი კაცი, რომელიც არ იმწუხრებს დღესა ამას, წარსწყმედს  
 ერისაგან თვისსა (ლევიტელთა კგ თავი, 29 რიცხვი). — უკეთუ ჩვენ ვალდე-  
 ბულნი ვართ, რომ ყოველდღივ ენანობდეთ, მისთვის რომ მარადის ვაწყენთ  
 ღმერთსა ცოდვებითა ჩვენითა, უკეთუ ჩვენ გემართებს, რომ უტყბრომელათ  
 ვგლოვობდეთ...“ 1r—110v.

შენიშვნები: 1. ზემოთ ციტირებული ორი ციტატი ჯერ ლათინურად წერია  
 და შემდეგა თარგმნილი.

2. ყველა ქადაგების ტექსტი იწყება ლათინური ტექსტით. ქადაგება რომე-  
 ლიმე ბიბლიური წიგნის სენტენციის განმარტებას წარმოადგენს.

3. ხელნაწერი შავია, შემდეგში ავტორს რედაქციულად და სტილასტურად  
 ჩაუსწორებია.

4. კრებულში გარდა დასახელებული ქადაგებისა წარმოდგენილია შემდეგი  
 ქადაგებანი:

ა. „კვირფერთვან (?) შემდგომად ნათლისღებისა სახარება წმიდა მათესა  
 XIII—24—30. — დღევანდელს სახარებაში მაცხოვარი ჩვენი ღვარძლის იგავით  
 გეასწავლის“ (7r—14v).

ბ. „აღდგომასა ზედა იესო ქრისტესი და აღდგომის ვალის გარდაღებუდა. — იესოს ეძიებთ ნაზარეტელსა ჯიარკმულსა, აღსდგა, არა არს აქა“ (მარკ. 16 თავი). — თქვენ მორწმუნენო დიად უნდა მოიხოცო თვალთა თქვენთაგან ცრემლნი...“ (15r—25v).

გ. „მეცხრამეტე კვირე შემდგომად პენტეკოსტისა, რჩეულთა მცირე რიცხვსა ზედა. „მრავალნი არიან წოდებულნი, ხოლო მცირედნი რჩეულნი (მათე კმ, 14). — ეს საშინელ განჩინება იყო, რომლითაც მაცხოვარმან ჩვენმან...“ (27r—32v).

დ. „ადვენთის მესამე ანუ მეოთხე კვირისათჳს „განზადენით გზანი უფლისანი და წრფელ-ჰყვენით ალაგნი მისნის (ლუკა III, 4). (თუ ვითარ უნდა განემზადოს ქრისტიანე შობის დღესასწაულისათვის). — როდესაც გამოვიძიებთ იქაცხული...“ 35r—40r).

ე. „მოყვასის სიყვარულზედ. „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (სახ: მათ. XXII, 39). — ვკითხულობთ წმიდასა სახარებასა შინა...“ (41r—48v).

ვ. „ქადაგება ადვენოს პირველი კვირისათვის. „მაშინ იხილონ ძე კაცისა მომავალი ღრუბელისა, ძალითა და დიდებითა მრავლითა“ — წმიდა ეკლესია იწყობს...“ (51r—57v).

ზ. „ჯოჯობეთსა ზედა „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნოსა“ (მათ. 25. 41). — ამნაირი იქმნების განჩინება...“ (59r—v).

თ. „ჯოჯობეთსა ზედა „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნოსა (მათ. 25, 41, (60r—66v).

თ. „საშუალებათა ზედა ცხორებისა და გაცრუებასა ზედმიზეზებითა, ქვეყნის მოყვარე ხალხისა“ 68r—75v).

ი. „ქადაგება დიდმარხვაში სათქმელი (ანუ მე-XIV კვირას შემდეგ პენტეკოსტისა) ღვთის სამახურსა ზედა“ (76r—86v).

ია. „ხარების დღესასწაულისათვის“ (87r—93v).

იბ. „სადაცკეო სამართალსა ზედა“ (95r—104v).

ივ. „მოკლე ლოცვა. უმთავრესი მოქმედებანი სულისა. — ჰყო ღმერთმან არარაისაგან ორი მყოფობა, მყოფობა სულიერი და მყოფობა ზორციელი...“ (105r—110v).

(94)

4645

### აბბა ჰაირ მიხითარ ვართაპეტისაგან იესოს ხმა. 1878

102 ფ.; 17,5×10,5; ქაღალდი (თეთრი); მუყაოს ტყავადაკრული ყდა; ტვიფრული; მხედრული, შავი მელანი; 1878 წ. (2r); დაუწერელია: 1r—v; 102r—v.

„აბბა ჰაირ მიხითარ ვართაპეტისაგან, იესოს ხმა. — ესე იგი ლაპარაკის სახე მორწმუნე სულისა, რომელიც არს რძალი ქრისტესი საიდუმლოანი თავის სულიერ სიძესთან, რომელ არს იესო ქრისტე. რაჟამს ჰნებავდეს მორწმუნე სულისა ლაპარაკი თავის ზეციერ სიძე იესო...“ 3r—101v.

შენიშვნები: 1. ტექსტს ერთვის: „მოხსენება. აწ მოგვხსენებოდეს ქრისტიანო ძმაო, რომ როდესაც წმიდა ზიარებას მიიღებ იმ დღეს უნდა იკითხო ეს წიგნი და აგრეთვე დიდ მარხვაში შუადღის ლოცვაზედ და კიდევ როდისაც ზეციერი შინაქროლვა მოგეცემა ღმრთისაგან იესოსთან ლაპარაკისა, მაშინ უნდა იკითხო. ამინ“ (101r—v).

2. ტექსტს წინ უძღვის: „იესოს ხმა, და მორწმუნე სულისა, შეთხზული სომხურს ენაზედ აბბა ჰაირ მიხითარ ვართაპეტისაგან. და სომხურიდან გადმოთარგმანებული ქართულს ენაზედ ტერ იოსებ ხუციოვრისაგან, წელსა 1848 და ახლა აღიწერა 1878 ახალციხეს“ (2r).

3. „წიგნი გადაცემულია ახალციხის მუზეუმში მღვდელი მერაბი შვილის (მამა სერაბინის) უფროსი ქალიშვილის სალომესაგან (75 წლისა) 14 ოქტომბერი, 1974 წ.“ (ზედა საცავი ფურცელი).

(95)

4906

**კარაბადინი. 1876**

48 ფ.; 18×22; ქალაღი; უყდო, მხედრული; ღია ფერის მელანი; 1876 წ. (1r); შემოწირა ი. მაისურაძემ, დაუწერღია 48v, 47r—v.

«კარაბადინი». პირველი თავი პკარაბადინისა (!), რომელი არს დაცდილი მაჯის ცნობისა და შარდისათვის...“ 1r.

თავღება: „კბილის ტკივილის წამალია კაია რომ ქონდეს, ლენცოფას ძირი ძმრით მოხარშეთ, მოჭამს კიასა. კიღევ...“ 48r.



(1)

164

**წარყიჩ ლახყიანი ლეჟიკონი** [XIX ს.]

140 ფ.; 22×18; ქალაღი. ნოტრი. მუყაოს დამოღილი ყდა; ზოგი ფურცელი ამოვარდნილია. აქეს მდარე მინიატურები.

თავფურცელი: **წარყიჩ ლახყიანი ლეჟიკონი** სომხური ენისა ქართულს ენაზედ თარგმობილი.

დასაწყისი: **Արանիս**—აბანოზის ხე

**Արբა**—მონასტრის უმფროსი... 1 v

დასასრული: **Ֆակել**—თავსახურაღი... 140 r

(2)

1556

**ՄԱՆՏՈՅ** (კურთხევაანი). (XVIII—XIX სს.)

16 ფ.; 19,5×13,5; ქალაღი; ზოლონაკულღი; მუყაოს ყდა; ნუსხური; სათაური ნაწერი სინგურით.

**Յաղագս օրհնելի քահանայի. նախ տեսանէ թէ ունի գուսումն լիով գքահանալութեան թէ ոչ. եւ թէ տգէտ իցէ ոչ ձեռնագրեսցէ գնալ զի տգիտութիւն անբան իցէ և անբանն ոչ լինի քահանայ.** 1 r—10 r

**Կանոն վեցերորդ աստիճանի, յորժամ տաղ սարկաւագ ձեռնագրեն.** 10 v—16 r

ტექსტი მთავრდება: „**Օրհնեսցէ զմեզ տ՛ր ա՛ծ մեր Յա՛...**“ 16 v

(3)

1558

